

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS



Scientia

Scholarly Journal

საშეცნიერო
ჟურნალი

#4

SCIENTIA POTENTIA EST | ცოდნა ძალაა

www.scientia.ge

თბილისი | TBILISI

2023

მთავარი რედაქტორი

მანუარ ვუნცაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სარედაქციო საბჭო

მარტინა ბიბუნიაკი | კოტხდავის უნივერსიტეტი

თამაზ გოგოლაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზურაბ თარგამაძე | ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი

რადოსლავ კანარკოვსკი | კრაკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ვლადიმერ კეკელია | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ლევან კოჭლავაშვილი | არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მარია ლიდოვა | ოქსფორდის უნივერსიტეტი

იორდან ლუციაწოვი | ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია

ჰეროტაკე მაედა | ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტი

შოთა მათითაშვილი | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

გორ მარგარიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გიორგი მირზაბეკიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დავით ნასყიდაშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ნინიძე | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტეფანო კელაჯი | რომის საკინცას უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ჟღენტი | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ნესიმი რზაიევი | ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ედუარდო სანჩესი | ვალადოლიდის უნივერსიტეტი

სოფიო ქადაგიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მიხეილ ქართველიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მათია კირიატი | ბარსელონის უნივერსიტეტი

გურამ ჩხატარაშვილი | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

ზაზა ცინაძე | წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი

EDITOR-IN-CHIEF

MANUCHAR GUNTSADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

EDITORIAL BOARD

MARTINA BITUNJAC | UNIVERSITY OF POTSDAM

TAMAZ GOGOLADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ZURAB TARGAMADZE | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

RADOSLAW KANARKOWSKI | KRAKOW INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

VLADIMER KEKELIA | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

LEVAN KOCHLAMAZASHVILI | ARNOLD CHIKOBAVA LINGUISTICS INSTITUTE

MARIA LIDOVA | UNIVERSITY OF OXFORD

YORDAN LUTSKIANOV | BULGARIAN ACADEMY OF SCIENCES

HIROTAKE MAEDA | TOKYO METROPOLITAN UNIVERSITY

SHOTA MATITASHVILI | CENTRAL EUROPEAN UNIVERSITY

GOR MARGARIAN | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

GIORGI MIRZABEKYAN | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

DAVIT NASKIDASHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

TAMAR NINIDZE | AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

STEFANO PELAGGI | SAPIENZA UNIVERSITY OF ROME

NIKOLOZ ZHGENTI | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

NESIMI RZAYEV | BAKU STATE UNIVERSITY

EDUARDO SANCHEZ | UNIVERSITY OF VALLADOLID

SOPHIO KADAGISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

MIKHEIL KARTVELISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

MATIA CHIRIATTI | UNIVERSITY OF BARCELONA

GURAM CHKHATARASHVILI | BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM

ZAZA TSINADZE | ST. ANDRIA GEORGIAN UNIVERSITY

UDC (შპკ) 93/94:902/904:39:8

(051)

S-40

ISSN 2667-9590

e-ISSN 2667-9604

© Scholarly Journal Scientia | სამეცნიერო ჟურნალი Scientia



შინაარსი | CONTENTS

რედაქტორის წინასიტყვაობა	9
Editor’s Preface	11
მაია კაპანაძე, ნინო კოპალიანი რელიგიის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე	13
Maia Kapanadze, Nino Kopaliani The influence of religion on Turkish foreign policy	23
ირაკლი ირემაძე აგრარული რეფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში	31
Irakli Iremadze Agrarian Reform in the Democratic Republic of Georgia	48
ხათუნა ბაინდურაშვილი ქართველი ქალები სეფიანთა ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში (XVI საუკუნის 70-იანი წლები)	64
Khatuna Baindurashvili Georgian women in the political life of Safavid Iran (The 70^s of the VXI century)	77
დავით მერკვილაძე შაქის ხან ჰუსეინის მიერ ავარიელთა ჯარის დაქირავება 1771 წელს და ერეკლე II	90
David Merkviladze Recruitment of Avarian troops by Shaki Khan Husein in 1771 and Erekle II	98
მერაბ კალანდაძე დიმიტრი უზნაძე ცეზარზე	105
Merab Kalandadze Dimitri Uznadze About the Caesar	132
ზაზა ცინაძე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	151
Zaza Tsinadze The jury trial	160

ნინო მეგენიშვილი, შორენა თავაძე ფოტო-მიკროფირების ელექტრონული დოკუმენტირების მნიშვნელობა (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მიკროფირების საცავის მაგალითზე).....	167
Nino Megeneishvili, Shorena Tavadze The Importance of Electronic Documentation of Photo-Microfilming Example of the Microfirs (Tapes) Depository at the National Manuscript Center).....	176
ლაშა დობნაძე ნებაყოფლობითი მსხვერპლის კონცეპტის ეთიკური გაგება ძველ საქართველოში.....	183
Lasha Dokhnadze Ethical understanding of the concept of voluntary sacrifice in old Georgia.....	192
ლელა გოცირიძე, სოფიო ცერცვაძე სამოქალაქო საზოგადოების როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და აღდგენის საკითხში	199
Lela Gotsiridze, Sophio Tsertsvadze The Role of Civil Society in Protection and Restoration of Cultural Heritage	208
ასმათ გვაზავა, რევაზ კლდიაშვილი თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციაში (XIV საუკუნის ხელნაწერის [Q-1263] ეტრატის რენტგენოფლოორესცენციული ანალიზატორით (XRF EDX 3600B) კვლევა და მისი შედეგები).....	215
Asmat Gvazava, Revaz Kldiashvili Application of modern research methods in book conservation-restoration (Study of the 14th century manuscript [Q-1263] with XRF EDX 3600B) and the results of it).....	227
ლიკა ქორიძე ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა თურქულსა და ქართულში. საქორწინო რიტუალთან დაკავშირებული ტერმინოლოგია თურქულსა და ქართულში.....	235
Lika Koridze Vocabulary Denoting Kinship in Turkish and Georgian. Terminology Related to Wedding Rituals in Turkish and Georgian	242



ლევან კოჭლამაზაშვილი | ჯვარ- ფუძე ქართულ გეოგრაფიულ სახელებში.....249

Levan Kochlamazashvili | ŽWAR- STEM in Georgian geographical names.....259

თამაზ გოგოლაძე | ახალი მასალები ჩორჩანელთა და ხურციძეთა ფეოდალური სახლების შესახებ (უდეს ეკლესიის ქართული ლაპიდარული წარწერები; იერუსალიმისა და სინას მთის წმიდა ეკატერინეს სახელობის ეკლესიის სააღაპე სინოდიკონები).....267

Tamaz Gogoladze | New materials about Chorchaneli and Khurtsidze Feudal Families (Georgian Lapidary Inscriptions of Ude Church; Agape Synodikons of Jerusalem and Saint Catherine’s Monasteries) 278

მანუჩარ გუნცაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი,
საქართველო
m.guntsadze@manuscript.ge

რედაქტორის წინასიტყვაობა

ქურნალის მეოთხე ნომერი ქალაქ თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა გამოსაცემად. ჟურნალი გამოსაცემად მომზადდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ბაზაზე, ა(ა)იპ ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის მხარდაჭერით.

ჟურნალის თემატიკა კვლავაც ზოგადად ჰუმანიტარულ მიმართულებას მოიცავს და სტატიები არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან დარგობრივი პრინციპით, ვინაიდან იდეა, არის ჰუმანიტარული კვლევების პრინციპით განსაზღვრა

წლევანდელი ნომერი ეძღვნება ქართული საზოგადოების ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს, ნიკო ნიკოლაძეს, რომლის დაბადებიდანაც 180 წლისთავი შესრულდა.

MANUCHAR GUNTSADZE

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts,
Georgia
m.guntsadze@manuscript.ge

EDITOR'S PREFACE

The fourth issue of the magazine was prepared for publication with the financial support of the Mayor of Tbilisi. The journal was prepared for publication at the Scientific Center of Manuscripts of the Georgian National Center of Manuscripts, with the support of the IP Humanitarian Research Center.

The thematic focus of the journal once again encompasses general humanitarian concerns, and the articles are not classified according to a strict hierarchical principle, as the idea is to define them with a humanitarian research principle.

The anniversary issue commemorates a prominent representative of Georgian society, Niko Nikoladze, who has turned 180 years old.



ნიკო ნიკოლაძე
(1843-1928)

მაია კაკანაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
საქართველოსა და ირანის ურთიერთობების
სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრი,
საქართველო
maiakapanadze@gmail.com

ნინო კოპალიანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
საქართველო
kopalianin9@gmail.com

რელიგიის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე

II მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მთავრობამ დაიწყო მუსტაფა ქემალის დროს დაწესებული რელიგიური (ისლამური) შეზღუდვების შერბილება, რაც გამონვეული იყო იმ დროს მსოფლიოში კომუნისტური იდეოლოგიის პოპულარულობის შიშით. თურქეთის მმართველ წრეებს სურდათ, რელიგიისგაძლიერებით, თავიდან აეცილებინათ თურქეთში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება, რადგან საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნის პირდაპირი მეზობელი იყო.

რელიგიური შეზღუდვების შერბილების მიზნით თურქეთის მთავრობამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, სკოლებში დაიწყო რელიგიის სწავლება, ამასთანავე, უნივერსიტეტებშიც გაიხსნა თეოლოგიის ფაკულტეტები, ნებაყოფლობითი გახდა მუსლიმთა წმინდა ქალაქ მექაში წასვლა და ჰაჯის შესრულება, მოხდა რელიგიური სასწავლებლების გახსნა, დაიწყო მეჩეთების მასიური მშენებლობა და ასევე უკვე არსებულის რესტავრაცია. ამოქმედდა სხვადასხვა ისლამური რელიგიური ორგანიზაცია. ამას ისიც დაემატა, რომ სეკულარული თურქეთის რესპუბლიკა გახდა რელიგიის საფუძვლებზე შექმნილი ისლამური ორგანიზაციების: „ისლამური სამყაროს ლიგისა“ (ისლ) და „ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის“ (იკო) წევრი ქვეყანა. თუ მანამდე თურქეთი საგარეო ასპარეზზე აშშ-სთან და ევროპის ქვეყნებთან ერთად მოქმედებდა, ამჯერად მან საგარეო-პოლიტიკური მიმართულებით დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო და აღნიშნულ ორგანიზაციებში გაწევრიანებით თავის

ისლამურ იდენტობას გაუსვა ხაზი.

ყოველივე ამან გამოიწვია ისლამურ ორგანიზაციებში თურქეთის როლის გაძლიერება და ამ ორგანიზაციების პოზიციების განმტკიცება თურქეთში, რაც გამოვლინდა 1970 წლის 26 იანვარს, პირველად თურქეთის ისტორიაში, პროისლამური „ეროვნული წესრიგის პარტიის“ (Millî Nizam Partisi) დაარსების დაგვირგვინებით, რომელსაც სათავეში ნეჯმეთინ ერბაქანი ჩაუდგა.

ახლად დაარსებული პარტიის პოლიტიკური ხაზი ძირითადად სეკულარიზმის კრიტიკაზე გადიოდა, რაც ამ პარტიის დახურვის და აკრძალვის მიზეზი გახდა. პარტიის ლიდერი ნეჯმეთინ ერბაქანი კი დააპატიმრეს.

მიუხედავად პროისლამური იდეოლოგიის მექონე პარტიების შევიწროებისა, ისინი მაინც ახერხებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას და რელიგიურ საკითხებზე აპელირებით საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.¹ ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1995 წლის 24 დეკემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში პროისლამურმა „კეთილდღეობის პარტიამ“ (Refah Partisi) ყველაზე მეტი ხმა მიიღო. ხელისუფლებაში მოვიდა კოალიციური მთავრობა ერბაქანის მეთაურობით.

ნ. ერბაქანი თავისი პრემიერ-მინისტრობის მცირე პერიოდში აქტიურად უჭერდა მხარს ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიური რიტუალების შემოღებას და მის სავალდებულოდ გახდომას, როგორც არის: დღეში ხუთჯერ ლოცვა, ქალებისათვის ჩადრის ტარება და ა.შ. მისი პარტიის ინიციატივით მოხდა საერო და სასულიერო უნივერსიტეტების დიპლომების გათანაბრება, რაც ამ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს თანაბარ შესაძლებლობას აძლევდათ ემუშავათ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. ასევე, ის ამ პოსტზე მუშაობის პერიოდში დაინტერესებული იყო მუსლიმურ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით. ამ მიზნით, ერბაქანის ინიციატივით, ქალაქ სტამბოლში ჩატარდა ისლამური ქვეყნების კონფერენცია, სადაც განიხილეს გაეროს მსგავსი ისლამური ქვეყნების ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობები. მომდევნო შეხვედრა 1998 წლის შემოდგომაზე ჩაინიშნა, მაგრამ თურქეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნული შეხვედრა ვეღარ შედგა. 1998 წლის 16 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ კეთილდღეობის პარტია გაუქმებულად გამოაცხადა, ხოლო ერბაქანს მომდევნო არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა.

2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმების უმრავლესობა მიიღო „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ (სგპ) (Adalet

¹ სვანიძე მ., „თურქეთის ისტორია“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007, გვ. 528-530.

ve Kalkınma Patisi-AKP) რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელმძღვანელობით, რომელიც გამოირჩეოდა ზომიერი ისლამური რიტორიკით და ამავე დროს, პრიორიტეტად ევროკავშირში გაწევრიანებას ისახავდა მიზნად.

ერდოღანის მმართველობის პირველ ეტაპზე, მართლაც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. 2003-2004 წლებში თურქეთის მეჯლისმა 261 ახალი კანონი მიიღო, რომელიც ეხებოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას, სასამართლოს სისტემის რეფორმირებას, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, რელიგიის თავისუფლებას, გენდერულ თანასწორობას, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას და ა.შ., ასევე თურქეთის კონსტიტუცია მოვიდა ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.¹

კანონში შესული ცვლილებების მიუხედავად, თურქეთში მსჯელობის საგანი არის რელიგიის თავისუფლების საკითხი, ვინაიდან კანონი და პრაქტიკა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნორვეგიის ჰეკსინკის კომიტეტის 2013 წლის მოხსენება, რომელიც ეძღვნება თურქეთში რელიგიის და რწმენის თავისუფლების საკითხებს.² მოხსენებაში გამახვილებულია ყურადღება რელიგიურ საქმეთა სამმართველოს (Diyamet İşleri Başkanlığı) საქმიანობაზე, რომლის ძირითადი ფუნქცია არის მეჩეთების (89.817 რეგისტრირებული მეჩეთი)³, იმამების, მუეძინების, ყურანის მასწავლებლების, მუფთების და სხვა (სულ 138.458) რელიგიური პერსონალის საქმეების ადმინისტრირება, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და ბევრ სხვა სამინისტროს ბიუჯეტს აღემატება.⁴ აღნიშნული სამმართველო, თურქეთის კონსტიტუციაში შესული ცვლილებების მიხედვით, 2018 წლიდან პრეზიდენტის წინაშე არის ვალდებული და ძირითადად კურირებს ისლამის სუნიტურ მიმართულებას. სამმართველო ასევე ყურადღებას აქცევს საზღვარგარეთ მცხოვრებ თურქებს. კერძოდ, მათი იმამები წარგზავნილი არიან სხვადასხვა ქვეყნის მეჩეთში, სამმართველოს საქმიანობის გაფართოების მიზნით. ჯერ კიდევ 1975 წლის 13 მარტს დაარსდა თურქეთის რელიგიის ფონდი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის განათლება. ფონდის დაქვემდებარებაშია რელიგიური სასწავლებლები, ასევე იგი ეწევა მთარგმნელობით და სამეცნიერო საქმიანობას. ფონდს გამოცემული აქვს

1 სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, გვ. 384-386.

2 ალასანი გ., „სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში“, აღმოსავლეთმცოდნეობა, N4, თბილისი, 2015, გვ. 211.

3 Türkiye’de Toplam Kaç Cami Var? 2023 il Cami Sayısı, www.milliyet.com.tr/ .

4 შენიშვნა: რელიგიურ საქმეთა სამმართველოს 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 16 მილიარდ ლირას.

ისლამის ენციკლოპედია (Türkiye Diyanet Vakfı İslâm Ansiklopedisi), რომელიც შედგება 46 ტომისაგან.¹

აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, თურქეთს, როგორც სეკულარულ სახელმწიფოს, საკანონმდებლო დონზე აღიარებული აქვს კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა ენის, რასის, სქესის, პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულების, რელიგიის, სექტის და სხვა მსგავსი ნიშნების განურჩევლად.² მეორე მხრივ, ისლამი, კერძოდ, სუნიტური მიმართულება, დაქვემდებარებული არის სახელმწიფოს უშუალო ზედამხედველობას. ხოლო, დანარჩენი რელიგიური უმცირესობების საკითხები რეგულირდება კანონით უმცირესობათა შესახებ.

ევროკავშირი ხშირად მოუწოდებს თურქეთს დაიცვას რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები. ევროკავშირმა, 2013 წლის გეზის პარკის მოვლენები, 2016 წლის 15 ივლისის არშემდგარი გადატრიალების შემდგომი დაპატიმრებები, საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაზე გადასვლა, დემოკრატიის უკანდახევად შეაფასა და თურქეთს ფინანსური დახმარება შეუჩერა. 2019 წლის მარტში კი ევროპარლამენტმა თურქეთის ევროკავშირში განევრინებაზე დაწყებული პროცედურების შეჩერების რეკომენდაცია გასცა.

თავის მხრივ, ერდოღანმაც გამოთქვა პრეტენზიები დასავლეთის მიმართ და ისინი ორმაგ სტანდარტში დაადანაშაულა. პრეზიდენტ ერდოღანისთვის მიუღებელია FETÖ- ს³ წარმომადგენლებისთვის ევროპაში თავშესაფრის მიცემა და მან მათი გადმოცემა მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპასთან ურთიერთობების გადხედვით დაიშუქრა და შესაძლებლადაც კი მიიჩნია რეფერენდუმზე გაეტანა კითხვა: სურს თუ არა თურქ ხალხს ევროკავშირში განევრინება, და ეს ხდება იმ დროს, როდესაც თურქეთის სწრაფი ისლამიზაციის ფონზე მოსახლეობაში მცირდება ევროკავშირში განევრინების მომხრეთა რაოდენობა.⁴

თურქეთს იმავე საკითხებზე ურთიერთობები დაეძაბა აშშ-სთანაც, რადგან დღემდე უშედეგოდ ითხოვს ფეთჰულა გიულენის ექ-

1 თურქეთის რელიგიის ფონდის ოფიციალური ვებსაიტი, www.tdv.org/tr-TR/.

2 შენიშვნა: თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მუხლი 10. „ენის, რასის, ფერის, სქესის, პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების, რელიგიის, სექტის და სხვა მსგავსი ნიშნების განურჩევლად, კანონის წინაშე ყველა თანასწორუფლებიანია.“

3 შენიშვნა: FETÖ - (Fetullahçı Terör Örgütü) თურქეთის მთავრობის მიერ აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად, ხოლო მისი ლიდერი ფეთჰულაჰ გიულენი, რომელიც აშშ-ს აფარებს თავს, იძებნება წითელი ცირკულარით. მას ბრალად ედება 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში გადატრიალების მოწყობის მცდელობა და პარალელური სახელმწიფოს სტრუქტურის ჩამოყალიბება.

4 თექთურმანიძე ნ., „ისლამური და რესპუბლიკური პრინციპების გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე ერდოღანის მმართველობის პერიოდში“, ევოპულ-ქართული ინსტიტუტი, 2021 წლის 1 თებერვალი, www.egi.ge/ka.

სტრადირებას, რომელიც უკვე დიდი ხანია აშშ-ს აფარებს თავს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობების „გაციება“ უფრო ადრეული პერიოდიდან დაიწყო, როდესაც თურქეთის მეჭლისმა უარი განაცხადა ერაყის ოპერაციაში მონაწილეობის თაობაზე, შემდეგ კი, 2017 წელს, თურქეთი ირანთან ერთად წინ აღუდგა ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. შემდეგი უთანხმოება მოყვა ირანის საკითხს. გაირკვა, რომ ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, თურქული ბანკი (Halk Bankasi) ფარულად თანამშრომლობდა ირანის მთავრობასთან. ასევე, უთანხმოების მიზეზი გახდა დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი სირიაში მოქმედი ქურთული დაჯგუფება YPG (სახალხო თავდაცვის ნაწილები), რომელსაც თურქეთი ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს. თურქეთსა და აშშ-ს შორის უთანხმოების საგანი იყო აგრეთვე 2016-17 წლებში S-400-ის ტიპის სარაკეტო თავდაცვითი სისტემის შეძენა. ვაშინგტონმა დაგმო თურქეთის ეს ნაბიჯი და მას სანქციები დაუწესა. თურქეთმა მწვავედ გააპროტესტა 2019 წლის 12 დეკემბერს აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის მიერ ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ აღიარება.¹

ზემოთ აღნიშნული უთანხმოების მიუხედავად, ნაკლებად მოსალოდნელია თურქეთის დისტანცირება დასავლეთისაგან: თურქეთი მაინც რჩება აშშ-ისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორად, როგორც ნატოს ფორმატში, ასევე ორმხრივი ურთიერთობის ფორმატშიც. გეოპოლიტიკური რეალობა და რუსეთის ფაქტორი განაპირობებს თურქეთისა და აშშ-ს ურთიერთობების შენარჩუნებას სტრატეგიულ დონეზე.

თურქეთი მუდმივად აკრიტიკებს ისრაელს და აშშ-ს პალესტინასთან დაკავშირებით. თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები განსაკუთრებით 2010 წელს დაიძაბა, როდესაც ღაზას სექტორისკენ მიმავალ ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთულ თურქულ გემს „Mavi Marmara“-ს ნეიტრალურ წყლებში ისრაელმა ცეცხლი გაუხსნა. სროლის შედეგად 9 თურქი აქტივისტი ადგილზე დაიღუპა, ხოლო 50-ზე მეტი დაიჭრა.² თურქეთს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უმწვავესი რეაქცია ჰქონდა. ანკარამ ისრაელიდან თავისი ელჩი უკან გაიწვია და დიპლომატიური ურთიერთობები მინიმალურ დონეზე დაიყვანა. მხოლოდ 2016 წლის ივნისში მოხერხდა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესება, რომელიც დიდხანს არ გაგრძელდა. 2017 წლის დეკემბერში, აშშ-ს პრეზიდენტის, ტრამპის განცხადებამ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადების და საელჩოს იერუსალიმში გადატანის შესახებ

1 ბაკურაძე ს., „თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში“, კავკასიის სახლი, თბილისი, 2020, გვ. 8 www.regional-dialogue.com/.

2 Mavi Marmara saldırısının üzerinden 11 yıl geçti, www.aa.com.tr/tr.

მუსლიმურ სამყაროში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. თურქეთი, რომელიც იმ დროს ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანა იყო, პრეზიდენტ ერდოღანის ინიციატივით, 2017 წლის 13 დეკემბერს, მონვეულ იქნა მე-6 რიგგარეშე სხდომა, სადაც მკაცრად იქნა დაგმობილი ვაშინგტონის ეს გადაწყვეტილება. ხოლო თურქეთმა, 2018 წლის მაისში, ანკარაში კონსულტაციებისთვის ელჩი გამოიწვია ისრაელიდან და დიპლომატიური ურთიერთობები დროებითი რწმუნებულის დონეზე დატოვა, ვიდრე 2022 წლის სექტემბრამდე, რომელსაც მანამდე ისრაელსა და თურქეთს შორის მაღალი დონის შეხვედრები უძლოდა წინ.¹ თურქეთსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ამჟამად მიმდინარე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დროსაც დაიძაბა. ისე, როგორც წინა წლებში, ერდოღანმა ახლაც პალესტინელების მხარე დაიჭირა. იმან მოუწოდა ისრაელს, შეწყვიტოს მშვიდობიანი [პალესტინელების] ხოცვა-ჟლეტა. უფრო მეტიც, მან ჰამასის ქმედებებიც გაამართლა და განაცხადა, რომ ის არ არის ტერორისტული ორგანიზაცია. ამას გარდა, პრეზიდენტი ერდოღანი აშშ-საც მოუწოდებს, რომ მხარი არ დაუჭიროს ისრაელს პალესტინელი ხალხის განადგურებაში. თვით თურქეთშიც კი გაიმართა პალესტინელების მხარდამჭერი გამოსვლები. ისინი პროტესტის ნიშნად ინჯირლიკის სამხედრო ბაზასთანაც მივიდნენ და მასში შეღწევა სცადეს. პოლიციამ ხალხის შეჩერება ძლივს შეძლო. ყოველივე ამას მოჰყვა თურქეთ-ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების კიდევ ერთხელ გაცივება - ისრაელმა თურქეთიდან თავისი ელჩი გაიწვია.

მეორე ფაქტორი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა რელიგიური თვალსაზრისით თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთში, იყო არაბული გაზაფხული, კერძოდ, ეგვიპტის რევოლუცია. თურქეთის მთავრობამ პრეზიდენტ ერდოღანის მეთაურობით თავიდანვე კარგი ურთიერთობები დაამყარა ხელისუფლებაში ახალმოსულ „მუსლიმ ძმებთან“ და მის წარმომადგენელ პრეზიდენტ მოჰამედ მორსისთან, რომელთანაც რელიგიური და იდეოლოგიური თანხვედრა ჰქონდა. თურქეთისათვის მნიშვნელოვანი იყო თავის გეოპოლიტიკურ ბანაკში ეგვიპტის შეყვანა, რომელიც რეგიონში გამოირჩევა მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, ძლიერი ჯარით და საგარეო გავლენებით.

ეს ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან 2013 წლის 3 ივლისს, ეგვიპტის სამხედრო ელიტამ პრეზიდენტი მორსი ხელისუფლებას ჩამოაშორა და ქვეყნის დროებით მმართველად სამხედრო მაღალჩინოსანი აბდელ ფატაჰ ელ-სისი დაინიშნა. ეგვიპტის ახალ მთავრობას მხარი დაუჭირა საუდის არაბეთმა, რომელიც რე-

1 Türkiye ve İsrail'den ilişkileri normalleştirme kararı: Büyükelçiler 4 yıl sonra yeniden atanacak, www.bbc.com/turkce.

გიონში „მუსლიმი ძმების“ გავლენების გაძლიერებით უკმაყოფილო იყო. ეგვიპტეში განვითარებულმა მოვლენებმა თურქეთის გაღიზიანება გამოიწვია. მან არ აღიარა ახალი მთავრობა და თავისი ელჩი კონსულტაციებისთვის ანკარაში დაიბარა, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები ეგვიპტესთან დროებითი რწმუნებულის დონეზე შეინარჩუნა.¹

ბოლო პერიოდში ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნება. 2022 წლის 1 ივლისს ანკარამ კაიროში თავისი ელჩი გააგზავნა. ხოლო მოგვიანებით, თურქეთის და ეგვიპტის ლიდერების შეხვედრაპირველად, 2022 წლის ნოემბერში, კატარში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე შედგა, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზაზე, ცალსახად, წინ გადადგმული ნაბიჯია.²

თურქეთი თავის საგარეო პოლიტიკაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბალკანეთის ქვეყნებს, რომლებთანაც ურთიერთობებს ავითარებს საერთო ისტორიული წარსულის, კულტურისა და რელიგიური ფაქტორების გამოყენებით. თურქეთი თავისი რბილი ძალით და სახალხო დიპლომატიის გამოყენებით ცდილობს შეიქმნას დადებითი იმიჯი, რათა ამ რეგიონში შესაძლო პოლიტიკური ცვლილებების შემთხვევაში დარჩეს მნიშვნელოვან აქტორად. ის ბალკანეთის ქვეყნებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს განათლების სფეროში სხვადასხვა პროგრამის შეთავაზებით, როგორც არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სტიპენდიები. ამ პროგრამების მხარდაჭერით ასობით ბალკანელი სტუდენტი სწავლობს თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში. თურქეთის დაფინანსებით ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიაში ორი უნივერსიტეტი წარმატებით ფუნქციონირებს. ასევე, ბალკანეთში ფუნქციონირებს „თურქული მარიფის ფონდი“ და „იუნუს ემრეს ინსტიტუტი“, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის თურქული ენისა და კულტურის გაცნობა. ბოსნია-ჰერცეგოვინის სამ რეგიონში, დაწყებით და საშუალო კლასებში, თურქული ენა ისწავლება როგორც არჩევითი კურსი. თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს ბალკანეთის ქვეყნებში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებთან. თურქეთი უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციების ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებას. რა თქმა უნდა, თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას მუსლიმურ თემს აქცევს, თუმცა ითვალისწინებს რა ბალკანეთის მულტიკულტურულობას და მრავალეთნიკურობას, ის მსგავს საკითხებს ძალიან სიფრთხილით და ყურადღებით ეკიდება.³

1 ბატაშვილი დ., „როგორ ახორციელებს თურქეთი თავის ახალ გეოსტრატეგიას: მონახაზი, ექვერტის აზრი, საქართველოს სტრატეგიისა და ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, 2017, გვ. 11, www.gfsis.org.ge/ .

2 Türkiye – Mısır Siyasi İlişkileri, www.mfa.gov.tr/ .

3 Mehmet Uğur Ekinci, „Türkiye-Balkanlar İlişkisi“, Analiz, SETA, sayı:204, Mayıs 2017, გვ. 11-

ისლამიზაციისკენ კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი იყო სტამბულში ქრისტიანული მემკვიდრეობის ისტორიული ძეგლის აია სოფიას მოქმედ მეჩეთად გადაკეთება და იქ მუსლიმი მლოცველების მიღება. აია სოფია ათათურქის დროიდან მოყოლებული ქრისტიანული მემკვიდრეობის მუზეუმად იყო გამოცხადებული და ერთგვარი „ცივილიზაციების გამაერთიანებელი“ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა მინიჭებული. ერდოღანის გადაწყვეტილებას, აია სოფიას კვლავ მუსლიმი მლოცველებისათვის გახსნის შესახებ, მძიმე რეაქციები მოჰყვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. ოპოზიციამ ეს გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც პოლიტიკურად უპასუხისმგებლო და სარისკო. ხოლო ევროკავშირის ქვეყნებმა და აშშ-მ განცხადებები გაავრცელეს, სადაც ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დამნუხრებულები და იმედგაცრუებულები არიან. საბერძნეთმა კი ამ გადაწყვეტილებას პროვოკაციული უწოდა.¹

მიგვაჩნია, რომ ერდოღანის ეს გადაწყვეტილება ქვეყანაში ისლამისთვის უფრო მეტი როლის მინიჭების ტენდენციას უსვამს ხაზს. ამით ათათურქის პრინციპებიდან ნელ-ნელა ხდება დაშორება. ჩვენი აზრით, ეს შემთხვევა ერთი კონკრეტული ისტორიული ძეგლის მაგალითზე კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ ის უფრო ფართო ქრილში უნდა დავინახოთ, როგორც დასავლეთთან ურთიერთობის ერთგვარი ფორმა. ერდოღანს ამ ნაბიჯით სურს შეახსენოს დასავლეთს, რომ თურქეთი ძლიერი სუვერენული ისლამური სახელმწიფოა და იმოქმედებს თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანი თავისი ლიდერობის პირველ ეტაპზე დასავლეთის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა, რადგან ქვეყანაში სამხედრო და სეკულარული ელიტა ჯერ კიდევ ძლიერ პოზიციებს ინარჩუნებდა და მმართველი-სამართლიანობისა და განვითარების პარტიისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. ხოლო, 2010 წლიდან, როდესაც მმართველმა პარტიამ გაიმყარა პოზიციები, დაიწყო დასავლეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი, რაც ნაკარნახევი იყო თურქეთის სურვილით, გამხდარიყო რეგიონული ლიდერი თავისი რელიგიური და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით. ამან კი დასავლეთთან გარკვეულ საკითხებზე უთანხმოება გამოიწვია. პირველი საკითხი, რაც თურქეთის და აშშ-ს შორის უთანხმოების მიზეზი გახდა, იყო ერაყის პრობლემა, ქურთების საკითხი და თურქეთ-ირანის ურთიერთობები. მოგვიანებით ამას დაემატა რეგიონში განვითარებული მოვლენები, როგორც იყო არაბული გაზაფხული და „მუსლიმი ძმების“ ჩამოშორება

12, www.setav.org

1 Uluslararası Toplumun Ayasofya Tepkisi, www.dw.com/tr.

ეგვიპტეში ხელისუფლებისგან, სირიის სამოქალაქო ომი, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და იერუსალიმის საკითხი, რუსული სარაკეტო სისტემა S-400-ის შესყიდვა.¹ ხოლო ძირეული გარდატეხა დასავლეთთან ურთიერთობაში 2016 წლის 15 ივლისის არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ მოხდა, როდესაც ერდოღანმა დასავლეთი ორმაგ სტანდარტებში და ტერორისტებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა.

მმართველი პარტია (AKP) თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში აქტიურად იყენებს „რბილი ძალის“ ისეთ კომპონენტებს, როგორც არის კულტურა და რელიგია. საზღვარგარეთ წარმოდგენილი თურქული ორგანიზაციები TIKA და იუნეს ემრეს ინსტიტუტი აქტიურად არის ჩართული საზღვარგარეთ, თურქული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

დასკვნა. თურქეთი, ერთი მხრივ, ცდილობს მოიხრგოს რეგიონული ლიდერის როლი და დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები, რისთვისაც არ ერიდება დასავლეთთან კონფრონტაციას. მეორე მხრივ კი, რბილი ძალის გამოყენებით ცდილობს რეგიონის ქვეყნებთან დაამყაროს მჭიდრო ურთიერთობები.

დამონელებანი

სვანიძე მ., „თურქეთის ისტორია“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007.

სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.

ალასანია გ., „სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში“, აღმოსავლეთმცოდნეობა, N4, თბილისი, 2015.

Türkiye’de Toplam Kaç Cami Var? 2023 İl Cami Sayısı, www.milliyet.com.tr/ გადამონმებულისა: 01.06.2023.

თურქეთის რელიგიის ფონდის ოფიციალური ვებსაიტი, www.tdv.org/tr-TR/ გადამონმებულისა: 02.06.2023.

ბაკურაძე ს., „თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში“, კავკასიის სახლი, თბილისი, 2020, www.regional-dialogue.com/ გადამონმებულისა 04.05.2023.

Mavi Marmara saldırısının üzerinden 11 yıl geçti, www.aa.com.tr/tr გადამონმებულისა: 04.05.2023.

Türkiye ve İsrail’den ilişkileri normalleştirme kararı: Büyükelçiler 4 yıl sonra yeniden atanacak, www.bbc.com/turkc გადამონმებულისა: 04.06.2023.

ბატიაშვილი დ., „როგორ ახორციელებს თურქეთი თავის ახალ გეოს-

¹ ერდოღანი ოსმალეთის იმპერიის სადარაკოზე, www.amerikishma.com/



ტრატეგიას: მონახაზი, ექსპერტის აზრი, საქართველოს სტრატეგიისა და ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, 2017, www.gfsis.org.ge/ გადამონმებულია: 04.06.2023.

58 Türkiye – Mısır Siyasi İlişkileri, www.mfa.gov.tr/ გადამონმებულია: 04.06.2023.

ერდოღანი ოსმალეთის იმპერიის სადარაჯოზე, www.amerikishma.com/ გადამონმებულია: 05.06.2023.

MAIA KAPANADZE

Caucasus International University,
Scientific-analytical center of interrelations
between Georgia and Iran,
Georgia
maiakapanadze@gmail.com

NINO KOPALIANI

Caucasus International University,
Georgia
kopalianin9@gmail.com

THE INFLUENCE OF RELIGION ON TURKISH FOREIGN POLICY

After World War II, the Turkish government began to loosen the religious (Islamic) restrictions imposed under Mustafa Kemal, due to fear of popularity of the communist ideologue in the world at that time. Turkish ruling circles wanted to avoid the spread of communist ideology in Turkey via strengthening their religion, because the Soviet Union was a proximate neighbor to that country.

The Turkish government has taken effective steps to ease religious restrictions. In particular, religion was introduced, as a subject, in schools, at the same time theology faculties were opened in universities; it became voluntary to go to the Muslim holy city of Mecca and perform Hajj; religious schools were opened, the massive construction of mosques and the restoration of the existing ones began. Various Islamic religious organizations were launched. In addition, the secular Republic of Turkey became a member country of Islamic organizations: "Islamic World League" (IWL) and "Islamic Conference Organization" (ICO) that were created on the basis of religion. If before that, Turkey acted on foreign agenda together with the USA and European countries, this time it started to take independent steps in the foreign-political direction and emphasized its Islamic identity via joining the mentioned organizations.

All this led to the strengthening of the role of Turkey in Islamic organizations and the improved performance of the positions of these organizations in Turkey, which was manifested, by establishing the pro-Islamic "National Order Party" (Millî Nizam Partisi) for the first time in January 26, 1970. The party was headed by Necmettin Erbakan.

The political line of the newly founded party was mainly focused on the

criticism of secularism, which became the reason for the closure and ban of this party. And the leader of the party, Necmettin Erbakan, was arrested.

The parties with pro-Islamic ideology, despite oppressions, still managed to form various political parties under the leadership of Necmettin Erbakan and attracted the public attention to the religious issues.¹ This is confirmed by the fact that in the parliamentary elections held in December 24, 1995, the pro-Islamic “Party of Welfare” (Refah Partisi) received the most votes. A coalition government, led by Erbakan, came to power.

N. Erbakan, during the short period of his prime ministership, actively supported the introducing of religious rituals in everyday life and making them mandatory, such as: praying five times a day, wearing a chador for women, etc. On the initiative of his party, the diplomas of secular and theological universities were equalized, which gave the graduates of these universities an equal opportunity to work in different state institutions. Also, in the period of his tenure in this post, he was interested in establishing closer relations with Muslim countries. For this purpose, Erbakan initiated carrying out the conference of Islamic countries in Istanbul, where the main item on the agenda was discussion of the possibilities of establishing an organization of Islamic countries, similar to NATO. The next meeting was scheduled for the fall of 1998, but due to the political situation in Turkey, the mentioned meeting could not be arranged. In January 16, 1998, the Constitutional Court declared the Party of Welfare abolished, and banned Erbakan from participating in the next elections.

The “Justice and Development Party” (Adalet ve Kalkınma Partisi-AKP) under the leadership of Recep Tayyip Erdoğan, received the majority of votes in the parliamentary elections of 2002. Erdoğan, was distinguished by moderate Islamic rhetoric and at the same time his priority was to join the European Union.

In the first stage of Erdoğan’s administration, significant steps were indeed taken on the way to get closer to the European Union. In 2003-2004, the Turkish Mejlis adopted 261 new laws related to the abolition of the death penalty, reform of the judicial system, freedom of speech and press, freedom of religion, gender equality, protection of the rights of religious and ethnic minorities, etc. Also, the Turkish constitution came into compliance with the requirements of the European Union.²

The issue of freedom of religion is the subject of debate in Turkey, despite the changes in the law, because law and practice often do not coincide. In this regard, it is important the report of the Norwegian Helsinki Committee on the issues of Freedom of Religion and Belief in Turkey,

1 M. Svanidze, “History of Turkey”, publishing house, Artanuji, Tbilisi, 2007. p. 528-530

2 Sanikidze G, Alasania G, Gelovani N, “History of the Middle East”, Ilia State University, Tbilisi, 2011, p. 384-386

presented in 2013.¹ The report was focused on the activities of the Department of Religious Affairs (Diyanet İşleri Başkanlığı), the main function of which is to administer the affairs of mosques (89,817 registered mosques),² imams, muezzins, Quran teachers, muftis and other (total 138,458) religious personnel, which is financed from the central budget of the state and exceeds the budgets of other ministries.³ The mentioned department, due to the changes in the Turkish constitution, is obliged to the president since 2018 and mainly holds control of the Sunni direction of Islam. The department also pays attention to Turks living abroad. In particular, their imams are sent to mosques in different countries in order to expand the activities of the department. As early as on March 13, 1975, the Turkish Religion Foundation was established. The main field of its activity is education. Religious schools are subordinated to the foundation and are also engaged in translation and scientific activities. The Foundation has published the Encyclopedia of Islam (Türkiye Diyanet Vakfı İslâm Ansiklopedisi), which consists of 46 volumes.⁴

Proceeding from the above mentioned, on the one hand, Turkey, as a secular state, has recognized equality before the law regardless of language, race, gender, political and philosophical opinion, religion, sect and other similar features.⁵ On the other hand, Islam, in particular, the Sunni direction, is subject to the direct supervision of the state. Meanwhile, the issues of other religious minorities are regulated by the Law on Minorities.

The European Union often calls on Turkey to protect the rights of religious and ethnic minorities. The European Union assessed the events of Gezi Park in 2013, the arrests after the unsuccessful coup of July 15, 2016, the transition to the presidential system of government as a setback for democracy and suspended financial assistance to Turkey. In March 2019, the European Parliament recommended the suspension of the ongoing procedures for Turkey's accession to the European Union.

On his part, Erdoğan also expressed his complaints against the West and accused them of double standards. It is unacceptable for President

1 Alasania G, "Relation between the state and religion in the Republic of Turkey", *Oriental Studies*, N4, Tbilisi, 2015, p. 211.

2

Türkiye'de Toplam Kaç Cami Var? 2023 Ý Cami Sayışý

, www.milliyet.com.tr/.

3 Note: The budget of the Department of Religious Affairs for 2023 is 16 billion liras.

4 Turkish Religion Foundation official website, www.tdv.org/tr-TR/.

5 Note: Article 10 of the Constitution of the Republic of Turkey. "Regardless of language, race, color, sex, political and philosophical views, religion, sect and other similar features, everyone is equal before the law."

Erdoğan to give asylum to FETÖ representatives¹ in Europe and he demands their extradition. Otherwise, he threatened to review the relations with Europe and even considered it possible to put the question to the referendum: whether the Turkish people want to join the European Union, and this is happening at a time when the number of people in favor of joining the European Union is decreasing due to the rapid Islamization of Turkey.²

The relations of Turkey with the USA has been strained on the same issues too, because it is still unsuccessfully demanding the extradition of Fethullah Gülen, who has been hiding in the USA for a long time.

However, it should be noted that the “cooling” of Turkey-USA relations started from an earlier period, when the Turkish Mejlis refused to participate in the Iraqi operation, and then, in 2017, when Turkey together with Iran resisted announcing declaration of independence of the Kurdistan of Iraq. The next disagreement came over the issue of Iran. It was revealed that Turkish Bank, notwithstanding the economic sanctions, secretly cooperated with the Iranian government; Also, Turkey assessed the Kurdish grouping - YPG (People’s Defense Units), operating in Syria and supported by the West, as a terrorist organization, which evoked the contradictions. The acquisition of the S-400 missile defense system in 2016-17 was also a subject of disagreement between Turkey and the USA. Washington condemned this move by Turkey and imposed sanctions on it. Turkey strongly protested the recognition of the so-called “Armenian Genocide” by the US House of Representatives on December 12, 2019.³

Distancing of Turkey from the West, despite the above-mentioned disagreements, seems unlikely to happen for: Turkey still remains one of the most important strategic partners for the USA, both in the format of NATO and in the format of bilateral relations. The geopolitical reality and the Russian factor determine the maintenance of relations between Turkey and the USA at the strategic level.

Turkey constantly criticizes Israel and the USA regarding Palestine. Turkish-Israel relations were particularly strained in 2010, when Israel opened fire on the Turkish ship “Mavi Marmara”, loaded with humanitarian aid moving towards the Gaza Strip in neutral waters. As a result of the shooting, 9 Turkish activists died on the spot, and more than 50 were wounded.⁴

1 Note: FETÖ is recognized by the Turkish government as a theoretical organization, and its leader Fethullah Gülen, who is hiding in the USA, is wanted by a red circular. He is accused of trying to stage a coup in Turkey on July 15, 2016 and establishing a parallel state structure.

2 Tekturmanidze N, “The influence of Islamic and republican principles on Turkey’s foreign policy during Erdogan’s rule”, European-Georgian Institute, February 1, 2021. www.egi.ge/ka

3 Bakuradze S., “Main orientations of Turkey’s foreign policy in the post-Cold War period,” Caucasus House, Tbilisi, 2020, p. 8 www.regional-dialogue.com/

4 Mavi Marmara saldırısının üzerinden 11 yıl geçti, www.aa.com.tr/tr.

Turkey had the strongest reaction to the mentioned fact. Ankara recalled its ambassador from Israel and reduced diplomatic relations to a minimum level. Only in June 2016, it was possible to improve diplomatic relations between them, which did not last long. In December 2017, announcement of the USA President Trump's notice, declaring Jerusalem the capital of Israel and moving the embassy to Jerusalem caused great excitement in the Muslim world. Turkey, which was the chairman state of the Islamic Cooperation Organization at that time, on the initiative of President Erdoğan, convened the 6th extraordinary meeting on December 13, 2017, where Washington's decision was strongly condemned. And Turkey recalled an ambassador from Israel for consultations in Ankara in May 2018, leaving diplomatic relations at the level of a temporary envoy until September 2022, which had previously been preceded by high-level meetings between Israel and Turkey.¹ Diplomatic relations between Turkey and Israel have also been strained amid the ongoing Israel-Palestinian conflict. As in previous years, Erdoğan took the side of the Palestinians. He called on Israel to stop the massacre of peaceful Palestinians. Moreover, he justified the actions of Hamas and stated that it was not a terrorist organization. In addition, President Erdoğan also calls on the USA not to support Israel in the destruction of the Palestinian people. Support speeches of the Palestinians were held even in Turkey. As a sign of protest, they came to Incirlik military base and tried to enter it. The police could hardly stop the people. All this resulted in the cooling of diplomatic relations between Turkey and Israel once again - Israel recalled its ambassador from Turkey.

The second factor that greatly influenced Turkey's foreign policy from a religious point of view, in the Middle East was the Arab Spring, namely the Egyptian revolution. The Turkish government under the leadership of President Erdoğan established good relations from the beginning with the new Muslim Brotherhood and its representative, President Mohamed Morsi, with whom he had religious and ideological congruence. It was important for Turkey to include Egypt in its geopolitical camp, which is distinguished by a large population, strong army and foreign influences in the region.

This relationship did not last long. On the 3rd of July, 2013, the military elite of Egypt removed President Morse from power and appointed Abdel Fattah El-Sisi – a high-ranking military official as the interim ruler of the country. The new government of Egypt was supported by Saudi Arabia, which was dissatisfied with the strengthening of the influence of the "Muslim Brotherhood" in the region. The developments in Egypt irritated Turkey. Turkey did not recognize the new government and summoned the

¹ Türkiye ve İsrail'den ilişkileri normalleştirme kararı: Büyükelçiler 4 yıl sonra yeniden atanacak, www.bbc.com/turkce .

ambassador to Ankara for consultations, though, maintained diplomatic relations with Egypt at the level of a temporary trustee.¹

Lately, the tendency of improving diplomatic relations between the two countries has been observed. On the 1st of July, 2022, Ankara sent its ambassador to Cairo. And later, the meeting of the leaders of Turkey and Egypt was held for the first time at the opening of the football World Cup ceremony in Qatar, in November 2022, which is a definite step forward to improving relations between the two countries.²

The Balkan countries occupy important place in the foreign policy of Turkey, with which it develops relations based on the factors of common historical past, culture and religion. Turkey, by applying its soft power and public diplomacy, tries to maintain a positive image of a rational actor on the political stage in case of political changes in the region. It provides significant assistance to the Balkan countries in the field of education by offering various programs such as Bachelor, Magister and doctoral scholarships. Hundreds of Balkan students get knowledge at different universities in Turkey with the support of these programs. Two universities are successfully operating in Bosnia-Herzegovina and Macedonia with the financial support of Turkey. Also, "Turkish Maarif Education Fund" and "Yunus Emre Institute" operate in the Balkans, the main activity of which is introducing the Turkish language and culture. Turkish language is taught as an optional course at the primary and secondary grades in three regions of Bosnia-Herzegovina. Turkey actively cooperates with the religious organizations operating in the Balkan countries. Turkey provides management of financial and administrative issues for these organizations. Of course, Turkey pays special attention to the Muslim community, although, envisages the multiculturalism and multi-ethnicity of the Balkans and such issues are handled very delicately and carefully.³

Conversion of Hagia Sophia, a historical monument of Christian heritage in Istanbul, into a functioning mosque and the reception of Muslim worshipers was another reprehensible action towards Islamization. Hagia Sophia was declared a museum of Christian heritage since the time of Atatürk and had a symbolic load of "unifying civilizations". Erdoğan's decision to reopen Hagia Sophia to Muslim worshipers was met with severe reactions both inside and outside the country. This decision was assessed by the opposition as politically irresponsible and risky action. The European

Union countries and the USA released statements, where they ex-

1 Batashvili D, "How Turkey implements its new geostrategy: outline, expert's opinion, Center for the Study of Strategy and Relations of Georgia, 2017, p. 11. www.gfsis.org.ge/

2 Türkiye – Mısır Siyasi İlişkileri, www.mfa.gov.tr/

3 Mehmet Uğur Ekinci, „Türkiye-Balkanlar İlişkisi“, Analiz, SETA, sayı:204, Mayıs 2017, 33. 11-12, www.setav.org

pressed their sadness and disappointment about the abovementioned decision. Greece called this decision provocative.¹

We believe that Erdoğan's decision emphasizes the tendency of assigning a greater role to Islam in the country. This fact points to gradual departure from Atatürk's principles. In our opinion, this case should be discussed not as an example of one specific historical monument, but we should see it in a broader perspective, as a kind of relationship with the West. With this step, Erdogan wants to remind the West that Turkey is a strong sovereign Islamic state and will act based on its national interests. It should be noted that in the first stage of his leadership, Erdogan tried to gain the favor of the West, because the military and secular elite in the country still maintained strong positions and posed a threat to the ruling Justice and Development Party. And since 2010, when the ruling party strengthened its position, a new phase of confrontation with the West began, which was dictated by Turkey's desire to become a regional leader, taking into account its religious and cultural aspects. This led to disagreements with the West on certain issues. The first issue that became the reason of disagreement between Turkey and the USA was the Iraqi problem, the Kurdish issue and Turkey-Iran relations. Lately this was followed by the new developments in the region, such as the Arab Spring and the removal of the "Muslim Brotherhood" from the government in Egypt; Syrian Civil War; Palestine-Israel conflict and Jerusalem issue; Purchase of the Russian missile system S-400.² And the fundamental turning point in relations with the West occurred after the failed military coup of July 15, 2016, when Erdogan accused the West of double standards and cooperation with terrorists.

The ruling party (AKP) actively applies such components of "soft power" as culture and religion, in conducting Turkey's foreign policy. Turkish organizations TIKA and Yunus Emre Institute represented abroad, are actively involved in the promotion of Turkish culture abroad.

Conclusion.

On the one hand, Turkey is trying to adapt to the role of regional leader and protect its national interests, for which it does not hesitate to confront the West. On the other hand, it tries to establish close relations with the regional countries by means of soft power.

1 Uluslararası Toplumun Ayasofya Tepkisi, www.dw.com/tr

2 Erdogan on guard of the Ottoman Empire, www.amerikishkhma.com



BIBLIOGRAPHY

1. M. Svanidze, "History of Turkey", publishing house "Artanuji", Tbilisi, 2007.
2. Sanikidze G, Alasania G, Gelovani N, "History of the Middle East", Ilia State University, Tbilisi, 2011.
3. Alasania G, "Relation between the state and religion in the Republic of Turkey", Oriental studies, N4, Tbilisi, 2015.
4. Türkiye’de Toplam Kaç Cami Var? 2023 İl Cami Sayısı, www.milliyet.com.tr / verified: 01.06.2023.
5. Official website of Turkish Religion Foundation, www.tdv.org/tr-TR/ verified: 02.06. 2023..
6. Bakuradze S., "Main orientations of Turkey’s foreign policy in the post-Cold War period", Caucasus House, Tbilisi, 2020, www.regional-dialogue.com/ verified on 04.05.2023.
7. 11 years have passed since the Mavi Marmara attack, www.aa.com.tr/t r verified: 04.05.2023
8. Batiashvili D, "How Turkey implements its new geostrategic: outline, expert opinion, Center for Strategic and Relations Studies of Georgia, 2017. www.gfsis.org.ge/ verified: 04.06.2023.
9. Mavi Marmara saldırısının üzerinden 11 yıl geçti, www.mfa.gov.tr/ verified: 04.06.2023.
10. Erdogan on guard of the Ottoman Empire, www.amerikishkhma.com/ verified: 06.05.2023

ირაკლი ირემაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
irakli.iremadze@tsu.ge

აგრარული რეფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში¹

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მიწის რეფორმის სწრაფად და ეფექტურად გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს რეფორმა, რესპუბლიკისათვის ეგზისტენციალურ საკითხებს უკავშირდებოდა. ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა რესპუბლიკამ იმპერიისაგან სწორედ აგრარულ სფეროში მიიღო. 1861 წლიდან იმპერიაში დანყებული საგლეხო რეფორმამ გლეხებს გარკვეული თავისუფლება მოუტანა, ეკონომიკური თვალსაზრისით კი დიდად ვერ გააუმჯობესა მდგომარეობა.

1900 წელს გლეხები მიწის ფონდის 6.2 პროცენტს ფლობდნენ, მიწების 57.8% სახაზინო იყო (მათ შორის საეკლესიო მიწები), არისტოკრატის კი მიწის ფონდის 31.3% ეკუთვნოდა (დევდარიანი 1931, 288-289).

1917 წელს არსებული რეალობის შესახებ სტატისტიკას გვანჯდის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი. კერძოდ, 1917 წლისათვის საქართველოს მიწის ფონდი 5 537 207 დესეტინა² იყო და ამგვარად ნაწილდებოდა:

- ა) რუსეთის ხაზინა 2 020 012 დეს., 36.4%
- ბ) კერძო მიწისმფლობელები 3 517 195, 63.6%

კერძო მიწისმფლობელთა თანაფარდობა კი ასეთი იყო:

- ა) თავად-აზნაურობა 621 695, 17.7%
- ბ) გლეხები და გლეხთა საზოგადოებები 2 915 080, 82.3%.

¹ კვლევა [გრანტის ნომერი FR2113590] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით/This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

² 1 დესეტინა - 1.09 ჰექტარი.

სხვაობა შესაძლოა დროებით-ვალდებული გლეხების მიერ გამოსყიდული მიწების ზრდით და ე.წ. „სტოლიპინის რეფორმის“ შედეგად ყოფილიყო გამოწვეული. 1917 წლისათვის მიწების ფონდის საერთო მოცულობის 52.6% გლეხების ხელში იყო, თუმცა უმრავლესობას 2 ჰექტარზე ნაკლები მიწა ჰქონდა საკუთრებად. აღმოსავლეთ საქართველოში გლეხების 64%, დასავლეთ საქართველოში კი 42% მიწებს იჯარით იღებდა. იჯარის ღირებულება ხშირად მოსავლის 25-30%-ს შეადგენდა (კანდელაკი 1960, 147-149).

1918-1921 წლებში სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის დაახლოებით 80%-ზე მეტი იყო ჩართული. ამავე პერიოდში ანალოგიური მაჩვენებელი რუსეთის იმპერიის ყოფილ ნაწილში ფინეთში 30.4% იყო (კანდელაკი 1935, 167-168).

აგრარული რეფორმის მიმართულებით პირველი გამოცდილება ქართველმა სოციალისტებმა 1905 წელს გურიაში მიიღეს, სადაც პარტიის პროგრამის (მუნიციპალიზაციის) საწინააღმდეგოდ გლეხებმა, რომლებზეც სოციალ-დემოკრატებს დიდი გავლენა ჰქონდათ, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა მოითხოვეს.

აგრარული რეფორმის დაწყებისათვის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია კარგ ნიადაგს ქმნიდა. თებერვლის რევოლუციის და, ზოგადად, რუსეთში დემოკრატიული ცვლილებების კოლაფსის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მკვლევრები 1917 წელს აგრარული რეფორმის გაჭიანურებას მიიჩნევენ (Woytinsky 1961, 398).

1918 წლის მაისიდან აგრარულ რეფორმის გატარების პასუხისმგებლობა საიმპერიო ცენტრებიდან ამიერკავკასიის ახალი რესპუბლიკების დედაქალაქებში გადავიდა. საქართველომ ეს რეფორმა საკმაოდ სწრაფი ტემპებით დაიწყო, სომხეთმა სცადა რეფორმის გატარება, თუმცა წარუმატებლად (Woytinsky 1961, 235), აზერბაიჯანში კი სისტემურ მცდელობებსაც არ ჰქონია ადგილი.

აგრარული რეფორმის სწრაფად გატარება მნიშვნელოვანი იყო, არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ იმპერიების დანგრევის შემდგომ წარმოქმნილ სახელმწიფოებისათვის, არამედ თავად დასავლეთ ევროპისათვის. რეფორმის საჭიროების შესახებ განსაკუთრებით აქტიურობდნენ მემარცხენეები. 1914-1918 წლებში გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის და სხვათა მემარცხენე პარტიებში დომინირებდა მიწების გლეხებზე გადაცემის იდეა. 1918 წლიდან აგრარული რეფორმები გატარდა: ბულგარეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში, უნგრეთში პოლონეთში, ფინეთში, ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში.

ნოე ჟორდანიას მრჩეველი, ცნობილი ეკონომისტი ვლადიმერ ვოიტინსკი თავის წიგნში „ქართული დემოკრატია“ აღნიშნავს:

„საქართველოში თითოეულმა გლეხმა იცის, ხა მისცა ჩვეოდუციამ და ჩვეოდუციიდან შობიღმა ახადგაზხდა ჩესპუბლიკამ: მიწა და დემოკრატია თვითმმახთველობა: მიწა, ანუ თავისუფლად მუ-

შაობის უფლება შიშის გახეშე, ხომ სხვა მოვა და შენი შიშობითა და ოფდით დათესიდ სოხბადს წაგაჩთმევს; თვითმმახოველობა, ხწმენა იმისა, ხომ ცხოვრება უფხო და უფხო ნათელი, ავღილი და ცივილიზებული გახდა“ (ვოიტინსკი 2018, 271).

კონსტანტინე კანდელაკის შეფასებით 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მოქალაქეები ორი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდნენ: **„ოხი დიდი საკითხის გადაჭრას მოელოდა საზოგადოება ჩვეოდიუციიდან: თავისუფლების და მიწის“** (კანდელაკი 1960, 145).

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასია ჩამოშორდა რუსეთს. ამიერკავკასიის დროებით მმართველობითმა ორგანომ კომისარიატმა, 1917 წლის 16 დეკემბერს სპეციალური დეკრეტი გამოსცა და აგრარული რეფორმის დაწყება აცნობა მოქალაქეებს.¹ კომისარიატის მიერ გამოცემული დეკრეტი დაგმეს და გააკრიტიკეს ბოლშევიკებმა. 1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის ახალი დროებითი წარმომადგენლობითი ორგანო სეიმი შექმნეს. სეიმმა უფრო სისტემურად სცადა რეფორმების სამართლებრივი დოკუმენტების შექმნა. 1918 წლის მარტში სეიმმა გამოაქვეყნა აგრარული რეფორმის კანონის პროექტი, რომელშიც გაცხადებული იყო:

„ყველა კერძო მეპატრონეთა მიწები, გარდა იმ ზომისა, რაც აღნიშნულია შემდეგ სტატიაში, ჩამოერთმევა მეპატრონეთ და სრულიად უფასოთ გადავა საადგილ-მამულო ფონდში, რომელიც საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში იქნება.

ჩამორთმეულ მამულების მეპატრონეთ დაუტოვებენ:

ა) 7 დესეტინას, თუ ამ რაიონში ეწევინ ძვირფას კულტურის მემურნეობას.

ბ) 15 დესეტინას, უკეთუ მარტო პურის თესვას მისდევენ ამ რაიონში.

გ) და 40 დესეტინას, უკეთუ შინაურ საქონლის მოშენებას მისდევ²

1918 წლის 8 მარტს სეიმმა სპეციალურ სხდომაზე აგრარული რეფორმის კანონი დაამტკიცა.³

1918 წლის 22 აპრილს სეიმმა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რესპუბლიკამ სულ 34 დღე იარსება და რა თქმა უნდა, სისტემური რეფორმები ვერ განახორციელა.

1918 წლის გაზაფხულზე საქართველოში აგრარულ ნიადაგზე პირველი აჯანყება დაიწყო გორის მაზრის ჯავის რაიონში, ოსებით დასახლებულ არეალში. აჯანყებას ფრონტიდან დაბრუნებული ოფიცრები და ბოლშევიკები მეთაურობდნენ. უმიწაწყლო ოსი გლეხები,

1 გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 დეკემბერი, N221, გვ. 1.

2 გაზ. ერთობა, 1918 წლის 8 მარტი, N54, გვ. 2.

3 გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 მარტი, N56, გვ. 1.

ენ. „ხიზნები“, მოითხოვდნენ საკუთრებაში მიწების გადაცემას (ხვადაგიანი 2020, 3).

ჯავის რაიონში მიმდინარე აჯანყებების პარალელურად 1918 წლის მაის-ივნისში აგრარულ რეფორმას გამომხაურება ჰქონდა სოხუმის ოლქშიც. ენდრიუ ანდერსენი წერს: „**მსხვილი აფხაზი მიწათმფლობელი ახისგოკჩაგები, ხომლებსაც ეწინოდათ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციას შეიძლება მიწის მათთვის ახახედ-საყხედი ხეფოხმა გაეცალებინათ, ოხიენცაციას ოსმანთა იმპერიიანე იღებდნენ**“ (ანდერსენი 2016, 18).

ამ ორ რეგიონში დაპირისპირებას განსხვავებული ფაქტორები იწვევდა, აფხაზეთში მიწისმფლობელები აფხაზები იყვნენ, ხოლო ქართველი გლეხები რეფორმის შედეგად მიწის მიღებას ელოდნენ, ჯავაში კი სიტუაცია პირიქით იყო, მიწის მფლობელები ქართველები იყვნენ, მიწის მომლოდინეები კი ოსები (Welt 2013, 2-3).

საქართველოს დამოუკიდებლობა და აგახუდი ხეფოხმის ქაოსუხომა 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებელ საქართველოში რეფორმის გატარება უკვე საქართველოს კოალიციურ მთავრობას უნდა აელო თავის თავზე, რომელშიც სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რევოლუციური აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ კარლ კაუცკი წერდა:

„აგახუდი ხეფოხუდი აუცილებელი გახადა ხიგმა გახემოებებმა, ხომელიც საქართველოშიც ხუსეთის მსგავსი იყო. აგახუდი ხეფოხუდი დემოკრატიის პიხოებშიც იმავე დასახუდამდე მივიდა, სადამდეც დიქტატის ვითაებაში. მაგხამ დემოკრატიის პიხოებში ხეფოხუდი უფხო მშვიდობიანად, სისტემუხად და გაცნობი-ეხებუდად განხოხიედა, ნაკლები ქაოსისა და ახუდობის გახეშე“ (კაუცკი 2018, 88).

მთავარი მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკური ძალა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ღიად აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატთა იდეას მიწათმფლობელთათვის მიწების კომპენსაციის გარეშე ჩამორთმევის შესახებ, ედპ ასევე მწვავედ აკრიტიკებდა სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა იდეას მიწების სოციალიზაციისა და კოლექტიური საკუთრების შემოღების შესახებ.¹

მიწათმოქმედების სამინისტროს ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის მიერ 1918-1919 წლებში შედგენილი გაანგარიშებების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ბათუმისა და ზაქათალის ოლქების გამოკლებით, 7 067 676.8 კვადრატული დესეტინა მიწა ითვლებოდა, მათგან 852 155.8 სახნავ-სათესი მიწა იყო. მიწები მარბების მიხედვით ასე ნაწილდებოდა:²

1 გაზ. საქართველო, 1918 წლის 9 ივნისი, N113, გვ. 2.

2 სცსა, ფონდი 1915, ანან. 3, საქმე 63, ფურც. 1-2.

მაზრა	მ ი წ ა თ ა ფონდი	სამეურნეო მიწები	სახნავ- სათესი მიწები	ვენახები
ბორჩალოს	691 690.7	151 556.2	111 131.5	1756.3
სიღნაღის	606 312.1	63 528.8	50 902.3	5533.1
დუშეთის	390 910.4	24 072.9	18 740.0	1298.1
თფილისის	458 771.5	70 239.5	55 650.5	2685.3
გორის	688 322.2	84 293.3	72 019.5	3703.2
ახალციხის	267 188.9	30 271.1	27 019.5	743.2
თიანეთის	486 954.9	13 845.5	11 660.8	316.7
ახალქალაქის	277 188.9	10 097.5	78 681.4	293.0
ქუთაისის	348 633.5	66 350.0	59 276.7	6 848
რაჭის	283 774.8	17 226.7	12 659.6	1 639.7
სენაკის	214 179.2	45 580.6	43 936.2	231.8
ოზურგეთის	217 598.3	27 889.8	25 912.1	806.6
ლეჩხუმის	490 632.1	12 700.6	10 702.6	611.2
შორაპნის	300 133.9	52 684.5	43 513.0	9 091.2
ზუგდიდის	268 861.8	51 049.0	49 412.9	1 594.6
სოხუმის ოლქის	831 103.9	99 103.6	90 826.3	6 658.0
სულ	7 067 676.8	851 155.8	787 949	48 084.7

1918 წლის ზაფხული მძიმე პერიოდი იყო ახლად დაბადებული რესპუბლიკისათვის, რადგანაც აგრარულ ნიადაგზე ბოლშევიკების მეთაურობით დაწყებულმა რევოლუციებმა იფეთქა ლეჩხუმში, დუშეთში, თიანეთში, მოგვიანებით კი ზუგდიდსა და ოზურგეთში. „ერთობა“ წერდა:

„მამასადამე ჩვენს წინაშეა ამ ჟამათ ასე იდგას კითხვა: ან მივცეთ გდებკაცობას ჩამოხთმეული მიწები კვიძო საკუთიებათ და ამით გდებკაცობა იე-ვოლიუციას გამოესაჩინება, ხოგოიჯ აქტიუი დამცვეი და გადააჩინეს ხა ქვეყანას ანაიქიის ქაიყეცხიისაგან, იხსნის საქაიხთველოს დემოკრატიულ იესპუბლიკას, ან და თუ ამას ვეი გავითვადისწინებთ, დავლუპავთ ყვედაფეის“¹

¹ გაზ. ერთობა, 1918 წლის 25 ივლისი, N155, გვ. 3.

1918 წლის 20 აგვისტოს მონაცემებით სასოფლო-სააღმოსავლეთ-სადაგილმამულო კომიტეტებს მიღებული ჰქონდათ შემდეგი რაოდენობით მინები:

თფილისის გუბერნიაში: თფილისის მაზრაში 39 857 დესეტინა, გორის 17 341, დუშეთის 6 030, თიანეთის 8 724, სიღნაღის 9 785, თელავის 16 073, სულ გუბერნიაში 97 812.

ქუთაისის გუბერნიაში: ქუთაისის მაზრაში 3408, შორაპნის 1 565, რაჭის 35, ოზურგეთის 10 382, ზუგდიდის 1 833, სენაკის 24 151, სულ გუბერნიაში 41 378.¹

აგრარულ რეფორმას 1918 წლის შემოდგომიდან კლიმატური პირობებიც აფერხებდა. ხომერიკი მთავრობას ატყობინებდა, რომ მთელს რესპუბლიკაში, აგრარული რეფორმა ფაქტობრივად სეზონურად მიმდინარეობდა.²

მინათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილება 1918 წლის აგვისტოში შეიქმნა.³ განყოფილების ხელმძღვანელი იყო დავით ჩადუნელი, განყოფილებას ევალეობოდა საგუბერნიო და სარაიონო სააღმოსავლეთ-სადაგილმამულო განყოფილებების-კომისიების საქმეების კოორდინირება. რეალური რეფორმა განყოფილებამ 1919 წლის გაზაფხულზე დაიწყო. გადაიბარა მოქმედი კომისიები, თბილისის გუბერნიაში 48, ქუთაისისაში კი 53. განყოფილების მუშაობის დაწყების პროცესში არაერთი პრობლემა არსებობდა. ომიანობის გამო ახალციხეში, ახალქალაქსა და ბორჩალოში რეფორმის გატარება უფრო გვიან დაიწყო.⁴ განყოფილების ცენტრალურ ნაწილში 17 კაცი მუშაობდა, ხოლო სამაზრო დონეზე ყველა მაზრაში 1-1 სარაიონო კომისიის გამგე მუშაობდა (ჯამში 20), თითოეულ კომისიაში 2-2 ინსტრუქტორი და 1-1 საქმის მწარმოებელი, სამაზრო დანესებულებებში სულ 80 შტატი იყო, ხოლო ადგილობრივ კომისიებში ჯამში 160 მდივანი მუშაობდა. სულ განყოფილების ოფიციალური შტატი 257 იყო.⁵ დავით ჩადუნელის 1919 წლის 4 აგვისტოს მოხსენებით, თბილისის მაზრაში 48 კომისია მუშაობდა, ქუთაისის გუბერნიაში 52, სოხუმის ოლქი 6, ჯამში 106.⁶

აგრარულ რეფორმის მხარდასაჭერად არსებობდა სამიჯნაო განყოფილება, რომელშიც 205 კაცი მუშაობდა, ცენტრალურ განყოფილებაში 8 და მაზრებში 197 - ადგილობრივ განყოფილებათა გამგეები, მინისმზომლები, მათი ასისტენტები და მდივნები.⁷

1 გაზ. ერთობა, 1918 წლის 7 სექტემბერი, N191, გვ. 3.

2 სცსა, ფონდი 1915, ანან. 3, საქმე 40, ფურც. 43.

3 სცსა, ფონდი 1915, ანან. 2, საქმე 57, ფურც. 1.

4 იქვე. ფურც. 1-2.

5 იქვე, ფურც. 7.

6 სცსა, ფონდი 1915, ანან. 3, საქმე 21, ფურც. 67-68.

7 სცსა, ფონდი 1915, ანან. 2, საქმე 62, ფურც. 1-2.

ახალი საკანონმდებლო ბაზა

აგრარული რეფორმის ტემპებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად 1918 წლის ბოლოს დაიწყო ახალი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა. 1919 წლის დასაწყისში გამოიკვეთა, რომ ოპოზიციური ფრაქციები მხარს არ დაუჭერდნენ შემუშავებულ კანონპროექტებს.

კანონპროექტის განხილვისას უმნიშვნელოვანესი იყო მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის სიტყვა:

„ბაგონებო, აგხაჰუდი საკითხი საეხთოდ, და მიწის საკითხი კეხძოთ შეადგენს უდიდეს პოლიტიკურ და სოციალურ კითხვას. ამ საკითხში, ისე როგორც ფოკუსში, თავს იყიხს თითქმის მთელი საზოგადოების ყველა წიგების ინტეგრაცია. აქ საბიძოვრად ეხთმანეთს ხვდებიან სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები და აქედან იყო მათი გზა. დემოკრატია მუდამ წინ აყენებდა აგხაჰუდ საკითხს, და ცდილობდა მის გადაჭრას, მაგამ ძველი წყობილება, ჩვენი მთავრობა მუდამ გაუხბოდა ამას და ცდილობდა ძველი უხითიეხთობა დაეცვა... ..ხელოვნების პიხვედსავე თვეებში სოფლებში დაიწყო მოძრაობა; თუ ჩვენ გავითვადისწინებთ დოკუმენტებს ხელოვნების პიხვედ ხანებისას დავინახავთ, რომ ბევრ ადგილას გდებკაცობა თითონ შეეცადა მიწის საკითხის მოგვახებას. ამ ნიადაგზე დაიბადა ექცესები, ამ ნიადაგზე გაჩაღდა ეხთის მხივ მუშაობა ხეაქციონურ წიგებში და მეოხეს მხივ ნიადაგი მოიპოვა ანაქიამ... ..წაქმოდგენილი კანონი-პროექტიც სწოხეთ აქედან გამოდის. ხოცა ჩვენ ვამბობთ, რომ ნაწილი ჩამოხთმეურ მიწისა უნდა გადაეცეს გდებობას კეხძო საკუთხებათ ჩვენ ვილებთ მხედველობაში იმას, ხაც ახსებობს; ფაქტიუხი მდგომარეობა გვიკახნახებს იმას, რომ ხსენებული ნაწილი მიწებისა გადაეცეს გდებებს კეხძო“.¹

1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა“. კანონი გაგრძელება იყო 1917 წლის 16 დეკემბრის და 1918 წლის 7 მარტის კანონისა. კანონში გაცხადებული იყო: „**1 მუხლი. სახელმწიფო საადგილ-მამულ ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კეძო საკუთხებად, გახდა იმ გამონაკლისისა, ხომელიც ამ კანონის შემდეგ (2) მუხლშია მოხსენიებული**“ (საქ. დემ. რესპ. სამ. აქტ. კრებ 1990, 217), მესამე მუხლში განწერილი იყო: „**მიწა მიეცემა საკუთხებად იმ უმიწაწყო და მციხელი მიწის მქონე სოფლედთ, ხომელთა ახსებობის მთავარ წყახოს შეადგენს სასოფლო-სამეუხნეო შიხმა**“. კანონი ასევე განსაზღვრავდა საერთო საკუთრების არსებობის საჭიროებასაც საძოვრებთან და ტყეებთან მიმართებაში.

¹ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 25 იანვარი, N19, გვ. 2-4.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ხაზგასმული იყო, რომ შეუძლებელი გახლდათ მიწების უფასოდ გადაცემა გლეხებისათვის: **„ამნაიხათ ჩვენ დავინახეთ, რომ მიწების მცირე საფასუხით გლეხებზე გადაცემა მისაღებია პოლიტიკური, ეკონომიური და ფინანსიური მოსახებით, ყოველ მხივ მიზან შეწონილი ზომაა. მათი უფასო დაჩიგება კი გახდა იმისა, რომ მიუღებელია თან შეუძლებელიც აჩის“.**¹

1919 წლის 28 იანვარს დამტკიცდა კანონი „ყოფილ სახანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა“. კანონი შეეხოთ ყოფილ სახაზინო გლეხებს, ეროვნებით ოს ე.წ. „ხიზან“ მოსახლეობას, ახალციხის მაზრისა და სოხუმის ოლქის გლეხებს, რომლებიც განაპირა ოლქებისა და მუსლიმი მოსახლეობის კანონის მიხედვით ფლობდნენ მიწებს.

მიწების ყიდვა-გაყიდვა 1918 წლის 8 მარტის კანონით აკრძალა არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის ყოფილ ქვეშევრდომებს, არამედ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც, რომლებსაც რეგიონიდან წასვლა და მათი საკუთრების გაყიდვა სურდათ (ათანელიშვილი 2006, 48). მხოლოდ 1920 წლის 10 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო მუშაობა ამ აკრძალვის მოხსნისათვის, სოციალ-დემოკრატებმა გაიზიარეს ეროვნულ-დემოკრატების კრიტიკა და დაუშვეს მიწების ყიდვა-გაყიდვა (ბენდიანიშვილი, 2001, 246-247).

1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა. კრების არჩევნებისათვის პარტიების მიერ გამოქვეყნებულ პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრარულ საკითხს და რეფორმისადმი მათ დამოკიდებულებას (ირემაძე და სხვ. 2015, 142-161).

რეფორმის მიმდინარეობა

1919 წლის თებერვალში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა გლეხთა მიერ ყოფილ მიწისმფლობელების მიწების მითვისება. რეფორმის პარალელურად ადგილობრივი მცხოვრებლები, ერთგვარ რეკეტიორებად იქცნენ. მიითვისეს ყოფილი მემამულეებისათვის დატოვებული ნორმებიც.² რის საპასუხოდაც ხომერიკმა განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტების ჩამდენები კანონის ძალით დაისჯებოდნენ.³

1919 წლის გაზაფხულიდან აქტიურად დაიწყო ადგილობრივ დონეზე კომისიების გაძლიერება. საჯაროდ ცხადდებოდა ვაკანსიები მიწისმზომლების, მათი ასისტენტებისა და კომისიის მდივნების თანამდებობაზე.⁴

1 განმარტებითი ბარათი, გვ. 8. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში. F559/5.

2 სცსა, ფონდი 1915, ანან. 3, საქმე 7, ფურც. 134.

3 გაზ. საქართველო, 1919 წლის 28 თებერვალი, N46, გვ. 3.

4 გაზ. ერთობა, 1919 წლის 1 აპრილი, N73, გვ. 3.

1919 წლის ივლისის დასაწყისში ქუთაისის სამაზრო ერობამ დაინყო მიწების დარიგება. 1 დესეტინა მიწა 800-დან 2400 მანეთამდე ღირდა.¹ მიწის ფასები 1920-1921 წლებში გაიზარდა. ხაშურში 1 დესეტინა პირველი კატეგორიის მიწები, 1920 წლის ბოლოს, 5 000 მანეთი ღირდა.²

1919 წლის 24 ივლისს მთავრობამ, 1919 წლის 28 იანვრის კანონის თანახმად, გამოსცა დადგენილება, რომელიც აზუსტებდა ჩამორთმეული მიწების კატეგორიებს: I კატეგორია - ბაღები, ბოსტნები და მდიდარი ადგილები, II კატეგორია - ნაყოფიერი სათესი მიწები, III კატეგორია - ეწერი მიწები, და მეოთხე კატეგორია - საძოვრები. დადგინდა რეალური და შეღავათიანი ფასები მიწების გაცემისა. ფასები ასე გამოიყურებოდა:³

დასავლეთ საქართველოში (სიმინდი)

მიწების კატეგორიები	მოსავალი (ფუთებში) სიმინდისა ერთი დესეტინიდან	ფასი (მანეთებში) ერთი ფუთი სიმინდისა	საერთო შემოსავალი 1 დესეტინა მიწისა	შეღავათიანი ფასი 1 დესეტინისა	ფასების ცვლილება
I კატეგორია	150	100	15 000	1 500	არანაკლებ 1500
II კატეგორია	100	100	10 000	1 000	1000-1500
III კატეგორია	60	100	6 000	600	600-1000
საბალახო				300	300-400

1 გაბ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 11 ივლისი, N151, გვ. 2.
 2 გაბ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 24 აგვისტო, N190, გვ. 3.
 3 გაბ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 31 ივლისი, N168, გვ. 3.

აღმოსავლეთ საქართველოში (ხორბალი)

მინების კატეგორიები	მოსავალი (ფუტებში) ხორბლისა ერთი დესეტინიდან	ფასი (მანეთებში) ერთი ფუტი ხორბლისა	საერთო შემოსავალი 1 დესეტინა მიწისა	შეღავათიანი ფასი 1 დესეტინისა	ფასების ცვლილება
I კატეგორია	60	200	12 000	1 200	არა ნაკლებ 1200
II კატეგორია	50	200	10 000	1 000	1000-1500
III კატეგორია	30	200	6 000	600	600-1000
საბალახო				200	200-300

მიუხედავად იმისა, რომ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა აგრარული რეფორმის წარმატებით მიმდინარეობის შესახებ ცნობები, რეფორმაზე პასუხისმგებელი პირები თვლიდნენ, რომ რეფორმა ფერხდებოდა და თავის თავდაპირველ მიზნებს სცდებოდა.

1919 წლის მიწურულს მინების გლეხებზე გადაცემის პროცესი და, შესაბამისად, გლეხების მიერ სახელმწიფო ხაზინაში საფასურების შეტანა დაწყებული იყო. ამ დროს ერობათა კავშირმა მიმართა სამინისტროს, რომ მინების დარიგებისგან მიღებული შემოსავლის 40% ერობებს დარჩენოდათ.¹ სამინისტრომ 1921 წლის იანვარში შეიმუშავა დეკრეტის პროექტი, რომლის თანახმადაც, ერობებს რჩებოდათ რეფორმისაგან მიღებული შემოსავლების 40%, ხოლო 60% შედიოდა ცენტრალურ ბიუჯეტში.²

1919 წლის დეკემბერში თბილისის სამაზრო ერობა აცხადებდა, რომ 6 თვეში აგრარული რეფორმა, მინების განაწილება უმინაწყო გლეხებისათვის დასრულდებოდა.³

რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა სოხუმის ოლქში რეფორმის გატარებას, რადგანაც იქ მინის მფლობელები დიდ გავლენას ფლობდნენ და შეეძლოთ დიდი პოლიტიკური არასტაბილურობა ჩამოეგდოთ.

1 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 28 ნოემბერი, N270, გვ. 2.

2 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 14 იანვარი, N9, გვ. 2.

3 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 5 დეკემბერი, N276, გვ. 3.

აფხაზეთში აგრარული რეფორმის განხორციელება და სახელმწიფო მამულების გამგებლობა ეკისრება აფხაზეთის კომისარი-ატის მიწათმოქმედების განყოფილებას.¹ პრესის ცნობით, აფხაზეთში კულტურული მამულების მიღება მხოლოდ 1920 წლის 16 იანვარს დაიწყო.

1920 წელს გამოიცა ნოე ხომერიკის წიგნი „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“, სადაც მინისტრი ვრცლად მიმოიხილავდა აგრარული რეფორმის საფუძვლებსა და შედეგებს. ის წერდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ხსნა არის არა მხოლოდ მიწების გლეხებისათვის გადაცემა, არამედ არსებული მიწათა ფონდის გაფართოებასა და ტექნიკური შესაძლებლობების ზრდაში (ხომერიკი, 1920, 10-11). ხომერიკის თანახმად, საქართველოში დესეტინაზე მარცვლეულის მოსავლიანობა 57 ფუთი იყო, მაშინ, როდესაც გერმანიაში 134, ბელგიაში 161, ხოლო დანიაში 183. საქართველოში დესეტინაზე საშუალოდ 95 ვედრო ყურძენი მოდიოდა, საფრანგეთში 137, გერმანიაში 235, შვეიცარიაში კი 319 (ხომერიკი, 1920, 32). საქართველოში 100 სულ მცხოვრებზე 95.61 თხა ცხვარი და 19.31 ღორი მოდიოდა, რაც ევროპის მასშტაბით საშუალო მაჩვენებელი იყო. 1917 წლის აღწერით საქართველოში 1.3 მილიონი მსხვილფეხა და 2.1 წვრილფეხა საქონელი ითვლებოდა (ხომერიკი 1920, 46-47).

მინისტრის მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ცნობები მაზრების მიხედვით თითოეულ ოჯახსა და სულზე მიწათა ფონდის გაანგარიშებით (ხომერიკი 1920, 21):

მაზრები	ვარგისი მიწები, დესეტინა		სახნავ-სათესი მიწები, დესეტინა	
	ოჯახზე	სულზე	ოჯახზე	სულზე
რაჭის	2.81	0.37	1.11	0.15
შორაპნის	1.91	0.35	1.38	0.25
ლეჩხუმის	2.19	0.33	1.23	0.19
ახალქალაქის	7.39	0.96	6.40	0.84
თბილისის	3.74	0.66	3.20	0.56
კოდორის	5.81	1.06	3.83	0.78

1920 წლის იანვარშიც მიწათმოქმედების სამინისტრო აცხადებდა, რომ რეფორმის სწრაფი ტემპით განსახორციელებლად სამინისტროს 700-800 მიწის მზომელი სჭირდებოდა, მაშინ, როდესაც სამინისტროში მოცემულ მომენტში სულ 250 მიწისმზომელი მუშან

¹ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 იანვარი, N2, გვ. 2.

ობდა. 1920 წლის აპრილში სამინისტრომ მიწისმზომელთა მობილიზაცია გამოაცხადა, ხოლო თბილისში არსებული მიწისმზომელთა სასწავლებელს დაევალა კადრების მოკლე ვადებში მომზადება.

1920 წლის იანვარ-თებერვალში გამოქვეყნდა აგრარული რეფორმის წინასწარი შედეგები, რომელიც 1919 წლის 1 ივნისიდან 1 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავდა. საერთო ფონდში გადავიდა შემდეგი რაოდენობის მიწები:¹

მაზრები	ჩამორთმეული მამულების რაოდენობა	ფართობი (დესეტინებში)
თფილისის მაზრა	33	4 351.94
სიღნაღის მაზრა	76	4 057.17
თელავის მაზრა	9	74.39
ბორჩალოს მაზრა	148	35 548.98
ახალციხის მაზრა	141	74 786.33
ახალქალაქის მაზრა	33	12 145.81
ქუთაისის მაზრა	99	783.01
ლეჩხუმის მაზრა	45	35 197.17
ოზურგეთის მაზრა	186	19 939.23
რაჭის მაზრა	12	45.83
სენაკის მაზრა	93	696.15
შორაპნის მაზრა	145	2 435.50
სულ	1023	190 061.52

აქვე, 1918 წლის გაზაფხულიდან² 1920 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 2 714 მამული ჩამოართვეს, ჯამში 511 538.97 დესეტინა. დადგენილი ნორმების საფუძველზე ყოფილი მემამულეებისათვის დატოვებულ მიწათა რაოდენობა უდრიდა 27 572.46 დესეტინას, თბილისის გუბერნიის მიწათა ფონდის 5.4%-ს.³

დასავლეთ საქართველოში, სოხუმის და ბათუმის ოლქის გამოკლებით, 1920 წლის იანვრისათვის ჩამორთმეული იყო 995 მამული 110 157.95 დესეტინა, ნორმით დატოვებული იქნა 7 115.40 დესეტინა.⁴

1 გაზ. ერთობა, 1920 წლის 1 თებერვალი, N24, გვ. 3.

2 მიწათა ჩამორთმევის პროცესი დიდწილად 1918 წელს განხორციელდა.

3 გაზ. ერთობა, 1920 წლის 2 ივლისი, N147, გვ. 3.

4 გაზ. ერთობა, 1920 წლის 2 ივლისი, N147, გვ. 3.

მაზრების მიხედვით ჩამორთმეულ მიწათა ფონდი ასე გამოიყუფ რებოდა, აღმოსავლეთ საქართველოში:

მაზრა	ჩამორთმეული მიწის ფართობი (კვ. დესეტინებში)
თფილისის	42 139.71
სილნალის	39 159.68
თელავის	4 4901.74
ბორჩალოს	91 314.18
დუშეთის	20 612.62
თიანეთის	31 636.79
ახალციხის	7 8376.24
ახალქალაქის	12 685.61
გორის	12 0506.12
სულ	511 538.97

დასავლეთ საქართველოში:

მაზრა	ჩამორთმეული მიწის ფართობი (კვ. დესეტინებში)
ქუთაისის	92 73.09
ზუგდიდის	28 87.03
ლეჩხუმის	37 668.33
ოზურგეთის	22 227.67
რაჭის	139.72
სენაკის	28.541
შორაპნის	9 420.42
სულ	110 157.95

ჩამორთმეულ მიწათა უდიდესი ნაწილი ტყეები და საძოვრები იყო, ჩამორთმეულთაგან აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 146 784.01 დესეტინა იყო კულტურული მიწა, ხოლო დასავლეთში 29 932.26.

1918-1921 წლებში სასურსათო კრიზისის დასაძლევად რეფორმის პარალელურად მთავრობა მსჯელობდა, თუ როგორ გაეზარდა დამუშავებულ მიწათა მოცულობა და ამ გზით აღმოეფხვრა შიმშილობის რისკები. 1920 წლის 6 იანვარს მთავრობამ დაადგინა, რომ თუ მფლობელი არ დათესავდა სახორბლე მიწებს, ერობები მათ იძულებით დაათესვინებდა ან იჯარით გააცემინებდა.¹

ბათუმის ოლქში აგრარული რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოები მხოლოდ 1920 წლის შემოდგომაზე, ოლქის რესპუბლიკასთან შემოერთებიდან 2-3 თვის შემდეგ დაიწყო.² ოლქში მნიშვნელოვან გავლენას ფლობდნენ მიწისმფლობელები, რის გამოც სერიოზული კონფლიქტი და მცირე პოლიტიკური კრიზისიც კი შეიქმნა რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელ, საგანგებო კომისარ ბენია ჩხიკვიშვილსა და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ლიდერებს შორის.

1920 წლის შემოდგომაზე გაჩნდა იდეა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განსავითარებლად აუცილებელი იყო ევროპელი, განსაკუთრებით კი გერმანელი აგრონომების ჩამოყვანა და რესპუბლიკის აგრარული სექტორის დაგეგმარებაში მათი ცოდნის გაზიარება.³

1920 წლის მიწურულს, როდესაც რეფორმა უმეტესად დასრულებული იყო და შეძლებისდაგვარად გაფართოებული იყო სახნავ-სათესი მიწების მასშტაბები, ხორბლის მოსავალმა დაახლოებით 600000 ტონა შეადგინა (ვოიტინსკი 2018, 217).

მიწათმოქმედების სამინისტროს მონაცემებით, 1916 წელთან შედარებით, 1920 წელს დამუშავებულ მიწათა რაოდენობა 57%-ით გაიზარდა და 1913 წლის მონაცემების 88%-ს შეადგინა, 1920 წელს, 1913 წელთან შედარებით, დამუშავებული მიწების 62% იყო პოლონეთში, 75% ლატვიაში, ხოლო 95% ლიტვაში (კანდელაკი 1960, 160).

1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული კონსტიტუციის 116-ე მუხლი, რომელიც მიწის საკითხს შეეხებოდა, აცხადებდა:

„წვიხიდი მწახმოებდის, სოფლის მეუხნის, ხედოსანის, შინამხეწვედის-შიომის ნაყოფის დაცვა კეხძო პიხთა ექსპლუატაციისაგან სახედმწიფოს განსაკუთრებული საზღუნავი საგანია. ხესპუბლიკის განსაკუთრებული საზღუნავია აგხეთვე სოფლის მეუხნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.

1 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 7 აპრილი, N78, გვ. 2.

2 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 21 ივლისი, N161, გვ. 2.

3 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 19 ოქტომბერი, N236, გვ. 2.

შეფასებები

კონსტანტინე კანდელაკი ემიგრაციაში გამოქვეყნებულ ნაშრომში წერდა:

„1921 წლის იანვარში აგხაჟი იეფოხმა ჩვენში თითქმის სავსებით დასხულებული იყო და ცხოვრებაში გატახებული. ამ იეფოხმის გამო ბევრ შემთხვევაში, წვიხიდ მეუხნეობას, უკვე ახსებულს ფაქტიუხათ იჯახის სახით, კეხძო საკუთხებას უფდებხივი საფუძველი მიუცა. მახთდაც თუ სახნავ-სათესი მიწის ხაოღენობა თითო ოჯახს (ოჯახში 5, 8 სუდი) ანუ მეუხნეობას უწევდა საშუალოთ ახა უმეცეს 2.5 ჰექტარისა თეოხიუდათ (სინამდვილეში ზოგს მეტი ჰქონდა, ზოგს ნაკლები და ზოგს ახაფეხი)“ (კანდელაკი 1960, 154).

აგრარულ რეფორმას საინტერესოდ აჯამებდა ნოე ჟორდანიას:

„ჩვენმა სოციალიზმმა ამ სფეხოში მიიღო სპეციალური ქახთური ხასიათი. ჩამოხთმეუდი სახნავ-სათესი მიწები გადავეცით გდებობას კეხძო საკუთხებათ, ხაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური დოქტრინას. ჩვენი ხედმძღვანელი ახი იყო, საქახთვედოს მცხოვრებთა დიდ უმხავდესობას, გდებობას დაენახა ხომ საქახთვედოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა ცხოვრების ახადი საშუალებანი. ასე ხომ, აგხაჟი იეფოხმა გახდა უაღხესათ ნაციონალური იეფოხმა ჩვენში“ (ჟორდანიას 1990, 101).

ბოლშევიკები აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატთა აგრარულ რეფორმას არა მხოლოდ იმის გამო, რომ უარი თქვეს ნაციონალიზაციასა და მუნიციპალიზაციაზე, არამედ იმის გამოც, რომ სოციალ-დემოკრატებმა ყოფილ მემამულეებს დაუტოვეს საკმაო და დაუშვეს მიწების ყიდვა-გაყიდვა (ლი 2018, 157).

სამინისტროს მიერ 1920 წლის ბოლოს შემუშავებულ ანგარიშში გაცხადებული იყო:

„აგხაჟი იეფოხმა იმ სახით, ხა სახითაც იგი დაიწყო ჩვენში, დღეს თითქოს დასხულებუდაც უნდა ჩაითვადოს. მემამულეთა მიწათმფლობელობის დიკვიდაცია გათავდა - მიწები მათ ჩამოეხთვათ, ხოდო ჯეხ ახ დასხულებუდა ამ მიწების ფოხმადუხათ გადაცემა ლახიბი გდებებისათვის, მახა ამ მუშაობის დიდი ნაწილი ადგილობრივათ უკვე შესხულებულია. კიდევ ეხთი ზაფხუდის მუშაობა და ჩვენ საბოდროთ გვეცოდინება თუ ხა მისცა იეფოხმამ გდებკაცობას. მიუხედავათ ამისა, ახდაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ხომ იგი ცხოვრებამ სავსებით გაამახთდა... .. აგხაჟი იეფოხმის წყობილებით გაიბა მუშათა დემოკრატისა და გდებკაცობის შოხის ის მჭიდრო კავშირი, ხომედიც დღემდე ახ დახლვეუდა და ხაც შეადგენდა და ახდაც შეადგენს ჩვენი ხესპუბლიკის სიმტკიცის მთავახ

საფუძველს. გღეხი აფასებს მომხდახ ცვლილებას და ამიგომ ახის, ჰომ იცავს ჰესპუბლიკას თავისი სიცოცხლითა და ქონებით“¹

სამინისტროს დათვლით მიწების გამოსასყიდი თანხით გღეხე-ბისათვის გადაცემა, საბოლოოდ, ბიუჯეტს დამატებით 1 მილიარდი-დან 1.4 მილიარდამდე მანეთს შესძენდა.²

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას 1921 წლის თებერვალში საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით სტაბილურობა მიღწეული ჰქონდა. ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა და საკმაოდ ეფექტურად მართავდა რესპუბლიკის ტერიტორიას (ზაქათალის სადაო ოლქის გამოკლებით). ეს მდგომარეობა ქვეყანაში, სხვა დანარჩენ რეფორმებთან ერთად, დიდწილად აგრარული რეფორმის გატარებით იყო მიღწეული.

რეფორმის გატარებით, ერთი მხრივ, საფუძველი გამოეცალა აგრარულ ნიადაგზე ბოლშევიკურ აჯანყებებსა და არასტაბილურობას, მეორე მხრივ კი, მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას - გღეხებს პირველად გაუჩნდათ კერძო საკუთრება.

მოქალაქეებმა, დამოუკიდებლობისგან და შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისგან მიიღეს არა მხოლოდ პოლიტიკური უფლებები, არამედ სოციალურ-ეკონომიკური უფლებებიც გამოხატული კერძო საკუთრებით და მისი დაცვით. ეს რეფორმა გახდა ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იმისა, რომ 1921 წლის თებერვალში, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს რესპუბლიკის შიგნით აჯანყების მოწყობა და მასების მიმხრობა. რესპუბლიკის ოკუპაცია სრულად გარედან, წითელი არმიის ნაწილების შემოჭრით განხორციელდა. შემდგომში გღეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის საზოგადოების სხვა კლასებთან ერთად გახდნენ ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი დასაყრდენი.

დამონებაანი:

ათანელიშვილი, თამარ. 2006. ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) (ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია). თბილისი: თსუ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/May/dissertations/atanelishvili-ekonomikuri-disertacia.pdf> (ნანახია: 26.08.2023).

ანდერსენი, ენდრიუ. 2016. აფხაზეთი და სოჭი: კონფლიქტის ფესვები 1918-

1 სცსა, ფონდი 1915, ანან. 3, საქმე 41, ფურც. 27-28.

2 სცსა, ფონდი 1915, ანან. 3, საქმე 41, ფურც. 28.

1921. Eagle head Publishing,

ბენდიანიშვილი, ალექსანდრე. 2001. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბილისი: მემატიანე.

დევიდარიანი, გაიოზ. 1931, მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში. ტფილისი: სახელგამი.

ვოიტინსკი, ვლადიმირ. 2018. ქართული დემოკრატია. თბილისი: თსუ.

ირემაძე ირაკლი, ლორთქიფანიძე ლევან, შუბითიძე სოფიკო და ყაზაიშვილი ხვიჩა. 2015. ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია. თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება.

კანდელაკი, კონსტანტინე. 1935. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი პირველი: ტერიტორია და მოსახლეობა. პარიზი: დავით ხელაძის გამოცემა.

კანდელაკი, კონსტანტინე. 1960. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა. Paris: Institute for the study of the USSR. კაუცკი, კარლ. 2018. საქართველო - გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლი, ერიკ. 2018. ექსპერიმენტი - საქართველოს მივიწყებული რევოლუცია. თბილისი: პოეზია.

ჟორდანია, ნოე. 1990. ჩემი წარსული. თბილისი: სარანგი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921) (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე). 1990. თბილისი: ივერთა მხარე.

ხვადაგიანი, დავით. 2020 „სამხრეთ ოსეთი“, წითელი ვანდეა. თბილისი: სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი - საქართველო (<https://www.infoarmy.ge/ge/news/148/samkhret-oseti-tsiteli-vandea> (ნანახია: 25.08.2023).

ხომერიკი, ნოე. 1920. აგრარული რეფორმა და ჩვენი სოფლის მეურნეობა. თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის გამოცემა.

Woytinsky, Wladimir S. 1961. Stormy Passage, A Personal History Through Two Russian Revolutions to Democracy and Freedom: 1905-1960. New York: The Vanguard Press.

Welt, Cory. 2013. A missed Opportunity? Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the democratic Republic of Georgia (1918-1921). In book "Democracy and State Building in Georgia, 1918-2010" (ed. Stephen F. Jones). London: Forthcoming.

IRAKLI IREMADZE

Ivane Javakhishvili
Tbilisi State University,
Georgia
irakli.iremadze@tsu.ge

AGRARIAN REFORM IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA¹

INTRODUCTION

The rapid and effective implementation of the land reform was a matter of utmost importance for the Democratic Republic of Georgia. This reform was linked to the existential issues for the republic, which had got the heaviest inheritance from the Empire precisely in the agrarian sphere. The peasants' reform, which started in the Empire in 1861, brought some freedom to peasants but failed to make any marked improvements in the situation from the economic viewpoint.

In 1900, peasants owned 6.2% of the land fund, its 57.8% were treasury lands (including church lands), and 31.3% of land fund was under the ownership of aristocracy (Devdariani 1931, 288-289)

The statistics on the reality existing in 1917 is provided by Konstantine Kandelaki, the Minister of Finance and Trade and Industry of the Democratic Republic of Georgia. In particular, by 1917 the land fund of Georgia amounted to 5 537 207 desyatina and was distributed as follows:

Russian Treasury 2,020,012 des., 36.4%

Private landowners 3 517 195, 63.6%

The ratio of private landowners was as follows:

Aristocracy -621 695, 17.7%

Peasants and peasant societies - 2,915,080, 82.3%.

The difference may have been caused by the increase of the land redeemed by temporarily- obligated peasants and as a result of the so-called "Stolypin reform". 52.6% of the total land stock was in the hands of peasants by 1917, however, their majority owned less than 2 hectares of land. 64% of peasants in eastern Georgia and 42% of them in western

1 This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

Georgia held the land on lease. The rental costs often made up 25-30% of the crop (Kandelaki 1960, 147-149).

In 1918 and 1921, more than 80 percent of the population was employed in agriculture. The similar figure in Finland, the former part of the Russian Empire, was 30.4% (Kandelaki 1935, 167-168) in the same period.

Georgian socialists gained their first experience of implementing the agrarian reform in Guria in 1905, where contrary to the program (municipalization) of the party, the peasants, on whom the Social Democrats had great influence, demanded the transfer of land into their private ownership.

The February Revolution of 1917 created a good grounds for launching the agrarian reform. The researchers consider the delay of agrarian reform in 1917 to be one of the main reasons for the collapse of February Revolution and the democratic changes in Russia as a whole (Woytinsky 1961, 398).

Since May 1918, the responsibility for implementation of the agrarian reform was shifted from the imperial centers to the capitals of new republics in Transcaucasia. Georgia embarked on this reform at a fairly rapid pace, Armenia tried to implement the reform but without any success (Woytinsky 1961, 235), and there were no systematic attempts in Azerbaijan at all.

The rapid introduction of the agrarian reform was essential not only for the states emerged after the collapse of the former empires of Eastern Europe, but also for Western Europe itself. The Left - wing was particularly vocal about the need for the reform. In 1914-1918, the idea of transferring land to the peasants dominated the leftist parties in Germany, Austria, France and elsewhere. Since 1918, the agrarian reforms have been carried out in: Bulgaria, Romania, Yugoslavia, Greece, Hungary, Poland, Finland, Latvia, Lithuania and Estonia.

Noe Jordania's advisor, a renowned economist Wladimir Woytinsky, points out in his book "Georgian Democracy":

"In Georgia every peasant knows what the revolution and the young republic born of revolution have given them: land and democratic self-government: land, that is, the right to work freely without fear that someone else will come and take away the wheat sown by the sweat of your brow; Self-government, the belief that life has become clearer, easier and more civilized" (Woytinski 2018, 271).

According to Konstantine Kandelaki's evaluation, following the 1917 revolution the citizens demanded for resolving two issues: ***"Society expected the revolution to solve two major issues: freedom and land"*** (Kandelaki 1960, 145)

Transcaucasia was separated from Russia after the October coup of

1917. On December 16, 1917, the Transcaucasian Commissariat, a temporary governing body, issued a special decree and informed the citizens about the commencement of agrarian reform¹. The decree issued by the Commissariat was condemned and criticized by the Bolsheviks. In February 1918, a new temporary representative body - Transcaucasian Sejm was established. The Sejm attempted to create the legal documents for reforms in a more systematic way. In March 1918, the Sejm published a draft law on the agrarian reforms, which announced:

“The lands of all private owners, except for the size specified in the following article, will be confiscated from the owner and transferred absolutely free of charge to the land fund to be at the disposal of the land committees.”

The owners of confiscated lands shall be left:

- a) 7 desyatina if valuable crops are cultivated in the region
- b) 15 desyatina, if only bread is grown in the area.
- c) And more than 40 desyatina if you only raise livestock².

On March 8, 1918, the Sejm approved the law on the agrarian reform in a special session³.

On April 22, 1918, the Sejm proclaimed the independence of Transcaucasian Democratic Federative Republic. The Republic had existed for only 34 days and clearly failed to carry out the systemic reforms.

In the spring of 1918, in Georgia the first uprising was triggered by agrarian reasons in Gori *Uezd* (District) of Java region populated by the Ossetians. The uprising was led by the officers and Bolsheviks having returned from the front. The landless Ossetian peasants, so called “Khizani”, demanded the transfer of land into their ownership (Khvadagiani 2020, 3).

Parallel to the ongoing rebellions in Java region, the agrarian reform of May-June 1918 was also resonated in Sukhumi region. Andrew Andersen writes: “**The large Abkhazian landowning aristocrats, who feared that Georgia’s social democratic leaders might have implemented the land reform disadvantageous to them, focused their attention on the Ottoman Empire**” (Andersen 2016, 18).

The conflict in these two regions was conditioned by different factors, in Abkhazia the landowners were Abkhazians and Georgian peasants expected to get the land as a result of the reform, while in Java the situation was the opposite, Georgians were the owners of lands and the Ossetians were the ones waiting to own the land. (Welt 2013, 2-3).

1 Newspaper Ertoba [Unity], December 20, 2017, N221, p.1.

2 Newspaper Ertoba, March 8, 1918, N54, p.2.

3 Newspaper Ertoba, March 10, 1918, N 56, p.1.

THE INDEPENDENCE OF GEORGIA AND CHAOTIC NATURE OF AGRARIAN REFORM

On May 26, 2018 the Coalition Government, in which Social Democrats were outnumbered, should have taken responsibility for implementing the reform.

Karl Kautsky wrote about the necessity of implementing the revolutionary agrarian reform in the Democratic Republic of Georgia:

“A number of circumstances, which resembled those in Russia, necessitated the agrarian revolution. Under the conditions of democracy the agrarian revolution came to the same end as in case of dictatorship. However, under the conditions of democracy the revolution was carried out more peacefully, systematically and consciously, with less chaos and without disorder.” (Kautsky 2018, 88)

The main Right-wing political power – National Democratic Party openly criticized the idea regarding the confiscation of lands from landowners without compensation, National Democratic Party (EDP) also harshly criticized the Social – Federalists’ and Social-revolutionaries’ opinion about the introduction of land socialization and common property¹.

According to the calculations performed by the Central Statistical Committee of the Ministry of Agriculture in 1918 -1919, with the exception of Batumi and Zakatala regions the territory of Georgia amounted to 7 067 676.8 sq. des. land in aggregate, out of which 852 155.8 were croplands. According to *Uezd* (District) the land was distributed as follows²:

<i>Uezd</i> (district)	Land fund	Farmland	Croplands	Vineyards
Borchalo	691 690.7	151 556.2	111 131.5	1756.3
Sighnaghi	606 312.1	63 528.8	50 902.3	5533.1
Dusheti	390 910.4	24 072.9	18 740.0	1298.1
Tiflis	458 771.5	70 239.5	55 650.5	2685.3
Gori	688 322.2	84 293.3	72 019.5	3703.2
Akhaltzikhe	267 188.9	30 271.1	27 019.5	743.2
Tianeti	486 954.9	13 845.5	11 660.8	316.7
Akhalkalaki	277 188.9	10 097.5	78 681.4	293.0
Kutaisi	348 633.5	66 350.0	59 276.7	6 848

1 Newspaper Sakartvelo, June 9, 1918, N112, p. 2.

2 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note 3, case 63, p.1-2.

Racha	283 774.8	17 226.7	12 659.6	1 639.7
Senaki	214 179.2	45 580.6	43 936.2	231.8
Ozurgeti	217 598.3	27 889.8	25 912.1	806.6
Lechkhumi	490 632.1	12 700.6	10 702.6	611.2
Shorapani	300 133.9	52 684.5	43 513.0	9 091.2
Zugdidi	268 861.8	51 049.0	49 412.9	1 594.6
Sokhumi region	831 103.9	99 103.6	90 826.3	6 658.0
Total	7 067 676.8	851 155.8	787 949	48 084.7

The Summer of 1918 was a hard period for the newly formed republic, because the revolutions having been initiated on the agrarian grounds by the Bolshevik's leadership broke out in Lechkhumi, Dusheti, Tianeti, and later in Zugdidi and Ozurgeti. The newspaper "Ertoba" wrote:

"Hence, we are currently faced with the following question: we must either give the confiscated lands to the peasants as private property and thus, the peasantry will stand up for the revolution as a passionate defender, and saving the country from the crucible of anarchy they will rescue the Democratic Republic of Georgia, or if we do not take the mentioned in the consideration everything will be destroyed."

According to the data of August 20, 1918, the land volume transferred to the disposal of the village land committees was as follows:-

Tiflis Gubernya (Governorates): Tiflis *Uezd* (district) - 39 857 de-syatina, Gori district - 17 341, Dusheti - 6 030, Tianeti- 8 724, Signaghi - 9 785, Telavi - 16 073, the land transferred to the province in aggregate - 97 812.

Kutaisi Governorates: Kutaisi *Uezd* -3408, Shorapani - 1 565, Racha - 35, Ozurgeti- 10 382, Zugdidi - 1 833, Senaki - 24 151, the total of land transferred to the province - 41 378².

Since Autumn 1918, the agrarian reform was retarded by the climate conditions as well. Khomeriki notified the government that, in fact, the course of agrarian reform had the seasonal nature throughout the Republic³.

1 Newspaper Ertoba, July 25, 1918, N 155, p. 3.

2 Newspaper Ertoba, September 7, 1918, N 191, p.3.

3 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note. 3, case 40, p.43.

The Department of Land Reforms of the Ministry of Agriculture was established in August, 1918¹. The chairman of the Department was Davit Chaduneli, the Department was entrusted with coordinating the affairs of provincial and district land departments and committees. In fact, the reform implementation was commenced in Spring 2019 by the Department having taken charge of 48 acting committees in Tbilisi province and 53 - in Kutaisi province. The Department launched the implementation of the reform in Spring, 2019. A number of problems emerged in the process of starting its activities. Due to the war-time the implementation of the reform in Akhaltsikhe, Akhalkalaki and Borchalo started later². There were 17 people employed in the central unit of the department, and each *Uezd* (District) employed 1 district committee chairman (total 20). Each committee was staffed with 2 instructors and 1 administrator. As a whole, the district establishments numbered 80 staff members, with a total of 160 administrators employed in local committees. The general official staff of the department equaled to 275.³ According to Davit Chubinishvili's report of August 4, 1919, the aggregate of 48 committees functioned in Tbilisi *Uezd*, 52 –in Kutaisi Governorates and 6 committees - in Sukhumi region, that totaled to 106 committees⁴.

In order to support the agrarian reform there existed appendage departments with 205 people employed in it, the central department was staffed by 8 and the district departments – by 197 employees – the governors of local departments, land surveyors with their assistants and secretaries⁵.

NEW LEGAL FRAMEWORK

At the end of 1918 the discussions on the new legislative initiations were launched in order to improve the pace and outcomes of the agrarian reform. And at the outset of 1919, it became evident that the opposition factions would not support the developed draft laws.

The speech made by the Minister of Agriculture, Noe Khomeriki, during discussing the Bill assumed the paramount importance:

1 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note 2, case 57, p.1.

2 Ibid. p.1-2.

3 Ibid, p. 7.

4 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note 3, case 21, p.67-68.

5 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note. 2, case 62, p.1-2.

“Gentlemen, the agrarian issue, in general, and particularly, that of land represents the greatest political and social matter in question. This issue as a focal point converges the interests of all the circles of the entire society. A variety of communities meet here each other to struggle and lead their path. Democracy always put forth the agrarian issues and made attempts to find solutions, but the former system, our government always avoided it and tried to follow the old relationships ... Even in the first months of the revolution the movements started in villages; If we consider the documents concerning the first days of revolution, we will see that the peasantry attempted to tackle the land issue themselves. These were grounds to give rise to the excesses initiating the activities in reactionary circles, on the one hand, and laying foundation for anarchy, on the other hand... The presented Bill is originated exactly from this point. When we say that the part of confiscated land should be transferred to the peasantry in their private ownership, we imply what really exists. The reality dictates that the mentioned part of land should be transferred to peasants in private ownership”.¹

On January 28, 1919 the parliament of Georgia approved the law on the ***“Land transfer to the private estate ownership of the population from the land fund”***. The Act represented the continuation of the law of December 16, 1917 and March 7, 1918. The law stated: ***“ Article 1. The estates of the state agricultural land fund shall be transferred to private ownership of the rural population exclusive of those referred to in the following Article (2) of this law.*** (The Democratic Republic of Georgia, ... meeting 1990, 217) (The Democratic Republic of Georgia, Collection of legal acts, 1990, 217), In Article 3 it was prescribed: ***“The land shall be transferred to the ownership of the landless and small landowners of rural residents whose main source of subsistence represents the agricultural labour.”*** The law also stipulated the need for the common property in relation to the pastures and forests.

The explanatory note of the Bill emphasized that it was impossible to transfer land to peasants free of charge ***“So, as we have seen, the transfer of land to peasants for a small fee is acceptable from the political, economical and financial viewpoint, it is a targeted measure in all respects. But their free transfer is not only inadmissible but impossible as well.”***²

On January 28, 1919, the law “On declaring former charter, treasury and other lands as private property” was approved. The law applied to the former treasury peasants, the so called „Khizani” (migrant) population of Osetian nationality, the peasants from Akhaltsikhe Uezd and Sukhumi region, who owned the lands pursuant to the law on Muslim population

1 Newspaper Republic of Georgia, January 25, 1919, N 19, p 2-4.

2 Explanatory note, p. 8. is preserved at the National Library of the Parliament of Georgia F559/5.

and the inhabitants of outlying regions.

According to the law from March 8, 1918 the purchase and sale of land was prohibited not only for the former subjects of Russian Empire but the citizens of foreign countries who wanted to leave the region and sell their property (Atanelishvili 2006, 48). Only on February 10, 1920, the Constituent Assembly began to work on the repeal of this ban. The Social-Democrats accepted the criticism of the National-Democrats and permitted the purchase and sale of lands (Bendianishvili, 2001, 246-247).

On February 14-16, 1919 the election of Constituent Assembly was held. In the programs published by the parties for the assembly election the agrarian issues and their attitude towards the reform occupied the salient place (Iremadze and others 2015, 142-161).

THE COURSE OF REFORM

In February 1919, one of the serious problems posed was the appropriation of former landowners' lands by peasants. In parallel to the reform the locals turned into a kind of racketeers. They seized even the established norms¹ of lands left to the former landowners. In response to such actions Khomeriki declared that those responsible for such actions would be punished by law².

Since the spring of 1919, the active reinforcement of local committees have started. The vacancies were publicly announced for the positions of land surveyors, their assistants and secretaries of committees³.

In early July 1919, the local Community (Eroba) of Kutaisi district began to distribute lands. 1 desyatina of land cost from 800 to 2400 Manats⁴. The cost of land even more increased in 1920-1921. In Khashuri 1 desyatina land of the first category cost 5000 Manats late in 1920⁵.

On July 24, 1919, pursuant to the law of January 28, 1919 the Government issued a decree specifying the categories of confiscated lands: I category: gardens, vegetable gardens and rich places, II category – fertile arable lands, III category – barren lands and IV category – pastures. The reasonable and preferential land prices were determined as well, which were as follows⁶:

1 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note 3, case 7, p.134

2 Newspaper Republic of Georgia, February 28, 1919, N 469, p 3.

3 Newspaper Ertoba, April 1, 1918, N 73, p.3

4 Newspaper Republic of Georgia, July 11, 1919, N 151, p 2

5 Newspaper Republic of Georgia, August 24, 1920, N 190, p. 3

6 Newspaper „Republic of Georgia, July 31, 1919, N 168, p. 3



Western Georgia (Maize)

Land categories	Maize yield (packed) per desyatina	Maize price per Pood (in manats)	Total income per 1 desyatina of land	Preferential price per 1 desyatina	Price change
I category	150	100	15 000	1 500	Not less than 1500
II category	100	100	10 000	1 000	1000-1500
III category	60	100	6 000	600	600-1000
Pastures				300	300-400

Eastern Georgia (wheat)

Land categories	Wheat yield (packed) per desyatine	Wheat price per Pood (in manats)	Total income per 1desyatine of land	Preferential price per desyatina	Price change
I category	60	200	12 000	1 200	Not less than 1200
II category	50	200	10 000	1 000	1000-1500

Ill cate- gory	30	200	6 000	600	600- 1000
Pastures				200	200-300

Despite the fact that the press often published reports on the successful progress made in the agrarian reform, the persons responsible for the reform deemed that the reform was retarding and failed to achieve its initial objectives.

By the end of 1919, the process of transferring the lands to peasants and, accordingly, the payment of duties by peasants to the state treasury had already started. At that time the Union of Local Self-Governments (Erobedi) petitioned the Ministry to leave 40% of the income from the land distribution at the disposal of the Communities¹. In January 1921, the Ministry developed a draft decree according to which 40% of the income received from the reform remained with Local Communities and 60% was included in the central budget².

In December 1919, the Local Community of Tbilisi *Uezd* declared that the agrarian reform and the distribution of land to landless peasants would be completed in 6 months³.

The government of the Republic was especially cautious about the implementation of the reform in Sukhumi region, since the landowners there were extremely influential and could cause the increased political instability.

In Abkhazia, the implementation of agrarian reform and the management of state estates were in charge of the agricultural department of the Abkhaz Commissariat. According to the press reports, the acquisition of cultivated estates in Abkhazia began only on January 16, 1920.

In 1920, Noe khomeriki's book "Land Reform and Our Agriculture" was published, where the Minister gave the detailed review on the basis and results of the agrarian reform, where he wrote that the salvation of Georgian agriculture lies not only in the transfer of land to peasants, but also in the expansion of the existing land fund and the growth of technical capabilities (Khomeiriki, 1920, 10-11). According to Khomeriki, the grain yield per desyatina in Georgia was 57 Pood, while in Germany it amounted to 134 Pood, in Belgium - 161, in Denmark - 183. The grapes yield per desyatina averaged 95 buckets in Georgia, in France it equaled to 137, Germany - 235, and in Switzerland - 319 buckets of grapes (Khomeiriki, 1920, 32). In Georgia the number of goats and sheep per 100 inhabitants accounted for 95.61 and that of pigs equaled to 19.31, which represented the Europe-

1 Newspaper Republic of Georgia, November 28, 1919, N 270, p. 2

2 Newspaper Republic of Georgia, January 14, 1921, N 9, p. 2

3 Newspaper Republic of Georgia, December 5, 1919, N 276, p. 3.

an average. According to the 1917 census, there were 1.3 million cattle and 2.1 small animals counted in Georgia. (Khomeriki, 1920, 46-47).

The Minister's report provided the information on the calculation of the land fund per family and person according to the *Uezds* (Districts) (Khomeriki 1921,21):

<i>Uezds</i> (Districts)	Fertile lands, Desyatina		Arable lands, Desyatina	
	per family	per person	per family	Per person
Racha	2.81	0.37	1.11	0.15
Shorapani	1.91	0.35	1.38	0.25
Lechkhumi	2.19	0.33	1.23	0.19
Akhalkalaki	7.39	0.96	6.40	0.84
Tbilisi	3.74	0.66	3.20	0.56
Kodori	5.81	1.06	3.83	0.78

Even in January 1920, the Ministry of Agriculture stated that the Ministry needed 700-800 land surveyors to carry out the reform at a rapid pace, while at the moment only 250 land surveyors worked in the Ministry. In April 1920, the Ministry announced the mobilization of land surveyors, and the School of Land Surveyors existing in Tbilisi was instructed to prepare the personnel in a short time.

In January-February 1920, the preliminary outcomes of the agrarian reform were published, covering the period from June 1 to December 1, 1919. The following amount of land was transferred to the common fund¹:

<i>Uezds</i> (Districts)	The amount of confiscated estate	Area (in desyatinas)
Tiflisi	33	4 351.94
Sighnaghi	76	4 057.17

¹ Newspaper Ertoba, February 1, 1920, N24, p. 3.

Telavi	9	74.39
Borchalo	148	35 548.98
Akhaltzikhe	141	74 786.33
Akhalkalaki	33	12 145.81
Kutaisi	99	783.01
Lechkhumi	45	35 197.17
Ozurgeti	186	19 939.23
Racha	12	45.83
Senaki	93	696.15
Shorapani	145	2 435.50
Total	1023	190 061.52

Here, during the period from spring of 1918¹ to January 1, 1920, in Eastern Georgia the total of 2714 estates were confiscated amounting to 511,538,97 desyatina, in aggregate. The amount of land left to the former landowners according to the established norms equaled to 27,572,46 of desyatina, making up 5.4% of the land fund of Tbilisi province².

In Western Georgia, excluding Sukhumi and Batumi counties (regions), 995 estates with the total area of 110,157,95 desyatina were confiscated, and the land left pursuant to the established norms amounted to 7,115,40 desyatina by January 1920³.

The confiscated land fund according to the *Uezds* was as follows :

In Eastern Georgia

<i>Uezds</i> (districts)	The area of confiscated land (in sq. desyatinas)
Tiflisi	42 139.71
Sighnaghi	39 159.68
Telavi	4 4901.74
Borchalo	91 314.18
Dusheti	20 612.62

¹ The process of land confiscation to great extent was implemented in 1918.

² Newspaper Ertoba, July 2, 1920, N147, p. 3

³ Newspaper Ertoba, July 2, 1919, N 147, p. 3.

Tianeti	31 636.79
Akhaltsikhe	7 8376.24
Akhalkalaki	12 685.61
Gori	12 0506.12
Total	511 538.97

In western Georgia

Uezd	The area of confiscated land (in sq. desyatinas)
Kutaisi	92 73.09
Zugdidi	28 87.03
Lechkhumi	37 668.33
Ozurgeti	22 227.67
Racha	139.72
Senaki	28.541
Shorapani	9 420.42
Total	110 157.95

The most part of confiscated lands represented forests and pastures. Out of the land confiscated, only 146,784,01 desyatina accounted for the cultivated land in eastern Georgia, and the same figure for western Georgia was 29,932,26.

In order to overcome the food crisis in 1918-1921, the Government held discussions how to increase the amount of cultivated land and thus, eliminate the risks of famine in parallel with the reform. On January 6, 1920, the government ruled that if the owner did not sow the land with wheat, the Local Communities would force them either to sow or lease them¹.

The preparatory works on the agrarian reform in the Batumi region was launched only in Autumn of 1920, 2-3 months after the annexation of the region to the Republic². Landowners had a significant influence in the district, due to which the serious conflict and even a small political crisis was created between the representative of the central government of the Republic, the special commissioner Benia Chkhikishvili and the leaders

1 Newspaper Republic of Georgia, April 28, 1920, N 78, p. 2

2 Newspaper Republic of Georgia, July 21, 1920, N161, p. 2

of the Mejlis (parliament) of Muslim Georgia

In Autumn of 1920, the idea was put forward that the development of agriculture in Georgia necessitated inviting the European, especially German, agronomists and sharing their knowledge in planning the agricultural sector of the republic¹.

By the end of 1920, when the reform had been mainly completed and the area of arable land had been expanded to the greatest extent, the wheat harvest amounted to about 600 thousand tons (Woytinsky 2018, 217).

According to the data provided by the Ministry of Agriculture in 1920 the amount of cultivated land increased by 57% compared to 1916 and amounted to 88% of data of 1913, and in 1920 the 62% of cultivated land was in Poland, 75% - in Latvia and 95% - in Lithuania compared to 1913 (Kandelaki 1960. 160).

Article 116 of the Constitution, adopted on 21 February 1921, referred to the land issue and declared:

“The protection of the products of a small producer’s, farmer’s, artisan’s, handicraft’s labour from the exploitation of individuals is a special concern of the state. The particular responsibility for the development of agriculture falls on the republic as well; The cultivation and utilization of land represents the landowner’s duty to the society”.

EVALUATIONS

Konstantine Kandelaki as an emigrant wrote in his publication:

“In January 1921, the agrarian reform in our country was almost fully completed and implemented. In fact, owing to this reform, in many cases, the small farms existing already in the form of leasing were provided with the legal basis of private property, if the amount of arable land to be cultivated theoretically averaged more than 2.5 hectares per family (5, 8 people in the family) or farm (actually, someone had more, someone had less, someone had nothing)” (Kandelaki, 1960, 154).

Noe Jordania interestingly summed up the agrarian reform:

“Our socialism has acquired a special Georgian character in this area. We transferred the confiscated arable lands to the peasantry in private property, which was contrary to socialist doctrine. Our guiding ideal was that the majority of Georgian population, the peasantry, could see that the independence of Georgia brought them land, gave

¹ Newspaper Republic of Georgia, October 19, 1920, N236, p. 2

them new means of life. Thus, the agrarian reform has become a highly national reform in our country” (Jordania 1990, 101)

The Bolsheviks criticized the agrarian reform of the Social Democrats not only because they rejected nationalization and municipalization, but also because the Social Democrats left the former landowners with quite an abundance and permitted them to buy and sell the land (Lee, 2018, 157).

The report produced by the Ministry in late 1920 declared:

“The agrarian reform in the form, in which it was launched in our country, should be considered completed today. The liquidation of landowner’s ownership has come to an end – the lands have been confiscated from them, the formal transfer of these lands to the poorest peasants has not yet been completed, however, most of this work has already been locally fulfilled. One more summer’s work and we will finally find out what benefits the reform has brought the peasantry. Despite this, even now it is safe to say that life has fully justified it... .. Owing to the implementation of the agrarian reform, the strong ties were established between the labor democracy and the peasantry, which has not been broken to date, it used to form and is still forming the main basis for the strength of our republic. The peasant appreciates the changes made and therefore, protects the republic at the cost of his life and property. “¹

According to estimates of the Ministry, the land transfer to peasants for redemption will eventually add from 1 to 1.4 billion Manats to the budget².

CONCLUSION

In February 1921, the Democratic Republic of Georgia achieved stability in terms of domestic politics. The central government controlled and effectively managed the territory of the Republic (with the exception of the disputed Zakatala region). To a greater extent, this situation was achieved through the implementation of agrarian reform along with the other reforms in the country.

The implementation of the reform, on the one hand, eliminated the grounds for Bolshevik uprisings and instability initiated on agrarian reasons, and on the other hand, the vast majority of citizens - peasants for the first time received their own private property.

As a result of the independence and, therefore, owing to the Democratic Republic of Georgia, the citizens received not only the political but socio-economic rights as well, which was expressed in private property and its protection. This reform became one of the main reasons why de-

1 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note 3, case 41, p.27-28

2 Central Historical Archive of Georgia, Fund 1915, supra note 3, case 41, p.28

spite their numerous attempts the Bolsheviks were unable to organize any uprising within the republic and get the support of the masses in February 1921. The occupation of the republic was carried out completely from the outside, through the invasion of units of the Red Army. Subsequently, a significant part of peasants, along with other classes of society, became one of the strongholds of the anti-Soviet resistance movement.

REFERENCES:

- Atanelashvili Tamar. 2006. Economic Reforms in the Democratic Republic of Georgia (1918-1921). The dissertation presented to earn the scientific academic degree in Economical Sciences.) Tbilisi: TSU. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/May/dissertations/atanelishvili-ekonomikuri-disertacia.pdf> (Seen: 26.08.2023)
- Andersen Andrew. 2016. Abkhazia and Sochi: Roots of the Conflict 1918-1921. ???: Eagle head Publishing,
- Bendianishvili, Aleksandre. 2001. The first republic of Georgia (1918-1921). Tbilisi: Chronicler
- Devdariani, Gaioz. 1931, Days of Mensheviks' rule in Georgia. Tiflisi: Sakhelgami (State publishing house).
- Jordania, Noe. 1990. My Past. Tbilisi: Sarangi.
- Iremadze, Irakli, Lortkipanidze, Levan, Shubitidze Sopiko and Kazaishvili, Khvicha, 2015. Chrestomathy of Georgian Left Wing. Tbilisi: Tbilisi Fabian Society
- Kandelaki, Konstantine. 1935. National Farming of Georgia, Book 1: Territory and Population. Paris: Davit Kheladze edition.
- Kandelaki, Konstantine. 1960. National Farming of Georgia, Book 2, Independent Georgia: its social and economic state. Paris: Institute for the study of the USSR
- Kautsky, Karl. 2018. Georgia – A Social Democratic Peasant Republic: impressions and observations. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi state University Publishing House.
- Khomeriki, Noe. The Agrarian Reform and Our Agrarian System. Tbilisi: The Union of City of the Democratic Republic of Georgia.
- Lee, Eric. 2018. Experiment –The forgotten revolution of Georgia. Tbilisi: Petry.
- Welt, Cory. 2013. A missed Opportunity? Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the democratic Republic of Georgia (1918-1921). In book “Democracy and State Building in Georgia, 1918-2010” (ed. Stephen F. Jones). London: Forthcoming
- Woytinsky, Wladimir. 1961. Stormy Passage: A Personal History Through Two Russiaan Revolutions to Democracy and Freedom 1905-1960. New York: The Vanguard Press.
- Woytinsky Wladimir. 2018. Georgian Democracy. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi state University Publishing House.

სათუნა ბაინდურაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი,
საქართველო
baindurashvilikhatuna@yahoo.com

ქართველი ქალები სეფიანთა ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში (XVI საუკუნის V-იანი წლები)

საისტორიო წყაროები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ნორმალიზების საკითხში დინასტიური ქორწინება უდიდეს როლს თამაშობდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქალი, როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობებში დიპლომატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენდა. „ქალის საკითხი“ განსაკუთრებით გააქტიურდა XVI საუკუნიდან სეფიანთა ირანთან ურთიერთობის პერიოდში და აქტუალობა არც ირანის მმართველი მომდევნო დინასტიების დროს დაუკარგავს. ქართული სამეფო დინასტიისა და სხვა წარჩინებული ოჯახების ქალებს „მედიატორის“ როლი უნდა შეესრულებინათ და შეიძლებისდაგვარად „სასიკეთო გავლენა“ მოეხდინათ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. სწორედ ასეთი იყო ქართველი ქალების ირანის შაჰზე „გათხოვების“ თუ მისთვის რიგით ხარჭად გაგზავნის მიზანი.

ქართველების ყოფნას სეფიანი შაჰების სამსახურში არაერთი მკვლევარი შეეხო. ე. მამისთვალიშვილი,¹ მ. სვანიძე,² ჰ. მადეა,³ ნ. ფალსაფი.⁴ მათ შორის, მ. სვანიძემ ყურადღება გაამახვილა სეფიანი შაჰების ჰარამხანაში მყოფ ქართველ ქალებზე. მაგრამ უნდა

1 ე. მამისთვალიშვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები (1576-1578 წწ.) (ევროპული წყაროების მიხედვით), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1977, №4, გვ. 107-117.

2 მ. სვანიძე, ქართველები ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკურ სარბიელზე XVI-XVII სს-ში, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990, გვ. 241-347.

3 ჰ. მადეა, ქართველები სეფიანთა ირანში, ლულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა, თბ., 2008.

4 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ), სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ჯ. სტეფნაძემ, თბ., 2003.

აღინიშნოს, რომ საკითხისადმი მიძღვნილი ყველა ნაშრომის მიზანი შაჰ თამაზ I-ის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებულ დაპირისპირებაში ქართველების როლისა და მიზნების წარმოჩენაა.

ჩვენი კვლევის მიზანია: ირანის შაჰის – თამაზ I-ის (სპარსული წყაროებით – თაჰმასპი (1524-1576 წწ.) კარზე მყოფი ქართველი ქალების ვინაობის დაზუსტება და შაჰის ჰარემში მათი სტატუსის განსაზღვრა. კერძოდ, შაჰთან მათი ქორწინების ფორმის დადგენა და სეფიანთა ირანში ქართველი ქალების პოლიტიკური როლის წარმოჩენა.

ქართველი ქალების შესახებ პირველად 1860 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა.¹ სტატიის ავტორი „ქართველი ქალები, ისტორიული მიმოხილვა“, დიმიტრი ბაქრაძე წერს, რომ საქართველოში ქალებს წიგნიერებას და ხელსაქმეს ოჯახებში კარგად ასწავლიდნენ. გარდა ამისა, ავტორი ხაზს უსვამს მათი ხასიათის თავისებურებას და აღნიშნავს, რომ „ბუნებითი ტაკტი აქვთ მრავალი ქართველ ქალებსა“, რომ ისინი პატიოსანი და მორჩილი ბუნებისანი არიან, აქვთ ვალდებულების და პასუხისმგებლობის გრძობა.² ქართველი ქალის ისტორიული მისიის შესახებ დ. ბაქრაძე წერს: „ვიზანტიის მფლობელნი და დიდებულნი ხშირად ცდილობდნენ შეუღლებასა ქართუჭლოს ქალებთან ... მეთერთმეტე საუკუნეში კოსტანტინეპოლის იმპერატორი მიხეილ-დუკა იყო დაქორწინებული ბაგრატ მეოთხის ასულზედ, რომელსაც ერქუა მართა, და მართას ბიძაშვილი ირინე ჰყავდა იმპერატორის ძმას ისაკ-კომნენს; ბაგრატის დის წული³ ჰყავდა სელჯუკის სულთანს ალფ-არსლანს. მეთორმეტე საუკუნეში დავით მეორეს (იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი – ხ. ბ.) ჰყავდა ორი ქალი – კატა და თამარ. კატა იცოლა ალექსი კომნენმა, იმპერატორის ნიკიფორე ბარიანისა და განთქმულის მწერლის ანნა კომნენის შვილი; თამარ შეუღლდა შირვანის მთავართან, რომელსაც ერქუა ფადლონ და რომელიც თამარისაგანვე იყო გაქრისტიანებული. მეთოთხმეტე საუკუნეში ტრაპიზონის იმპერატორს ალექსი მეორეს ჰყავდა ქალი მესხეთის ათაბაგისა ბექისა. ისტორია ამასაც გვიანბობს, რომ 1450 წ. იმპერატორმა კონტანტინე დრაგოზემ წარმოგზავნაო, საქართუჭლოში ელჩი დიდის საჩუქრებით გიორგი მერკს ქალის სათხოვნელათ, მაგრამ უჟამო კოსტანტინეს სიკუდილმა მოშალაო ამ საქმის დაბოლოება ... არაბეთის სახალიფოს მოადგილენი ანუ ემირნი და სპარსეთის მფლობელნი აგრეთვე ეტანებოდნენ ქართუჭლ ქალებსა. ... ისტორია დაწულილებით არ მოგვი-

1 დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, ისტორიული მიმოხილვა, ცისკარი, 1860, №4, გვ. 251-280.

2 დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, გვ. 261-262.

3 ბაგრატ IV-ის დის შვილი ამავე დროს იყო სომეხთა (ტაშირ-ძორაკეთის) მეფის – კვირიკეს ძმის შვილი, ანუ დედით ქართველი სომეხი პრინცესა. მას დ. ბაქრაძე, როგორც ჩანს, ქართველად მიიჩნევს.

თხრობს იმათ მდგომარეობას სამშობლო ადგილების გარეთ; მაგრამ ეჭვ არ არის, იმათ უნდა ჰქონიყოთ გავლენა სულთნებზედა და შაჰზე და ამ გავლენას სასარგებლოდ მოიხმარდნენ თავისს სამშობლო ქუცყანისათვისაც.“¹

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური – შარდენი აღფრთოვანებული წერდა: „ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებერ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია; არიან მაღალნი, კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად წელწვილინი. ფერუმარილი, რომელსაც ერთნაირად ხმარობენ ლამაზების და ულამაზონიც, მათ არ უხდებათ. იგი სამკაულის შემცვლელია და მას ისეთსავე მორთულობად იყენებენ, როგორც ჩვენში თვალმარგალიტსა და ლამაზ ტანსაცმელს. ... ქართველები არიან თავაზიანი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი.“²

პირველად, ქართულ ისტორიოგრაფიაში შაჰ აბას I-ის (1588-1629 წწ.) კარზე გაგზავნილი ქართველი ქალების შესახებ დაინტერესდნენ. კ. კეკელიძე წერს: „... ის ქალები მეფე-დიდებულთა ოჯახებიდან, რომელნიც იგზავნებოდნენ შაჰის კარზე, როგორც მეუღლენი და თანამეცხედრენი მრისხანე ტირანისა, ან იძულებით, ან ნებაყოფლობით, უკანასკნელ შემთხვევაში იმ ანგარიშით, რომ დასიძების გზით აეცილებინათ და ასე თუ ისე შეერბილებინათ გულისწყრომა და რისხვა ამ ჯალათისა.“³

XVI საუკუნის დასაწყისში ირანში სეფიანთა სახელმწიფო შეიქმნა, რომელმაც ძალიან მალე, აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო. ყიზილბაშები პირველად ქართლში შაჰ ისმაილ I-ის (1501-1524 წწ.) ბრძანებით შემოიჭრნენ და თბილისი დაარბიეს. ამ დროს ირანელთა მიერ საქართველოდან წაყვანილ ტყვეებზე ქართველი მემატიანეები (ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი და ვახუშტი ბატონიშვილი) არაფერს წერენ. შაჰ ისმაილ I-ის კარზე ქართველი ტყვე ქალების გაგზავნის შესახებ არც მისი ცხოვრების აღმწერი

1 დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 264-265, 267.

2 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 297.

3 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 217.

ანონიმი ავტორი და არც „თარიხ-ე ჯაჰან-არა“¹ წერს.

ირანის შაჰის ჰარემში ქართველი ქალები პირველად შაჰ თაჰ-მასბ I-ის (1524-1576 წწ.) დროს ჩნდებიან. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობები ძალზედ მწირია. ბერი ეგნატაშვილი წერს: „... ესე შაჰ-თამაზ: ეზრახა ათაბაგს ქაიხოსროს და სთხოვა ცოლად (ქალი – ხ. ბ.) ტომისაგან თვისისა. ხოლო ათაბაგს თვისი არა ჰყვანდა რა, და ენათესავებოდა ოთარი შალიკაშვილი ათაბაგსა, ამისთვის ნებაყოფლობით გამოართუა ქალი და ნათესავად თვსად გაუგზავნა ყაენსა და ყაენმან შეირთო ცოლად.

და რაჟამს შეირთო, ესე იყო საყუარელ ყაენისა, შეიქმნა წყობა შაჰ-თამაზსა და ათაბაგს შუა.“² იმავეს წერს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ამის შემდგომად მოვიდა შასთამაზ, აღილო ტფილისი ქ-სა ჩ-ფმც (1548 წ., მეორე ლაშქრობაა – ხ. ბ.), ქარ. ს-ღვ. და ტფილისი-დამ ეზრახა ქაიხოსრო ათაბაგსა (ქაიხოსრო II (1545-1573 წწ. – ხ. ბ.), რათა მისცეს ასული თვისი ცოლად. არამედ ათაბაგსა არა ესუა ასული, გარნა მისცა ასული ოთარ შალიკაშვილისა, რამეთუ ნათესავი ახლოს იყო ქაიხოსროსი. ამით დაემზახლა შასთამაზ და მოსცა ნიჭი დიდძალი ყეენმა ათაბაგსა და წარვიდა სპარსეთად, რამეთუ ჰყო ესე ყეენმან ძმაცვთ საქართველოთა შინა“.³

უნდა აღინიშნოს, რომ ისქანდერ მუნში, რომელიც თავის ნაშრომში ცალ-ცალკე ქვეთავებად აღწერს შაჰ თაჰმასბის ოთხივე (1540/1 წ., 1547 წ., 1551 წ., 1553/4 წ.) ლაშქრობას საქართველოში, მისთვის შალიკაშვილის ქალის გაგზავნაზე არსად არ საუბრობს. ერთი შემთხვევა, რა დროსაც შაჰის სარდლებს ქართველ დიდებულთა საგვარეულოს ქალები (და ვაჟებიც) გადაეცათ საჩუქრებად, იყო მეოთხე ლაშქრობა (1554 წ.). ამ დროს ქართლში ყიზილბოშთა ლაშქრობის შესახებ ისქანდერ მუნში წერს: „در این یورش زیاد از سی هزار اسپر به دست جیوش دریا خروش در آمد از آن جمله آنچه زنان و دختران و پسران عظاما و به استخواناران بود در عوض خمس به سرکار اشرف اختصاص یافت.“ „ამ ლაშქრობაში 30.000-ზე მეტი ტყვე ჩაუვარდა ხელში ზღვასავით მქუხარე ჯარს. მათგან ისინი, ვინც დიდებულთა, წარჩინებულთა და აზნაურთა ცოლები, ქალიშვილები და ვაჟები იყვნენ, „ხუთისთავის“ ანგარიშში შაჰის უკეთილშობილეს სარქარს (სარდლებს – ხ.ბ.) მიაკუთვნეს.“⁴

1 სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ, სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბ., 1990, გვ. 21-28.

2 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 364.

3 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 715-716.

4 انارث، ۱۳۹۰، دیار داری شش گو، به سبب عاری از علم خیرات، انامکرت گبی رندنکسا 4

თუმცა, მანამდე, სამცხეში ყიზილბაშთა ლაშქრის ყოფნისას, 1551 წელს, მესამე ლაშქრობის დროსაც წაიყვანეს ტყვეები. როგორც ჰასან-რუმლუ წერს, ირანელებმა სამცხიდან „ფერიების მსგავსი ქართველი ლამაზმანები ტყვედ წაიყვანეს.“¹ ამდენად, მოტანილი წყაროებიდან ვიგებთ, რომ ყიზილბაში დიდებულებისა და ირანის შაჰის ჰარემში ქართველი ქალები 1548, 1551 და 1554 წლებში უნდა მოხვედრილიყვნენ. აქედან, 1548 წელს, შაჰ თაჰმასბ I-მა, ქართული წყაროების მიხედვით, იქორწინა ოთარ შალიკაშვილის ასულზე, დანარჩენ შემთხვევებში კი ქალები ტყვეებად არიან წაყვანილნი. კიდევ ერთი გარემოება იყო – კერძოდ, ქართველი მეფე-მთავრები ყოველწლიურად შაჰის კარზე „საჩუქრებად“ რჩეულ გოგო-ბიჭებს აგზავნიდნენ, რომელთა ნაწილი შაჰის ჰარემში რჩებოდა, ნაწილი კი საჩუქრებად ურიგდებოდათ ყიზილბაშ დიდებულებსა და მოხელეებს (ამ საკითხს ქვემოთ შევხებით).

სპარსულ ისტორიოგრაფიაში შაჰ თაჰმასბ I-ის მემკვიდრეების საკითხს დაწვრილებით შეეხო ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი, რომელმაც სპარსულ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით დეტალურად გადმოგვცა შაჰ თამაზის შვილების თანმიმდევრობა და მათი დედების ვინაობა. სამწუხაროდ, ქართული და სპარსული წყაროები ამ ქართველი ქალების ქართულ სახელებსა და გვარებს (გარდა შალიკაშვილის გვარისა) არ ასახელებენ და შესაბამისად, ისტორიოგრაფიაშიც ეს საკითხი გაურკვეველი რჩება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ვიცით ამ ქალების სპარსული სახელები.

როგორც ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი მიიჩნევს, შაჰ თაჰმასბ I-ის მემკვიდრე 12 უფლისწულიდან ოთხ მათგანს ქართველი დედები ჰყავდათ. ესენი არიან: სოლთან ზადე ხანუმი – მეოთხე, შაჰის უსაყვარლესი ვაჟის – ჰეიდარ მირზას დედა; ზაჰრა ბაჯი – მეექვსე ვაჟის – მუსტაფა მირზას და მეცხრე ვაჟის – ალი მირზას დედა; ხანფარვან ხანუმი – მერვე ვაჟის – იმამყული მირზას დედა² (ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გვაქვს, რომელსაც მოგვიანებით შევხებით). შაჰ თამაზს 8 ასულთაგან ერთ-ერთი – ზეინაბ ბეგუმი, რომელსაც ადრე ანა ხანუმი რქმევია, ქართველი ქალისგან ჰყავდა.³ მ. სვანიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა, ზეინაბ ბეგუმის დედა ქართულ წყაროებში მოხსენიე-

1. ص. 121 ; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 21.

2. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 29.

3. ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ), სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ჯ. სტეფანაძემ, თბ., 2003, გვ. 8-9.

3. ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 8.

ბული შალიკაშვილის ასული ყოფილიყო.¹

ნ. ფალსაფი აღნიშნავს: „შაჰ თამაზის ბევრი ცოლი იმ მხევალთა და ასულთაგანი იყო, რომელთაც გორჯესთანის ამირები სხვა ძღვენთან და საჩუქრებთან ერთად ყოველწლიურად უგზავნიდნენ ხოლმე შაჰს.“²

საინტერესოა ირანელი ისტორიკოსის მიერ დასახელებული ტერმინები: „მხევალი“ და „ასული.“ ჩვენი აზრით, ეს ტერმინები ცალსახად განასხვავებს შაჰის ჰარემში მოხვედრილ ქალთა უფლებრივ მდგომარეობას. „მხევალი“ (ხარჭა) უფრო დაბალი წარმომავლობის მაჩვენებელია და ჰარამხანაში მის არაპრივილეგირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს, ხოლო „ასული“ დიდებულთა ოჯახების წევრ ქალს უნდა აღნიშნავდეს. თანაც ძალზედ პირობითია ისტორიოგრაფიაში არსებული „შაჰის ცოლის“ სტატუსი. ზოგადად, შიიტ მუსლიმს და მათ შორის შაჰსაც მხოლოდ ოთხი ცოლის ყოლის უფლება ჰქონდა. ამავე დროს, შეეძლო დროებით ქორწინებაში (სიღე) ყოფილიყო ქალთან და ასევე ჰყოლოდა განუზომელი რაოდენობის ხარჭა. აქედან გამომდინარე, ყველა ქალი (მათ შორის ქართველებიც), რომლებიც შაჰის შვილების დედები იყვნენ, შაჰის ცოლები ვერ იქნებოდნენ.

შაჰ თამაზ I-ის ჰარემში მყოფ ქართველ ქალთა შორის განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა ჰაიდარ მირზას დედას – სოლთან ზადე ხანუმს. როგორც მემათიანეები წერენ, ჰაიდარ მირზას მიმართ შაჰ თაჰმასბს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, იგი გამორჩეულად უყვარდა. უფლებას აძლევდა, სახელმწიფო საქმეებში მამისთვის რჩევები მიეცა და ისიც მის რჩევებს ითვალისწინებდა. ჰაიდარი ერთადერთი უფლისწული იყო, რომელსაც ზრდასრულ ასაკში შაჰის კარზე ყოფნის უფლება ჰქონდა. 1571 წელს სეფიანთა სახელმწიფოში ჩასული ვენეციის რესპუბლიკის ელჩი დ'ალესანდრი წერს: „ჰეიდარ მირზა შაჰის დიდი ნდობით სარგებლობს. იგი 18 წლისაა. ტანმორჩილია, მაგრამ გარეგნობით მეტად ლამაზია. ჰეიდარ მირზა შესანიშნავი ორატორი და ბრწყინვალე მოჭირითეა.“³

ნ. ფალსაფი წერს: „ხოლო მეფის ჰარამხანაში სოლთან ზადე ხანუმი, რომელიც ქართველი იყო და შაჰს ყველა სხვა ცოლზე მეტად უყვარდა, ქართველი სარდლების მეშვეობით, რომელთაც სამეფო კარზე დიდი გავლენა და ძალა ჰქონდათ, თავისი ვაჟის გასამეფებლად ნიადაგს ამზადებდა.“⁴ შემდგომში, შაჰის გარდაცვალების საქმეში ერთ-ერთი ეჭვიმტანილი, სწორედ სოლთან ზადე ხანუმი იყო თავის მომხრე ქართველებთან ერთად.

1 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 243.

2 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 8.

3 Travels of Venetians in Persia (A Narrative of Italian Travels in Persia in the XV and XVI centuries), vol. 49, London, 1873, გვ.125.

4 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 9.

1573 წელს, შაჰ თაჰმასპის მოულოდნელი ავადმყოფობის გამო, სასახლეში უფლისწულებს შორის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ირანში ერთმანეთს ქართული და ჩერქეზული კლანები დაუპირისპირდნენ. ჩერქეზებს ტახტზე თავიანთი კანდიდატის – დედით ჩერქეზი ისმაილ მირზას (შემდგომში შაჰ ისმაილ II) აყვანა უნდოდათ. ამ დროს ისმაილი დაუმორჩილებლობის გამო, შაჰის ბრძანებით ალამუთის ციხეში იყო გამომწყვდეული. მას მხარს ყიზილბაში ამირების ნაწილი და სასახლეში დანინაურებული ჩერქეზები უჭერდნენ. მთავარი დასაყრდენი კი მაინც მისი და, დიდი გავლენის მქონე – ფერიხან ხანუმი იყო.

ქართული დაჯგუფების მეთაურად ისქანდერ მუნში ზაალ-ბეგ ქართველს ასახელებს: „... ზაალ-ბეგი, რომელიც იმ ჯგუფს (ჰაიდარის მომხრეთა – ხ.ბ.) ეკუთვნოდა, ხოლო მისი და შაჰის მეუღლეთა რიგებში ითვლებოდა და რამდენიმე უფლისწულის დედა იყო, სულთან ისმაილის მომხრეთა მოძულე იყო, მუდამ ეწეოდა შაჰის აბანოში სამსახურს.“¹

შაჰ თაჰმასპის სიცოცხლის ბოლო წლებში, განსაკუთრებით 1573 წლიდან (მისი ავადმყოფობის შემდეგ), ყიზილბაში ამირები შაჰის სიცოცხლეს ქართველებს აღარ ანდობდნენ. „ისმაილ მირზას მომხრეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ზაალ-ბეგი უმადური იყო და სახელმწიფოს ერთგული სუფიები მას არ ენდობოდნენ. ჩვენ არ დავუშვებთ, თქვეს მათ, რომ ამ დროს, როცა მისი უდიდებულესობა ასე დასუსტებულია, იგი (ზაალ-ბეგი) აბანოში წავიდეს და იქ იმსახუროსო, მისი ღალატისაგან უზრუნველყოფილი არა ვართო.“² როგორც ისქანდერ მუნში გადმოგვცემს: „ქართველები ამბობდნენ, ჩვენში რა დაინახეს ისეთი, რომ ჩვენი სამსახურის შესრულებას გვიშლიანო.“³ ზაალ ბეგისა და ქართველების ეს სამსახურიც ნათლად მეტყველებს მათ სიახლოვეზე ირანის შაჰთან. ცხადია, რომ მათ შაჰ თაჰმასპი ძალიან ენდობოდა, რადგან ფაქტობრივად, თავის სიცოცხლეს ანდობდა ქართველებს მაშინ, როდესაც იგი ყველაზე მეტად დაუცველ მდგომარეობაში იყო. სამეფო აბანოში შაჰის უსაფრთხოების დაცვა ზაალ ბეგსა და კიდევ რამდენიმე ქართველს ევალებოდა.

ირანელი ისტორიკოსი შერეფ ხან ბითლისი წერს, რომ ჰაიდარ მირზასა და იმამყული მირზას ბიძები დედის მხრიდან იყვნენ ალიხან გურჯი და ზაალ გურჯი.⁴ როგორც ზემოთ ვნახეთ, ისქანდერ მუნშიც წერს, რომ ზაალ გურჯის და შაჰის მეუღლე იყო, რომელსაც

1 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 25-26.

2 ისქანდერ მუნში, გვ. 26.

3 ისქანდერ მუნში, გვ. 26.

4 კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, თბ., 1962, გვ. 175.

რამდენიმე უფლისწული ჰყავდა. ჰაიდარის ტახტზე ასვლას მხარს უჭერდა ასევე უსთაჯლუს ტომი, რომლის ბელადი – ჰოსეინ ბეგ უსთაჯლუ, დედით ქართველი უფლისწულების – მუსტაფასი და იმამყულის აღმზრდელი იყო.¹

დ. კაციტაძე აღნიშნავს, რომ: „უსთაჯლუს ტომის ამირებმა შაჰად გამოაცხადეს თავისი აღზრდილი შაჰ-თამაზ I-ის მეხუთე² შვილი ჰაიდარ მირზა, რომლის დედაც ქართველი ქალი იყო, შალიკაშვილის ასული. ჰაიდარ მირზას გახელმწიფებას მხარს უჭერდნენ შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველები (ჰაიდარ მირზას დედის ძმა ალხან (//ალიხან – ხ. ბ.) გურჯი, ზაალ გურჯი, თაჰმასბ გურჯი, დაუდ გურჯი და სხვანი).“³

ნ. ფალსაფი წერს, რომ შაჰ თამაზის შემდეგ ირანში ჰეიდარ მირზას გამეფებას ცდილობდნენ „... მამაცი და სახელოვანი ქართველი სარდლები – ზაალი, დაუდი და თამაზი – იმამყული-მირზას დედის ხანფარვან ხანუმის ძმები. ... იმის გამო, რომ ჰეიდარ მირზას დედაც ქართველი იყო. ეს ქართველი სარდლები ყიზილბაშთა ტომებში სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი სიმამაცით და საქართველოში დიდძალ ქონებასა და მამულებს ფლობდნენ.“⁴ ნ. ფალსაფი ასევე აქვე ასახელებს ჰეიდარ მირზას ბიძას – ალიხან გორჯის.⁵

ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაეჭირათ მხარი ხანფარვან ხანუმის ძმებს (ზაალი, დაუდი და თამაზი) ჰაიდარ მირზას გამეფებისთვის, თუ კი მათი საკუთარი დის შვილიც ტახტის მემკვიდრე იყო?

ისქანდერ მუნშისა და შერეფ ხან ბითლისის ცნობებზე და ნ. ფალსაფის კვლევებზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ ჰაიდარ მირზას დედა სოლთან ზადე ხანუმია და ისი ძმები არიან ზაალ ბეგ გორჯი და ალიხან გორჯი (ნ. ფალსაფის მიაჩნია, რომ სოლთან ზადე ხანუმს მხოლოდ ერთი უფლისწული – ჰაიდარ მირზა ჰყავდა, რასაც ვერ გავიზიარებთ). ასევე ისტორიული ნარატივების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ სოლთან ზადე ხანუმი არა ერთი, არამედ ორი უფლისწულის (ჰაიდარ მირზას და სავარაუდოდ, ალი მირზას) დედა უნდა იყოს.

ამდენად, წყაროთა მონაცემების შეჯერების საფუძველზე, ჩვენი აზრით, სოლთან ზადე ხანუმის ვაჟები იყვნენ: შაჰ თაჰმასბის მეოთხე უფლისწული – ჰაიდარ მირზა და მერვე უფლისწული – იმა-

1 J. Hammer, დასახ. ნაშრ. გვ. 475; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 517; ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 86-87; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტის პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 42.

2 დ. კაციტაძე ჰაიდარ მირზას შაჰ თამაზის მეხუთე უფლისწულად მიიჩნევს.

3 დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები, თბ., 2009, გვ. 399-400.

4 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 9.

5 ნ. ფალსაფი, გვ. 10.

მყული მირზა, ზაჰრა ბაჯის ვაჟი იყო მეექვსე უფლისწული – მუსტაფა მირზა და ხანფარვან ხანუმის ვაჟი იყო მეცხრე უფლისწული – ალი მირზა.

სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ხანფარვან ხანუმის ძმები – დაუდი და თამაზი და სოლთან ზადე ხანუმის ძმები – ზაალი და ალიხანი, რომლებიც სეფიანთა ირანის სამეფო კარზე დაწინაურებულები არიან, ქართველ დიდებულთა საგვარეულოებს ეკუთვნოდნენ, რადგან ისინი საქართველოში დიდძალ ქონებასა და მამულებს ფლობდნენ.

შაჰ თაჰმასბი 1576 წლის 14 მაისს, ღამით გარდაიცვალა. ჰაიდარ მირზა მისმა მომხრეებმა ირანის შაჰად გამოაცხადეს. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში ვკითხულობთ: „ქორონიკონსა ს-დდ: მაისსა ი-ე, დღესა სამშაბათსა, ყაენი შაჰ-თამაზ მოკუდა და უსტა-ჯლუანთა და იოთამის შვილმან ალიხან-სულთან აიდარ-მირზას ბატონობა მოინდომეს“.¹ იმავეს იმეორებს „მესხური ქრონიკა“: „ქ-სა ს-დდ: მაისსა ი-ე, დღესა სამშაბათსა, ყაენი შასთამაზ მოკუდა, და უსტაჯალუანთა და იოთამის შვილმან ალიხან-სულთან ჰაიდა-რ-მირძას ბატონობაჲ მოინდომეს.“²

მუნჯიმ-ბაშის გადმოცემით, ტახტისათვის ბრძოლის პროცესში, ჰეიდარ მირზა დედამისის მითითებით მოქმედებდა.³ ეს ცნობა, ხაზს უსვამს საშინაო პოლიტიკაში სულთან-ზადე ხანუმის აქტიურ ჩარევას. როგორც ვ. ჰინცი წერს, როდესაც ქალაქში შაჰის გარდაცვალების შესახებ ხმა გავრცელდა, ამან დიდი მღელვარება გამოიწვია. შაჰ თაჰმასბის უკანასკნელი სურვილიც გამოაცხადეს, რომ ყველა ემირი და სეფიანთა დინასტიის ქვეშევრდომი ჰეიდარს უნდა დამორჩლებოდა, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ამ ცნობას უნდობლად შეხვდა.⁴ ამავე დროს, ჰაიდარის მიმდევრებმა ასეულის უფროსის – ჰუსეინ ბეგ უსტაჯლუს სასახლეში მოიყარეს თავი. მათ მუდმივი კავშირი ჰქონდათ სამეფო სასახლეში ჩაკეტილ ჰეიდართან ქალების მიერ მიტანილი წერილების საშუალებით.⁵ როგორც ვხედავთ, შაჰის ჰარამხანა ქართველი ქალის – ჰეიდარ მირზას დედის ხელში იყო. ესეც მის პრივილეგიებულ მდგომარეობაზე მიუთითებს.

შაჰ თაჰმასბის გარდაცვალების შესახებ არსებული ვერსიებით, მის გარდაცვალებაში ქართველების ხელი ერია (ამის შესახებ ევროპელი ავტორები წერენ): ჯ. ჰამმერის გადმოცემით, შაჰი, ჰეიდარ მირზას დედას, ქართველ ქალს, მოუწამლავს, რათა შაჰს ადრე მიღებული გადაწყვეტილება (ანდერძი) ჰეიდარის ტახტზე ასვლის

1 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 517.

2 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890, გვ. 86-87.

3 W. Hinz, დასახ. ნაშრ. გვ. 53.

4 W. Hinz, დასახ. ნაშრ. გვ. 46.

5 W. Hinz, დასახ. ნაშრ. გვ. 46.

შესახებ არ შეეცვალა და მისი შვილისთვის ტახტზე ასვლის უფლება არ ჩამოერთმია. „ამიტომ მას (ჰეიდარ მირზას დედას – ხ.ბ.) სურდა შაჰის ადრეული სიკვდილით უზრუნველყო თავისი ვაჟის სამეფო ტახტზე დაუბრკოლებლად ასვლა.“¹ მეორე ვერსიით – შაჰის ექიმებს შორის იყო გილანელი ჰაქიმ იბნ ნასრი, რომელიც ჰეიდარ მირზას მომხრე იყო. ამიტომ მან მოწამლა შაჰიო.“²

შერეფ-ხან ბითლისის მიხედვით: „ალი-ხან გურჯიმ და ზაალ გურჯიმ, რომლებიც ბიძები იყვნენ დედის მხრიდან ჰეიდარ მირზასი და იმამ-ყული მირზასი, ბაჰრამ-მირზას ვაჟის სულთან იბრაჰიმ მირზას რჩევით, ჰეიდარ-მირზა სამეფო სასახლის პალატებში დატოვეს, რათა ... ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ ის ასულიყო სამეფო ტახტზე.“³

სეფიანთა სამეფო კარზე მიმდინარე პროცესებში უდიდესი როლი შეასრულა ჰეიდარ მირზას ნახევარ დამ – ხანფარვან ხანუმმა. მან მოჩვენებითი მორჩილება გამოუცხადა ჰეიდარს და ტახტზე ასვლა მიულოცა. ამავე დროს, მომხდარი ამბავი საიდუმლოდ, მაშინვე აცნობა ბიძამისს – ჩერქებთა მბრძანებელ შამხალს და გააფრთხილა, რომ თუ სასწრაფოდ არ მიიღებდა შესაბამის ზომებს, მთელი ძალაუფლება ქართველების ხელში გადავიდოდა.⁴ ფერიჰან ხანუმმა შეძლო და შაჰის ჰარამხანის გარე პერიმეტრი თავის მომხრეებს ჩააბარა. როგორც ტ. მინადოი წერს, ისმაილ II-ის დის – ფერიხან ხანუმის მიერ ჰეიდარი ჰარამხანაში ფაქტობრივ ტყვეობაში აღმოჩნდა და ელოდებოდნენ ისმაილის მისვლას ყაზვინში, რომ მას გადაენწყვიტა ჰეიდარის ბედი.⁵

როდესაც ქართველებმა და ყიზილბაშთა ნაწილმა სამეფო კარზე შექმნილი ვითარება შეიტყვეს, ყაზვინის სასახლის დაკავება და ჰეიდარის გადარჩენა სცადეს. განსაკუთრებული თავგანწირვით იბრძოდა ზაალ-ბეგი, რომელიც სასახლეში შეიჭრა და დის შვილის გათავისუფლებას ცდილობდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ფერიჰან ხანუმმა ჰეიდარის მოკვლის ბრძანება გასცა. მისმა მომხრეებმა ჰეიდარი ჰარემში ქალის ტანსაცმელში გადაცმული იპოვნეს და თავი მოკვეთეს. მან მხოლოდ 11 საათი იმეფა.⁶

1 J. Hammer, Geschichte des osmanischen Reichen, II b., Pest, 1834, გვ. 473-474 – ვცით. ე. მამისტვალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

2 W. Hinz, Shah Esmail II, Ein Beitrage zur Geschichte der Safaviden, Berlin, 1933, გვ. 44.

3 კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, თბ., 1962, გვ. 159-186; Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, Шараф-наме, Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Василевой, т. II, М., 1976, გვ. 229.

4 J. Hammer, Geschichte des osmanischen Reichen, II b., Pest, 1834, გვ. 475; ე. მამისტვალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

5 T. Minadoi, Historia della Guerra fra Turchi et Persiani, Venezia, 1588, გვ. 8 – ვცით. ე. მამისტვალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 112.

6 ე. მამისტვალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 113.

მეორე დღეს ისმაილის მომხრეებმა ზაალ-ბეგი და ჰაიდარის სხვა მომხრეები თავიანთ სახლებში შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.¹ შერეფ-ხან ბითლისის ცნობით კი, ზაალ-ბეგი შეტაკებისას სასახლის ბაღში მოკლეს.² ჰუსეინ-ბეგ უსტაჯლუმ კი დედით ქართველი სხვა უფლისწულები (თავისი აღზრდილები – ხ. ბ.) ყუმისა და ქაშანის მიმართულებით წაიყვანა, რათა იქ ერთ-ერთი გაემეფებინა.³ ცხადია, რომ ისინიც ისმაილის ბრძანებით დახოცეს, რადგან შემდგომ უკვე ამ უფლისწულების კვალი სპარსულ წყაროებში იკარგება.

საინტერესოა, როდის და საქართველოს რომელი კუთხიდან შეიძლება მოხვედრილიყო სოლთანზადე ხანუმი შაჰ თაჰმასბის ჰარემში?

ცნობილია, რომ ჰაიდარ მირზა დაიბადა 1554 წელს. ესე იგი, დედამისი შაჰის ჰარემში ერთი ან ორი წლით ადრე უნდა მოხვედრილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1551 წელს ყიზილბაშებმა სამცხეში ლაშქრობის დროს წარჩინებული გვარის ტყვეები ჩაიგდეს ხელში. თუ ამ ვარიანტს დავუშვებთ, ჰაიდარის დედა, შესაძლოა, სამცხიდან ყოფილიყო, მაგრამ როგორც მ. სვანიძე აღნიშნავს, ამ დროს ირანში მესხები ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ჩართულნი არ ჩანან.⁴ ეს კი, ლოგიკურად, გამორიცხავს ქალის წარმომავლობას სამცხიდან.

ძალზე საყურადღებოა შემდეგი გარემოება: კერძოდ, შაჰ თამაზის მეორე ლაშქრობის დროს, 1547 წლის იანვარში, როდესაც იგი უკან ბრუნდებოდა, მას კახეთის მეფე ლევანი და იმერეთის მეფე ბაგრათი ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს. საჩუქრები მიუტანეს და თვითონაც დასაჩუქრებულები დაბრუნდნენ უკან.⁵ ლევანი ყოველთვის ცდილობდა მშვიდობა შეენარჩუნებინა. იგი მუდამ უგზავნიდა შაჰს საჩუქრებს. შესაძლოა მის საჩუქრებში ერთ-ერთი სწორედ ჰაიდარ მირზას დედა ყოფილიყო.

ჰაიდარ მირზას დედის ძმას – ალიხან გორჯის, ისქანდერ მუნში კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) ძმად მოიხსენიებს: „ალი-ხან ქართველმაც, ალექსანდრე-ხანის ძმამ, რომელიც შაქში იყო, [იქ] დარჩენის ძალა ვერ მონახა, გამოეცალა და ლალა ფაშა გალაღებული შირვანში შევიდა“⁶ (საუბარია ჩილდირის ბრძოლაზე. როგორც ჩანს, ეს ალი-ხან გორჯი გადაურჩა შაჰ ისმაილ II-ის რისხვას). ისტორიკოსი ჯ. ჰამერი ალიხან გორჯის ალიხან მირზად მო-

1 W. Hinz, დასახ. ნაშრ. გვ. 53.

2 Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, 1976, გვ. 230.

3 J. Hammer, დასახ. ნაშრ. გვ. 475.

4 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 248.

5 ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფ., 1926, გვ. 5; ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 25.

6 ისქანდერ მუნში, გვ. 30.

იხსენიებს,¹ რაც უფლისწულს ნიშნავს. ერთი რამ ცხადია, რომ ალიხან გორჯი ალექსანდრე მეფის სისხლით ნათესავი უნდა ყოფილიყო, რადგან ქართული სამეფო დინასტიისადმი მისი ახლო კავშირი აშკარაა. მ. სვანიძე ვარაუდობს, რომ ალიხან-გორჯისა და სოლთან-ზადე ხანუმის გვარი იოთამაშვილი უნდა ყოფილიყო.² თუმცა, ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტსა და „მესხურ ქრონიკაში“ სახელი იოთამი მხოლოდ ზემოთ ხსენებულ პირთა მამის სახელია.

ქართულ სამეფო ოჯახთან ჰეიდარ მირზას დედის ახლო ნათესაურ კავშირზე მისი სახელიც მიუთითებს. სახელი – სოლთან-ზადე ხანუმი, დიდებულის შვილს ნიშნავს. სიტყვა „სოლთანი“ ასევე ფიგურირებს შაჰ ხოდაბანდეს დედის სახელშიც – სოლთან ხანუმ ბეგუმი. იგი მუსავალის ტომის ბელადის შვილი იყო. ანუ, როგორც ჩანს, ამ ქალების წარმომავლობა მათივე სახელებზე აისახა. ამდენად, მიგვაჩნია, რომ სოლთან-ზადე ხანუმი, კახეთის დიდებულის ვინმე იოთამის, სამეფო დინასტიის ახლო ნათესავის ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ირანის შაჰთან ქორწინების საკითხს: – ქართულ და სპარსულ წყაროთა მონაცემების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ შაჰ თაჰმასბ I, ქალების წარმომავლობიდან გამომდინარე, შესაძლოა დაქორწინებული ყოფილიყო შალიკაშვილის ასულზე და სოლთან ზადე ხანუმზე, რასაც ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით ბაჰრა ბაჯიზე.

შაჰ ხუდაბანდეს დედად მიჩნეულ შალიკაშვილის ქალთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ „მაშინ შაჰხუდაბანდა ვერა რისა მყოფელი (იგულისხმება საქართველოში ლალა ფაშას შემოჭრა – ხ.ბ.), ამისთვის დედამან მისმან (რომელი იყო ასული ოთარ შალიკაშვილისა) დაახვია წრმალსა ლეჩაქი და წამოუგზავნა სკმონ მეფეს (ვითარცა წეს არს ქართველთა) და მოუთხრა: „რომელიცა გნებავს, აღიღე და წარვედ ქუეყანასა შენსა ნიჭითა დიდითა და ბრძოდე ოსმალთა.“³ თვითონ ეს ნარატივია საეჭვო და ხელოვნური: ან ხმალი აიღე და იბრძოლე, როგორც კაცს შეშვენის, ან ქალივით თავზე ლეჩაქი დაიხურეო – ისე გამოდის, თითქოს სიმონი ყოყმანობდა ქართლში დაბრუნებასა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მ. სვანიძე მართებულად აღნიშნავს, რომ შალიკაშვილის ქალი უფლისწულის დედა არ ყოფილა, რადგან მესხები ამ დროს ირანში ძალაუფლებისთვის ბრძოლაში არ ჩანან. შალიკაშვილის ქალს შაჰ თამასბთან მხოლოდ ერთი ასული ჰყავდა.

შაჰ ხუდაბანდეს დედა იყო სულთანუმ ბეგუმი (გარდ. 1593 წ.),

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტის პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 42.

2 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 244.

3 ვახუშტი, 1973, გვ. 411.

იგივე სულთან ხანუმ (იგივე სოლთანამი თორქემანი) მავსილუ ანუ მუსავალის ტომიდან. იგი იყო ყიზილბაში, მუსა სულთანზე თორქემანი მავსილუს შვილი. ზოგიერთი თანამედროვე ირანელი ისტორიკოსი მას ჰაიდარ მირზას და შაჰის სხვა შვილების დედად მიიჩნევს (რა თქმა უნდა, არასწორად მიგვაჩნია).

ამდენად, XV საუკუნის 70-იან წლებში სეფიანთა ირანში ძალაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა შაჰ თაჰმასბ I-ის ერთ-ერთი მეუღლე, უფლისწულ ჰაიდარის დედა, წარმოშობით ქართველი – სოლთან ზადე ხანუმი. სწორედ მის გარშემო იყო გაერთიანებული ე. წ. ქართული კლანი (შაჰის უფლისწულების ქართველი დედები და მათი ძმები), რომელიც ცდილობდა ირანის ტახტზე საკუთარი კანდიდატის აყვანას. სოლთან ზადე ხანუმის მყარ პოზიციებს ჰარამხანაში განსაზღვრავდა შემდეგი გარემოებები: სოლთან ზადე ხანუმი იყო შაჰთან ქორწინებაში მყოფი, ჰყავდა ორი უფლისწული, იგი ეკუთვნოდა ქართველ (კახელ) დიდებულთა ოჯახს და ამავე დროს, სამეფო დინასტიის ახლო ნათესავიც უნდა ყოფილიყო; მისი ძმები – ალიხან გურჯი და ზაალ გურჯი შაჰის კარზე მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და იყვნენ თაჰმასბ I-ის ნდობით აღჭურვილი პირები.

KHATUNA BAINDURASHVILI
Korneli Kekelidze Georgian National
Center of Manuscripts,
Georgia
baindurashvilikhatuna@yahoo.com

GEORGIAN WOMEN IN THE POLITICAL LIFE OF SAFAVID IRAN (THE 70^S OF THE VXI CENTURY)

The historical sources evidence that dynastic marriages played the salient role in regulating the relations between states. Based on this, it can be said that women represented one of the important segments of diplomacy in both internal and external relations. The “women’s issue” became particularly active from the 16th century in the relationships with Safavid Iran and did not lose its relevance even under the reign of subsequent dynasties of Iran. Women of the Georgian royal dynasty and other noble families were supposed to play the role of “mediators” and exert maximum “favorable influence” on the current political processes. This was the purpose of “marrying off” Georgian women to the Shah of Iran or sending them as concubines

The presence of Georgians in the service of Safavid Shahs fell within the sphere of interest of a number of researchers: E. Mamistvalishvili¹, M. Svanidze², H. Maeda³, N. Falsafa⁴. Among them M. Svanidze focused his attention and separately touched upon Georgian women in the harem of Safavid Shahs. However, it should be noted that the purpose of all works devoted to the issue is to identify the goal and role which the Georgians played in the controversy over the

1 E. Mamistvalishvili, the ongoing political struggle in Safavid state and Georgians (1576-1578) (according to European sources), Matsne, History, Archaeology and Art History Series, Tb., 1977, №4, p. 107-117. (in georgian)

2 M. Svanidze, Georgians on the political arena of Iran and the Ottomans in the 16th-17th centuries, Sketches of Georgian-Ottoman history, Tb., 1990, p. 241-347. (in georgian)

3 H. Maeda, Georgians in Safavid Iran, Ethno-social origin of the four Ghulam families, Tb., 2008. (in georgian)

4 N. Falsafa, The life of Shah-Abbas the First, selective translation (fragments about Georgia and Georgians), translated from Persian by L. Zhorzholiani, foreword and notes by Prof. J. Stepnadze, Tbilisi, 2003.

succession of Shah Tahmasp I.

Our research aims to specify the identity of Georgian women at the court of Shah of Iran - Tamaz I (according to Persian sources – Tahmasp (1524-1576) and determine their status in the Shah's harem, in particular, to define the form of their marriage to the Shah and highlight the political role of Georgian women in the Safavid Iran.

The first publication about Georgian women was provided in "Tsiskari"¹ in 1860. In the article "Georgian Women, Historical Overview" Dmitry Bakradze writes that women in Georgia were well trained in literacy and needlework in their families, in addition, „the author emphasizes the peculiarity of their character and points out, that “the major part of Georgian women are naturally tactful, and having the sense of duty and responsibility they are honest and obedient by nature.” D. Bakradze writes about the historical mission of the Georgian woman: “Byzantine masters and noblemen often tried to marry Georgian women ... In the eleventh century, the emperor Michael-Doucas of Constantinople was married to the daughter of Bagrat IV, whose name was Martha, and Martha's cousin Irina was married to the Emperor's brother Isac Komnenus; The Seljuk Sultan Alf-Arslan was married to Bagrat's niece³. In the twelfth century, David II (meaning David IV Agmashenebeli – Kh. B.) had two daughters – Kata and Tamar. Kata was married to Alexia Comnenus, the son of Emperor Nicephorus Barian and the famous writer Anna Comnenus; Tamar was married to the ruler of Shirvan named Fadlon, who was converted to Christianity for Tamar's sake. In the fourteenth century, the Emperor Alexis II of Trabzon was married to a daughter of Beqa Atabag – from Meskheti. The history also evidences that in 1450, Emperor Constantine Dragose sent his ambassador with lots of gifts to Georgia to propose marriage to the daughter of King Giorgi VIII, but this affair fell through due to the death of Constantine the Great ... Georgian women were also courted by the deputies of the Arab Caliphate, or emirs, and the masters of Persia. ... History does not inform us details about women's status outside

1 D. Bakradze, Georgian Women, Historical Review, Tsiskari, 1860, No. 4, pp. 251-280. (in georgian)

2 D. Bakradze, Georgian Women, p. 261-262.

3 Bagrat IV's niece was, at the same time, the niece of the Armenian (Tashir-Dzoraget) king Kvirike, i.e. -Armenian princess of Georgian mother. Apparently, D. Bakradze considers her to be Georgian.

their homeland; But there is no doubt that they must have had influence upon the sultans and shahs, which they used to their advantage as well as for their homeland”¹.

The 17th century French traveler Chardin wrote rapturously: “Georgians are a splendid breed of people in the whole East and, one might say, over the whole world. In this country I have not met a single ugly person, whether man or woman, I have met only angelic faces. The majority of women are naturally gifted with the delicacy that you don’t find anywhere else. I think one can’t help falling in love if you take a glance at them. It is impossible even to draw a more beautiful face and body than a Georgian woman. They have tall, shapely, flexible bodies and are amazingly slender. Any make-up, which is used likewise by both the beautiful and the ugly, does not suit them, as it is the substitute for jewelry and is used as ornamentation in the same way as pearls, other precious stones and beautiful clothes are used in our country. ... Georgians are polite and philanthropic, and at the same time worthy and self-restrained.”²

რა თქმა უნდა, დიმიტრი უზნაძე მათზე მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს და ამაში გასაკვირი არც არაფერი უნდა იყოს. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის გამოძახილია. „პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა, მაგრამ აქ იგი კეისრის გულის მოსაგებად, ვერაგულად მოჰკლეს. ასე დასრულდა ამ კაცის ცხოვრება, რომელსაც ბედმა გაცილებით მეტი როლის შესრულება დააკისრა, ვიდრე ძალები მისცა. სამაგიეროდ ეს ბედი მუდამ ეხმარებოდა და ჩვეულებრივ არც თუ ისე დიდი ნიჭის კაცი ისტორიულ პიროვნებად გახადა“. (1-68).

აქ მთავრდება დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მეორე ნაწილი და იწყება მესამე ნაწილი. ცეზარი გალიაში. მითითებულია მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები ქრ.შ-მდე 58-49 წლები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ცეზარის გეგმებში გალიის დაპყრობას უდიდესი როლი ეკისრებოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. (9. 114-157.10.100-124.14.157-162.15.29-40).

აქ დიმიტრი უზნაძე საუბრობს რამდენიმე თემაზე: გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მოსახლეობაზე, ქვეყნის სამართლებრივ მოწყობაზე, არსებულ წესწყობილებაზე, ადათ წესებზე, ვაჭრობაზე და ბოლოს, რა თქმა უნდა, განხილულია დაპირისპირება რომსა და გალიას შორის. ყველაფერი ეს კარგ ისტორიულ ფონს ქმნის მთავარ საკითხზე გადასასვლელად და ამისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. ფაქტობრივად, ეს გახლავთ გალიის მოკლე ისტორია ცეზარის ლაშქრობამდე. იგი ხაზს უსვამს, რომ გალებთან ომის დროს ცეზარი მიმართავდა ცნობილ პოლიტიკას „გათიშე და იბატონე“ და თავის სასარგებლოდ იყენებდა მათ შორის არსებულ უთანხმოებას. „როდესაც გალიაში ცეზარი გამოცხადდა, ეს ქვეყანა შინაური განხეთქილების გამო მეტად დასუსტებული იყო და თუმცა კეისარს 6 ლე-

გიონზე მეტი არასდროს არ ჰყოლია. იგი მაინც მხნედ შეუდგა მისი დამორჩილების საქმეს. მისი მიზანი აქ ორგვარი იყო. პირველი გალიის სრული დამორჩილება და მეორე-ომებში გამონრთობილი ჯარის შექმნა, რომელიც მას რომში გასაბატონებლად უნდა გამოდგომოდა, სულ რვა წელიწადი შეიქმნა საჭირო, რომ კეისარს ორივე ეს მიზანი განეხორციელებინა“. (1.66) ის კარგად გადმოგვცემს ცეზარის შეჭრის წინ გალიაში შექმნილ მდგომარეობას და მის მიზნებს.

საკუთრივ გალებთან ომს გაცილებით ცოტა ადვილი აქვს დათმობილი. ეს გახლავთ სულ ერთი აბზაცი, 19 სტრიქონი. რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია. ფაქტობრივად, ის ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლება. ისტორიული ფონი ხომ არ დომინირებს მთავარ თემაზე? ამიტომ მან გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ. „პირველი მას ჰელვეტებთან მოუხდა შეტაკება, რომელთაც თავის სამშობლო (შვეიცარია) მიეტოვებინათ და გალიაში შეჭრილიყვნენ. კეისარმა იგინი დაამარცხა და უკანვე განდევნა განსაკუთრებით სახიფათო იყო მისი ბრძოლა გერმანელ ტომებთან, რომელთაც არიოვისტის მეთაურობით რეინი გადმოლახეს და გალიას შემოესივნენ. კეისარმა არა თუ უკანვე გააბრუნა იგინი, არამედ თვითონ გადავიდა რეინის მეორე მხარეზე და გერმანელ ტომებს შიშის ზარი დასცა. უფრო ადვილი იყო გალების მცირე ტომების დამარცხება. ხოლო როდესაც გალიაში პუბლიკანები გაჩნდნენ და თავისებური მოღვაწეობა დაიწყეს, მთელი გალია გაერთიანდა და მძლავრი აჯანყება მოაწყობა უნაყოფო აღმოჩნდა და მათი წინამძღოლი ვერცინგეტორიქსი იძულებული შეიქმნა, კეისრის წინაშე თავისი ნებით გამოცხადებულიყო და მორჩილების ნიშნად თავისი ხმალი, შუბი და მუზარადი მის წინაშე დაემხო. ამ დროიდან დაწყებული რომის გავლენამ გალიაში თანდათან მოიკიდა ფეხი და მალე ეს ქვეყანა წმინდა რომაული პროვინცია გახდა. აღსანიშნავია, რომ კეისარი თავის გალიაში ყოფნის დროს ბრიტანეთში გადავიდა და რომის იარაღის შიში აქაც გაავრცელა“. (1.66)

დავინწყოთ იმით, რომ დიმიტრი უზნაძე საკმაო ინფორმირებულობას ამჟღავნებს ამ საკითხში, რაც ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის გამოძახილია და წყაროების, მათ შორის შეიძლება ცეზარის თხზულება გალებთან ომის შესახებ“ მოვიაზროთ, ცოდნის ლოგიკური შედეგია. ის ცეზარის ამ თხზულებას, დიდი ალბათობით, იცნობდა.

ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთის სუსტ მხარედ ისტორიული ფაქტებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება გვევლინება. ის უთითებს ცეზარის გალიაში ლაშქრობის თარიღს, ეს მოხდა ქრ.შ-მდე

58-49 წლებში, მაგრამ შემდეგ არც ერთ თარიღს არ მიუთითებს. სკოლის სახელმძღვანელოს თარიღებით გადატვირთვის მომხრე არ გახლავართ და ურთულებს მოსწავლეებს მთავარი სათქმელის აღქმას, მაგრამ ძირითადი თარიღების დასახელება მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ისტორიული ფაქტებისადმი თავისებური დამოკიდებულების კულმინაციად ცეზარის მიერ ქრ.შ-მდე 52 წელს ვერცინგეტორიქსის ძლევა გვევლინება. ფრანგი მწერლის გუსტავ ფლობერის თქმით, „ცეზარზე ჩვენ სულ სხვა აზრის ვიქნებოდით“ „გალების ომის ისტორია“ ვერცინგეტორიქსს, რომ დაენერა“ ასეთია ისტორიული მეცნიერება. ის სუბიექტური მეცნიერებაა. ინგლისელი ისტორიკოსის რიჩარდ კობის თქმით „ისტორიკოსი არ არის ციკსის-ხლიანი კლინიკოსი“. (16.254).

სასურველი იქნებოდა სადმე თქმულიყო, რომ ცეზარი იყო ისტორიკოსი, რომლის კალამს ეკუთვნის თხზულება „გალებთან ომის შესახებ“. ეს, ვფიქრობთ, დააინტერესებდათ მოსწავლეებს და შინაარსობრივად გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს. ცეზარს ლიტერატურულ საქმიანობაზე აპელირების დროს ამაზე მინიშნება შეიძლება იკითხება კიდევ, მაგრამ ეს ძალზე ზოგადია. სასურველი იყო უფრო მეტი კონკრეტიკა.

მას მხედველობიდან არ გამორჩენია ბრიტანეთში ცეზარის შეჭრა, მაგრამ თარიღს არ მიუთითებს. ამის გაკეთება სასურველი იქნებოდა. ეს მოხდა ქრ.შ-მდე 55-54 წლებში. ეს მნიშვნელოვანი თარიღი იყო და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამით სრულდება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მესამე ნაწილი, რომელიც მეტად მნიშვნელოვან თემას შეეხება ცეზარის მიერ გალიის დაპყრობას. დიმიტრი უზნაძე იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას. გალიის ომში გამარჯვებამ ცეზარს დიდება მოუხვეჭა და ძალაუფლებისაკენ გაუკაფა გზა. გადავდივართ მეოთხე მონაკვეთზე.

ცეზარის აღზევების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაპირისპირებას პომპეუსთან. მისი დამარცხების გარეშე ცეზარის დანინაურება ვერ მოხერხდებოდა. ეს იყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის, პირველობისთვის. ამიტომ ის უშედავათო ხასიათს ატარებდა. ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გადავავლოთ თვალი თუ როგორ იყო გაშუქებული დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში ცეზარსა და პომპეუსს შორის შეტაკება. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის ეს ნაწილი, გალების ომთან ერთად, ყველაზე უფრო საინტერესოდ შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ზუსტად გადმოგვცემს ისტორიულ მოვლენებს, რაც, ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ექოდ გაისმა და მსჯელობს მათზე, რაშიც სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებების გამოძახილს ვხედავთ. ის ახერხებს

ერთმანეთს შეუთანხმოს თხრობა და ისტორიული მოვლენების განხილვა. მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე აქცენტირება. ეს არაა ფაქტების უბრალო გროვა, რაც ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებად მიგვაჩნია.

დიმიტრი უზნაძე სავსებით იზიარებდა ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ცეზარსა და პომპეუსს შორის დაპირისპირება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. სახელმძღვანელოდან ვრცელი ამონარიდის მოყვანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და პერიფრაზით, მისი შინაარსის გადმოცემით შემოვიფარგლებით.

როგორც დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, ცეზარმა ორივე დასახულ მიზანს მიაღწია: დაიპყრო გალია. ხანგრძლივი ომის შედეგად მისი ჯარი საკმაოდ ბრძოლისუნარიანი შეიქმნა და ირწმუნა თავისი სარდლის. სულ მალე ამან სასურველი ნაყოფი გამოიღო. ეს ცეზარის წარმატება იყო. რაც მომავალი გამარჯვების საიმედო საწინდარი გახლდათ. მკაფიოდ იკვთება ორი ბანაკი. ერთის მხრივ ცეზარი, რომლის მთავარი დასაყრდენი არმია იყო, ხოლო მეორე მხრივ კი პომპეუსი, რომელმაც კავშირი შეკრა სენატთან. შეტაკება გარდაუვალი ჩანდა. ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლზე დგას. პომპეუსმა გადაწყვიტა, რომ ხელიდან გამოეცალა ცეზარისათვის მთავარი იარაღი, არმია. სენატმა მისი დათხოვნა მოითხოვა. ამის განხორციელება ცეზარისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. რეალურად ამან ხელი შეუწყო კონფლიქტის ესკალაციას. მიუხედავად სენატის მუქარისა, რომ ის მას სამშობლოს მტრად გამოაცხადებდა, ცეზარს გადაწყვეტილებაზე ხელი ვერ ააღებინა. მან ჯარი რომისკენ დაძრა და მდინარე რუბიკონს მიადგა. ეს იყო საზღვარი, რომლის იქითაც მისი როგორც პროკონსულის უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა. ცეზარი რთული არჩევანის წინაშე დადგა. როგორ უნდა მოქცეულიყო. ბევრი ფიქრის შემდეგ მან მიიღო გადაწყვეტილება. ასე გაჩნდა ფრთოსანი გამონათქვამი „წილი ყრილია რუბიკონი გადალახულია“. ცეზარი იტალიაში შეიჭრა. დაიწყო სამოქალაქო ომი. სულ მცირე ხნის მანძილზე მისმა ძალისხმევამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. მთელი იტალია მის ხელში აღმოჩნდა. პომპეუსი აღმოსავლეთში გაიქცა. ცეზარი დაედევნა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ქრ.შ-მდე 48 წელს ფარსალთან და ცეზარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. თარიღი მითითებულია. ესე ცხადია, ძალიან კარგია. ძლეულმა პომპეუსმა ეგვიპტეს შეაფარა თავი, მაგრამ ცეზარის გულის მოგების მიზნით, ეგვიპტელებმა პომპეუსი მოკლეს. ცეზარმა ბრძანა, რომ ის დიდი პატივით დაეკრძალათ. ასე დასრულდა ეს სამკვიდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება. ცეზარი ძალაუფლებისაკენ მიილტვის. (1.68-69) ალბათ, სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო, რომ გამარჯვებული ცეზარი მეტად ღმობიერ პოლიტიკას ახორციელებდა და რეპრესიებისათვის არ მიუმართავს. ეს იყო სწორი ნა-

ბიჯი. ამით მან შეძლო ხალხის გულის მონადირება და ისინი მის მიმართ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ეს არ იყო პატარა საქმე. (2.507.15.65)

შემდეგ საუბარია ალექსანდრიის ომზე, მაგრამ თარიღი არაა მითითებული. ის მოხდა ქრ.შ-მდე 47-46 წლებში. ეს სკოლის სახელმძღვანელოა და მას შეეძლო ასეც მოქცეულიყო და ისეც. მასში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ალბათ, მაინც სასურველი იქნებოდა, თარიღი მითითებული ყოფილიყო. აქ მეცნიერული პაექრობა პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და გემოვნების საკითხია.

„დასავლეთში კიდევ არ იყო საქმე დამთავრებული და კეისარი უკანვე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მითრიდატეს შვილი, ფარნაჯომი, ხელახლა ძლიერი სამეფოს შექმნას აპირებდა, რომაელებს ეომებოდა. კეისარმა სწრაფად დაამარცხა იგი. („veni, vidi, vici“) და რომისკენ დაბრუნდა“. (1.68) ფარნაჯომი თუ ფარნაკე? შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში უფრო ეს სახელი დამკვიდრდა. ალბათ, ეს უფრო სწორი შეიძლება იყოს.

მოუსმინოთ ისევ დიმიტრი უზნაძეს „აქ მისი მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ ძლიერები იყვნენ. რესპუბლიკელი ოპტიმატები და მათ შორის კატონ უმცროსი აფრიკაში, ნუმიდიის მეფესთან ერთად, საბრძოლველად ემზადებოდა. ხოლო პომპეუსის შვილებს დიდი ჯარი შეეკრიბათ ისპანიაში და გამაგრებულიყვნენ. კეისარმა ჯერ რესპუბლიკელები დაამარცხა, მათ მოკავშირესთან ნუმიდიის მეფესთან ერთად და ნუმიდია რომის პროვინციად გამოცხადდა. კატონ უმცროსმა რესპუბლიკის დამხობის დანახვას საკუთარი სიკვდილი არჩია და ქ. უტიკაში თავი მოიკლა. შემდეგ კეისარი ისპანიას მიუბრუნდა და კორდოვას ახლოს მუნდასთან ბრძოლაში 45 წელს რესპუბლიკელთა უკანასკნელ ძალებს დაეჯახა, 30 000 კაცი ბრძოლაში დახოცა და გამარჯვებული რომს დაუბრუნდა. ახლა მას მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა და რომის ბატონ-პატრონობაში არავინ ეცილებოდა. არსებითად ის მონარქი იყო და მაშასადამე რესპუბლიკის მონარქიად გარდაქმნას სწორედ ამ ხნიდან უნდა ითვლებოდეს“. (1.68-69).

თაფსუსთან ბრძოლაზე მინიშნება კარგად იკითხება, მაგრამ ის არის მეტად ზოგადი და კონკრეტული აკლია. ეს ერთი მიდგომაა, რომელშიც მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. არის მეორე მიდგომა. კონკრეტული. სასურველი იქნებოდა ადგილმდებარეობის და თარიღის მითითება. ეს მოხდა თაფსუსთან ქრ. შობამდე 46 წლის 6 იანვარს. იკვთება უკვე კარგად ნაცნობი სურათი. კამათი გემოვნების საკითხია და პრინციპულ ხასიათს არ ატარებს. ის პირველ ფორმას ირჩევს. ჩვენ კი მეორეს. კამათის ეს ფორმა ლაიტმოტივად გასდევს მთელ ნაშრომს

დიმიტრი უზნაძე დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო ფაქტე-

ბის ზუსტად გადმოცემას, თხრობას, არამედ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. მისი სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. ასეთი სახელმძღვანელო საინტერესო ვერ იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოს შემდგომი ამონარიდი, სადაც, სხვათა შორის, უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა არა ემპირიაზე, არამედ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე. დიმიტრი უზნაძე ხაზს უსვამს თუ რამ გამოიწვია ამგვარი მეტამორფოზი რესპუბლიკის მონარქიით ჩანაცვლება. აი რას წერდა იგი: „რა იყო ასეთი ცვლილების მიზეზი. ამის გათვალისწინება ადვილია. რომის მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევამ, ამასთან დაკავშირებულმა მსხვილი ვაჭრობისა და წარმოების გაფართოებამ და მონათა რიცხვის გამრავლებამ, საზოგადოების ერთი ნაწილის უსაზღვრო გამდიდრება და მეორე უდიდესი ნაწილის გადატაკება გამოიწვია. საშუალო და წვრილი მესაკუთრეების დასუსტებამ და თითქმის სრულიად მოსპობამ, მარიუსის ჯარის რეფორმა წარმოშვა, რამაც საზოგადოების გადატაკებულ ნაწილს არსებობის მთავარი წყარო შეუქმნა. ხალხის უდიდესი ნაწილის ბედი ამგვარი ჯარის წინამძღოლების ბედს დაუკავშირდა და წინანდელი პარტიული ბრძოლა დემოკრატიათა და არისტოკრატიათა შორის ჯარსა და სენატს შორის ბრძოლად გარდაიქცა. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, ჯარს უნდა გაემარჯვებინა. ეს კი არსებითად ჯარის მთავარსარდალის გამარჯვებას და მაშასადამე მის სრულ გაბატონებას ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ შემდგომში როდესაც მონარქია რომში საბოლოოდ დამკვირდა მონარქებს „იმპერატორებს“ უწოდებდნენ. ეს პროცესი მარიუსმა დაიწყო, სულამ და პომპეუსმა განაგრძეს და კეისარმა თითქმის დაასრულა. აღსანიშნავია რომ არისტოკრატი სულაც ამ ძალას ეყრდნობოდა. მაგრამ კიდევ უფრო აღსანიშნავია, რომ სულამ აღადგინა თუ არა ძველი არისტოკრატიული რესპუბლიკა პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდა“. (1.69)

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვაქვს საკითხისადმი მრავალვარიანტული მიდგომის, პლურალიზმის, გამოძახილთან, რაც ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. ის ცდილობს ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში XX საუკუნის პირველ წლებში. საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებად მიგვაჩნია.

ფაქტობრივად, ამით მთავრდება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მეოთხე ნაწილი და იწყება მეხუთე. ის შეეხება ცეზარის რეფორმებს. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ცეზარი არ იყო მხოლოდ დიდი მხედართმთავარი. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, დიპლომატი. ამავე დროს ის იყო თვალსაჩინო რეფორმატორი, ამ საკითხის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ

უნდა იყოს და მის საქმიანობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებს. დიმიტრი უზნაძეს, ვფიქრობთ, ყველაფერი ეს ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა გაცხადებული და ხაზგასმული აქვს ამ მონაკვეთის დასკვნით ნაწილში. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. (1.70-71)

ცეზარისტული რეჟიმი არ გახლავთ ერთგვაროვანი და ამგვარი სწორხაზოვანი დამოკიდებულება მის ისტორიულ მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ის არის რთული და მრავალნახნაგოვანი. ჩვენ პირადად ძალიან მოგვწონს ანტონიო გრამშის მიდგომა, რომელიც ცეზარისტულ რეჟიმს ორ კატეგორიად ყოფს. „პროგრესული ცეზარიზმი“ და „რეაქციული ცეზარიზმი“ (18.185-186) ცეზარის მმართველობა, ნაპოლეონის მსგავსად, პროგრესული ცეზარიზმის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. იტალიელი ისტორიკოსი გილიერმო ფერერო, რომელიც ცეზარის მიმართ უკიდურესად ნეგატიურადაა განწყობილი, იყენებს სულ სხვა ტერმინს „დემოკრატიული იმპერიალიზმი“(7.46-58) ჩვენ ანტონიო გრამშის მიდგომა უფრო პროგრესულად გვესახება. ერთ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ნეგატივზე, რაც კარგად თავსდება მის კონცეფციაში. ცეზარი მისთვის მიუღებელი პერსონაჟი ჩანს. მეორე შემთხვევაში კი პრიორიტეტული პროგრესული საწყისია.

ცეზარის რეფორმებზე ყურადღების გამახვილება, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და ამ საკითხზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. ის იზიარებდა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და ცეზარის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე დადებითი აზრის უნდა ჩანდეს. მას, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ცეზარის რეფორმების ისტორიული მნიშვნელობა, პროგრესულობა, დემოკრატიული ხასიათი. აღნიშნულია რომ ის ამ რეფორმებს, მარიუსისა და სულასგან განსხვავებით, რეპრესიების ფორმით კი არ ახორციელებდა, არამედ ლიბერალური მეთოდებით. (1.70-71) საუბარია ცეზარის მიერ პროვინციალური მმართველობის მოწესრიგებაზე, რომელმაც ჩაუყარა საძირკველი მომავალ იმპერიას. “ერთი სიტყვით, რესპუბლიკის პოლიტიკური წესწყობილება გარეგნულად იგივე დარჩა, მაგრამ არსებითად რომში უკვე მონარქია იყო. ამას შესაფერი გამოხატულება მიეცა. რომის ფულზე მისი (ე.ი. ცეზარის -მ.კ.) სახე იყო ამოჭრილი. ერთ-ერთი თვე მის სახელს ატარებდა. სენატში ოქროს სავარძელში და საზეიმო შემთხვევებში ძონისფერი მოსასხამით ამოდიოდა“. (1.71)

ყურადღებოდ არც ცეზარის საგარეო პოლიტიკას ტოვებს და ხაზს უსვამს, რომ მას სურდა პარტიელების დასჯა და ემზადებოდა ამისათვის, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება მან ვეღარ შეძლო. (1.71)

დასასრულს ის, ცხადია, საუბრობს ცეზარის წინააღმდეგ მო-

წყობილ შეთქმულებაზე და მის მკვლელობაზე. აღნიშნავს, რომ ეს მოხდა ქრ.შ-მდე 44 წლის 15 მარტს. ამ შემთხვევაში თარიღი მითითებულია. ეს სწორი ნაბიჯი იყო. ეს ფაქტი დაწვრილებით აქვთ მოთხრობილი როგორც ანტიკურ ავტორებს აპიანე, სვეტონიუსი, პლუტარქე, ისე ისტორიკოსებს. ის ამ საკითხში საკმაო ინფორმირებულობას ამჟღავნებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. „15 მარტს სენატში მას შეთქმულები შემოეხვიენ გარს, ვითომ რაღაცის თხოვნისათვის, ნამდვილად კი თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ენადათ. პირველი მახვილი მას კასკამ ჩაჰკრა და როდესაც კეისარმა ხანჯლით ხელში ბრუტუსიც დაინახა, მიაძახა „შენც ბრუტუსს“ და წინააღმდეგობას თავი დაანება. შეთქმულებმა კეისარი სრულიად აკუნეს და თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა ხალხს ამცნეს. ეს ხალხი ამ ამბავს მტრულად შეხვდა.“ (1.72)

ვრცლად ჩერდება ცეზარის კიდევ ერთ დამსახურებაზე. მან შექმნა ახალი კალენდარი (1.70-71) მაგრამ არ მიუთითებს თარიღს. ამ ფაქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო თარიღი. ეს მოხდა ქრ.შ-მდე 46 წელს. ეს ერთი მეორე. უფრო დაეკონკრეტებინა, რომ სასურველი იყო ამის დაფიქსირება, იულიუს კეისარის საპატივცემულოდ წელიწადის ერთ თვეს ივლისი ეწოდა. (14.260,15.63)

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის დასკვნითი ნაწილი ცეზარისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულების თავისებურ რეზიუმედ მიგვაჩნია, სადაც ცეზარის განდიდება თავის აპოგეას, უმაღლეს წერტილს, აღწევს. როგორც უკვე ითქვა, დიმიტრი უზნაძე იზიარებდა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებას და სავსებით ეთანხმება ისტორიკოს გიროს შეფასებას, რომელიც ცეზარს ხოტბას ალაგვლენს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში გირო უზნაძეს შეხედულებების რუპორად შეიძლება მივიჩნიოთ. ასე აფიქსირებს ის საკუთარ პოზიციას. აი რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში. „იულიუს კეისარი უდიდესი გენიოსთაგანი იყო. დიდებული მწერალი და შესანიშნავი ორატორი, შეუდარებელი მხედართმთავარი და პირველ ხარისხოვანი პოლიტიკოსი. ერთი სიტყვით, კეისარი ყველაფერი იყო და მასზე უფრო ნიჭიერი პიროვნება ისტორიამ არ იცის. ძლიერი, ნათელი და მტკიცე გონება ჰქონდა. შორს განმჭვრეტი და გარემოებათა ამწონ-დამწონი. შესანიშნავი სისწრაფით ფართო და დიდებული განზრახვის შედგენა იცოდა. მათი ასრულების ნიჭიც ჰქონდა. ყოველთვის იცოდა რა სურდა და აასრულა კიდევ. კეისარი არ დაკმაყოფილებულა სამხედრო ასპარეზზე ბრწყინვალე გამარჯვებებით. კეისარი მოკვდა, მაგრამ საქმენი მისნი მის შემდგომაც დიდხანს ცოცხლობდნენ. რომის იმპერიის საძირკველი მან ჩაყარა. გამოსცა კანონები, რომელიც იუსტინიანეს დროსაც ძალაში იყვნენ

და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომაულ-ბერძნული კულტურის გავლენას ახალი ვრცელი ასპარეზი მოუპოვა. რომაულ განათლებას გალიისა და ისპანიის ბარბაროსები საბოლოოდ დაუმორჩილა და კულტურული განვითარების გზაზე დააყენა და მთელი ამ უზარმაზარი საქმის შესრულება ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მოასწრო. და ისიც ამ დროის სამი მეოთხედი მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაატარა. კეისრის საქმიანობის სისწრაფე და სიადვილე სასწაულებრივი იყო.

კეისარი საოცარი მიმზიდველობის პატრონი იყო და ამ მიმზიდველობის ძალას იშვიათად თუ ვინმე გადარჩებოდა მოუხიბლავი. ბუნებით ფაქიზი იყო და ღირსებებით აღსავსე და ეს სიფაქიზე და ღირსება იყო მიზეზი, რომ კეისარი მტერს ნამდვილი დიდსულოვნებით ეპყრობოდა, თუ რა საკვირველია უკიდურესი საჭიროება სიმკაცრეს არ მოითხოვდა. სულა სისხლით ვერ გაძღა. გამარჯვების შემდეგ ოკტავიუსი, კეისრის მემკვიდრე, შეუბრალებელი იყო, კეისარი კი თავისი სულგრძელობით ყველას იზიდავდა. ყოველივე ამის გამო კეისარი შეიძლება მთელს ისტორიაშიც, უუსრულეს კაცად ჩაითვალოს. (პროფ. გირო) (1.66-67. 1.72-73) ვფიქრობთ აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

ასეთ მაჟორულ ნოტაზე დაასრულა დიმიტრი უზნაძემ ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში ცეზარის მოღვაწეობის გაშუქება. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. ზოგიერთ საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოზე მუშაობა ამით არ დასრულებულა, პირიქით, ახლა იწყებოდა. ჩვენი აზრით, ის სახელმძღვანელოს დაწერის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესში იმყოფებოდა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მან ამ სახელმძღვანელოს სრულყოფა, დახვეწაზე, მუშაობის გაგრძელება, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, უბრალოდ ვეღარ მოასწრო. დაწყებული საქმე დაუსრულებელი დარჩა. აი ეს არის რეალობა, რომლის არც შელამაზება, ვარდისფერებში წარმოჩენა და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნება და ამ საკითხზე დიმიტრი უზნაძის შეხედულებების ავკარგიანობაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

ალბათ, აქ დავსვამდით წერტილს, რომ არა ერთი, ჩვენი აზრით, საინტერესო გარემოება. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო ისტორიაში ყველა დროის ყველაზე უფრო გამორჩეულ პიროვნებებად, საუკეთესოებს შორის საუკეთესოდ, დიმიტრი უზნაძეს ალექსანდრე მაკედონელი, ცეზარი და ნაპოლეონი შეიძლება ესახებოდა. შესაძლოა, ამ სამეულს კიდევ ვინმე დაუმატო, მაგრამ დიმიტრი უზნაძეს რამეში შეედავო ძალზე ძნელი იქნება. მას გააჩნია ამ საკითხის საკუთარი ვერსია, რომელსაც აქვს არსე-

ბობის უფლება და, უეჭველად, შეიცავს ქეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. მას ძალიან ბევრი მომხრეები ყავს.

ეს მისი მსჯელობის ერთი ნაწილია, მას გააჩნია მეორე, შესაძლოა, არანაკლებ საინტერესო ნაწილი, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. შუა გზაზე გაჩერების ტოლფასი იქნებოდა. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. ვინ ესახებოდა დიმიტრი უზნაძეს ამ სამეულში საუკეთესოდ? ვინ იყო, მისი აზრით, ტრიუმვირატის ლიდერი? ამ კითხვაზე პასუხი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, პირდაპირ ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს და საკმაოდ გამჭვირვალეა. რა თქმა უნდა, ცუბარი, რომელიც მისი საყვარელი გმირია, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს. მას გააჩნია საკითხის საკუთარი ვერსია. მთავარი, სწორედ, ეს გახლავთ. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ დიმიტრი უზნაძის მოსაზრებას, რომ მსოფლიო ისტორიაში ყველა დროის ყველაზე უფრო გამორჩეული პიროვნებები იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელი, გაიუს იულიუს კეისარი და ნაპოლეონი, მაგრამ ტრიუმვირატის შიგნით ძალთა განლაგება ცოტა სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ისევდაისევ კამათი გემოვნების საკითხია და პრინციპულ ხასიათს არ ატარებს.

შეიძლება იყოს განსხვავებული აზრი, ამ საკითხს ჩვენ ცოტა სხვაგვარად უყურებთ, რომელიც მის ალტერნატივად შეიძლება მოვიაზროთ. ჩვენი სუბიექტური აზრით, ამ ტრიუმვირატიდან საუკეთესოდ ნაპოლეონი შეიძლება მივიჩნიოთ. აქ ჩვენი სიმპათია ან ანტიპათია, ცხადია, არაფერ შუაშია. ჩვენი არგუმენტაცია ასეთია. მათ შორის არსებობს ერთი პრინციპული განსხვავება, რომელზეც თვალის დახუჭვა, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ თუ პირველი ორი გენეტიკურად, მემკვიდრეობით, იყო დაკავშირებული ხელისუფლებასთან, მესამეზე ამას ვერ ვიტყვით. ალექსანდრე მაკედონელი ფილიპე მაკედონელის ვაჟი იყო და ძალაუფლება მემკვიდრეობით ერგო. დაახლოებით, ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ცეზართან მიმართებაში. ის იულიუსების არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი იყო, რომლებიც ყოველთვის ტრიალებდნენ ხელისუფლებაში ან მის ახლოს. სულ სხვაა ნაპოლეონი. კორსიკელი ადვოკატის ვაჟმა არნახულ წარმატებებს მიაღწია. ოცდაათი წლის ასაკში, 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალების შედეგად, ის ხელისუფლების სათავეში მოექცა და ევროპის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს საფრანგეთის მმართველი შეიქმნა. 1804 წლის 2 დეკემბერს იმპერატორად ეკურთხა. 1807 წელს, ტილზიტის ზავის

შემდეგ, ის თითქმის მთელს ევროპას აკონტროლებდა. თავადი კურაკინი იმპერატორ ალექსანდრე პირველს ატყობინებდა „პირინეიდან ოდერამდე, ზუნდიდან მესინის სრუტემდე ყველაფერი საფრანგეთია“. (19.152).

შეიძლება იყოს სხვა ვერსია. ზოგიერთები იფიქრებენ, რომ ასეთი უნდა იყოს ალექსანდრე მაკედონელი, ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და მასში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ. ის არ იყო მხოლოდ დამპყრობელი. მან სათავე დაუდო ახალ ელინისტურ ცივილიზაციას. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იქნება, კიდევ დიდხანს გასტანს და, ალბათ, არ დასრულდება. „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“, სამივე მოსაზრებას ეყოლება თავისი მომხრეები და თანაც ძალიან ბევრი, მაგრამ მათ შორის კონსესუსის მიღწევა ძალზე ძნელი იქნება. საჭიროა კი ეს კონსესუსი? ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს მისი სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

ამრიგად, ვაჭამებთ რა, ყოველივე ზემოთთქმულს, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. როგორც უკვე ითქვა, დიმიტრი უზნაძის მიერ ცეზარის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით სწორი უნდა იყოს და, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცეზარის უზომოდ განდიდება, ქება-დიდება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ბუნებრივია, წარმოიჭრება საკითხი. ცოტა ზედმეტი ხომ არ მოუვიდა დიმიტრი უზნაძეს? ეს მეცნიერული პაექრობის საგანი შეიძლება გახდეს. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ კი, ხოლო ზოგიერთები პირიქით, არა. მათ შორის კონსესუსის მიღწევა ადვილი არ იქნება და, ალბათ, არცაა აუცილებელი.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად ვცადეთ გამოგვერკვია დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში ცეზარის მოღვაწეობის გაშუქების შუქ-ჩრდილები და აგვეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები. სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი, ცხადია, საინტერესოა და უნდა ითქვას, რომ გაცილებით უფრო მეტი პლუსები გააჩნია, ვიდრე მინუსები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, ამიტომ ამ მონაკვეთისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ დიმიტრი უზნაძე საკმაოდ ჩახედული უნდა ჩანდეს ცეზარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, რაც ემპირული, ფაქტოლოგიური მასალის

ცოდნის გამოძახილია. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის ერთი პლუსია. სახელმძღვანელოში ცეზარის მოღვაწეობის გაშუქება მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია მის შეფასებასთან ისინი ურთიერთემოქმედებენ. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა.

დიმიტრი უზნაძე ვერ ფარავს ცეზარის მოღვაწეობით გამოწვეულ ალტაცებას და მას განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებს. ის ცეზარის მომხრე ისტორიკოსთა რიგებში უნდა იქნას მოაზრებული. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნა და ცეზარის მოღვაწეობისადმი, სწორი, მეცნიერული, მიდგომა ამ საკითხზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამ თემაზე მისი მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. დავინწყით იმით, რომ მასში, უწინარესად, 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში არსებული დემოკრატიული გარემოს თავისუფალი აზროვნების, გამოძახილი უნდა დავინახოთ. ეს ერთი. მეორე, ვფიქრობთ, ის სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, ექოდ გაისმა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. დიმიტრი უზნაძე ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რაც ხდებოდა ისტორიულ მეცნიერებაში გასული საუკუნის პირველ წლებში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად, ცეზარის მოღვაწეობის შეფასებისას, ქართული ისტორიოგრაფია სწორი, მეცნიერული, გზით მიდიოდა სწორი კურსი უნდა ჰქონოდა დასახული. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესული-ლიბერალურ შეხედულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, როგორც ეს იყო საბჭოთა წლებში, არ უნდა ჩავანაცვლოთ აპოლოგეტური მიდგომით. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჩვენ ვცადეთ გამოგვეძებნა საშუალოდ გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და, შეძლებისდაგვარად შევეცადოთ გამოვარკვიოთ მისი გამომწვევი მიზეზები. ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომად.

ცეზარის მოღვაწეობის შეფასებისას დიმიტრი უზნაძე იზი-

რებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და ცეზარის საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევდა. მასზე საკმაოდ მაღალი აზრის იყო. განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას. მისი ბადალი არავინ ეგულებოდა მსოფლიო ისტორიაში. ის, ევროპელი ისტორიკოსების მსგავსად, გუნდრუკს უკმევს მას. ასეთი ზეანეული ტონი, ცხადია, შემთხვევითი არაა და ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. როგორც ჩანს, ცეზარის მოღვაწეობა სავსებით შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს და მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ცეზარისადმი ძალზე ემოციურია და რომაელი პოლიტიკოსისადმი სიმპათიითაა გაჯერებული. შესაძლოა, დიმიტრი უზნაძეს ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ ცეზარის მოღვაწეობისადმი მისი მიდგომა უეჭველად, ძალიან ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან და სავსებით მისაღებია. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს.

დიმიტრი უზნაძის სახით საქმე გვაქვს ქართული ცეზარიადას, ან როგორც ვნებავთ კეისარიადას, ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან, აღიარებულ ლიდერთან. ის ცეზარის მომხრე ისტორიკოსთა ბანაკში უნდა მოვიაზროთ. მან, ალექსანდრე წერეთელთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ქართულ ისტორიოგრაფიაში ცეზარის განდიდებას, ღრმა პატივისცემას, პიეტეტის გრძნობას. ის კომპლიმენტებს არ იშურებს ცეზარის მიმართ და მის მოღვაწეობას მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიაზრებს. სხვა დანარჩენი უბრალოდ კადრში ვერ ხვდება. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ცეზარი დიმიტრი უზნაძის საყვარელი გმირია, რომელსაც, მისი აზრით, მსოფლიო ისტორიაში ბადალი არ ყავს. ის საუკეთესოებს შორის საუკეთესოა. ყველაზე მაღლა დგას.

ცეზარისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რომელიც შეინიშნებოდა გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში, საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, ხისტმა მიდგომამ ჩაანაცვლა. ეს არ იყო შემთხვევითი და, და პირველყოვლისა ცხადია, ისტორიაში პიროვნების როლისადმი თავშეკავებული დამოკიდებულებასთან უნდა ასოცირდებოდეს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს აღადგინოს და განავითაროს თავდაპირველი მიდგომა.

ასე გვესახება დიმიტრი უზნაძის ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში „ცეზარის მოღვაწეობის გაშუქების შუქჩრდილები და მისი გამომწვევი მიზეზები“.

დამონებაანი:

1. დ. უზნაძე, მსოფლიო ისტორია. ნაწ. მეორე, რომის ისტორია, თბ., 1920.
2. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1985.

3. Г. Светонии, Транквилл, жизнь двенадцати цезарей, М., 1991
4. გ. გამრეკელი, ამიანე მარცელინე როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004.
5. Т. Моммзен, история рима, Т.3. от смерти Суллы до бытви при Тапсе. М., 1941
6. Г.Дельбрюк, история военного искусства в рамках политической истории, том. 4., М., 1938
7. გ. ფერერო, იულიუს კეისარი, თბ., 2016
8. უ. შექსპირი, ტრაგედიები, წიგნი პირველი, თბ., 1980
9. С. Утченко, Юлии Цезарь, М., 1976
10. მ. ალექსიშვილი, გაიუს იულიუს ცეზარი, თბ., 1961
11. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ., 2021.
12. მ. კალანდაძე, საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 19, თბ., 2021.
13. მ. კალანდაძე, ტრიუმვირატი: დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ანალები, 18. 2022
14. ლ. სანიკიძე, კეისარიადა, თბ., 1989.
15. გ. ქავთარია, რომის ისტორია, ნაწილი მეორე, თბ., 2020
16. ისტორიის შესახებ, თბ. 2010
17. Цезарь, Записки о галльской войне, М., древние германцы сборник документов М., 1937
18. А.Грашии, избранные произведения. т.3. М., 1959
19. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, წიგნი 2. იმპერატორი, თბ., 1997

MERAB KALANDADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi state university,
Georgia
merab.kalandadze@tsu.ge

**DIMITRI UZNADZE
ABOUT THE CAESAR**

Unknown Dimitri Uznadze: Unveiling His Contribution to Historical Science Dimitri.

Uznadze's contribution to historical science, largely obscured during the totalitarian-Bolshevik regime, has remained relatively unknown to Georgian society. In the Soviet era, it was a taboo subject, silenced and untouched, as discussing it was considered political audacity. This indifference wasn't accidental; it extended beyond academic boundaries, carrying a distinct political content. Primarily, it reflected a negative attitude toward the achievements of the Democratic Republic of Georgia (1918-1921) during the Soviet period. It was a highly politicized and ideological approach. In an attempt to correct this inconsistency, we aim to shift the focus from political judgment to academic reasoning.

The altered political landscape has brought the revival and rehabilitation of this topic to the forefront. We have chosen to delve into a special study of Dimitri Uznadze's contribution to historical science. This endeavor will unveil another facet of his multifaceted and diverse activities, adding a new, albeit modest, but interesting dimension. This undertaking is crucial for filling in more gaps in Georgian historiography, offering a more comprehensive understanding of Dimitri Uznadze's scientific pursuits.

This paper represents a step in this direction. As indicated by the title, it is of a historiographical nature, intending to explore how Caesar's work was presented in Dimitri Uznadze's initial national school textbook on ancient world history. The focus is on Uznadze's approach to Caesar, and we find it both interesting and pertinent to delve into this issue. This work serves as news, bearing a Georgian context, and stands as the initial attempt to address the mentioned subject.

Exploring Caesar in Dimitri Uznadze's Early Textbook on Ancient World History.

Every era is closely tied to remarkable individuals, often described by English historian Arnold Toynbee as the "creative minority." Among such

figures, Roman Gaius Julius Caesar (100-44 BC) stands out prominently. In this context, it becomes intriguing to examine how Caesar's contributions were portrayed in Dimitri Uznadze's initial national school textbook on ancient world history (1.6 3-73).

Assessing Caesar in Historical Literature: Perspectives and Challenges.

Caesar's legacy has been extensively documented in literature, revealing a lack of consensus among ancient authors and historians regarding the evaluation of his work. The majority, as acknowledged, laud and extol his name and achievements, while a minority takes on the role of critics, demonstrating, at best, an indifferent attitude toward his contributions. Uniting these contrasting perspectives poses a formidable challenge, and this ongoing debate is likely to persist. In the words of renowned Dutch historian Peter Hale, "History is an endless polemic," implying an enduring clash between pro-Caesar and anti-Caesar viewpoints. Striking a balance between these extremes proves difficult due to the inherent subjectivity of judges evaluating Caesar's work, with some swayed by sympathy and others by antipathy.

The foundation for Caesar's glorification was established in antiquity, primarily through the works of Plutarch and Suetonius. Another perspective, highlighted by historian Givi Gamrekelli, emphasizes the apparent indifference to Caesar exhibited by historian Ammianus Marcellinus. The 19th-20th centuries witnessed widespread glorification of Caesar in European historiography. A notable advocate was the eminent German historian Theodor Mommsen, who dedicated a significant portion of his works, particularly the third volume, to an apology for Caesar. Mommsen's admiration for Caesar reached its zenith, presenting him as unparalleled in world history. While acknowledging the rational aspects of Mommsen's assessment, it is imperative to approach the glorification of Caesar with caution to avoid exaggeration and strive for moderation.

Similarly, the renowned German military historian Hans Delbrück expressed a high regard for Caesar's work, praising him as a military genius and highlighting his military triumphs. Delbrück's work concludes with an apotheosis of Caesar's achievements, declaring him the epitome of ancient military art. However, the cautionary note remains – glorifying Caesar's work demands a measured approach to maintain historical accuracy and avoid undue exaggeration.

Diverse Perspectives on Caesar: Critical Voices and Glorification.

Guillermo Ferrero, the renowned Italian historian, emerges as a vocal critic of the Caesar cult, going to the extent of labeling Caesar a "genius adventurer" and sparing no negative epithets in assessing his work.

Literary literature also reflects the dichotomy in perspectives, with William Shakespeare's play "Julius Caesar" embodying the glorification of

Caesar. Notably, the spectrum of Caesar's supporters extends to prominent politicians, including the French emperor Napoleon III (1852-1870), both known for their advocacy of one-man rule.

These contrasting views encapsulate the main trends in the historiography of Caesar, highlighting the divergence between critics like Ferrero and those who glorify Caesar, such as Shakespeare and influential political figures like Napoleon III. The complexity of evaluating Caesar's work is evident in the diverse opinions that have shaped the narrative, contributing to the ongoing debate on his historical significance.

Caesaria in Georgia: Correcting Historical Distortions.

This paper comprises two interconnected parts, each integral to understanding the complex relationship between Georgia's interest in Caesar's work and its portrayal in Dimitri Uznadze's first national school textbook of ancient world history.

The first part, dubbed "Georgian Caesaria" or simply "Caesaria," offers a concise overview of Georgia's historical interest in Caesar's work. This exploration serves as a crucial component of the broader issue at hand. The second part delves into the specific inquiry of how Caesar's work is covered in Uznadze's textbook.

Our focus is on the interest in Caesar's work in Georgia, a topic that has undergone distortion primarily due to the influence of the totalitarian-Bolshevik regime. The prevailing Soviet approach inaccurately claimed that no substantial writings on Caesar existed in Georgia until after its Sovietization in 1921. This skewed perspective completely disregarded the significant contributions made during the Democratic Republic of Georgia (1918-1921), effectively erasing this period from the historical narrative.

In challenging this distorted view, we aim to emphasize the importance of the first national school textbooks of ancient world history published during the Democratic Republic of Georgia. While acknowledging that these early initiatives may not have been extensive, they represent a noteworthy step forward, particularly considering the limited literature on Caesar in Georgian.

It is crucial to resist exaggerating the significance of these early efforts in 1918-1921. Instead, we view them as laying the foundation, setting the principles, and marking the initial signs of scholarly engagement with Caesar's work in Georgia. The scientific approach presented in these textbooks provides a transparent basis for understanding this historical matter. Dismissing these early developments with a nihilistic attitude would be unwarranted, as they represent the groundwork for a more comprehensive exploration of Georgia's interest in Caesar's work.

Evolution of Interest in Caesar's Work in Georgia: A Historical Perspective.

Between 1918 and 1921, interest in Caesar's work took on a cognitive and popular character in the Democratic Republic of Georgia. This interest found expression in the first national school textbooks of ancient world history, marking a significant achievement for the time. Despite the limited scope, these textbooks laid the groundwork for future explorations, challenging the Soviet-era narrative that portrayed Georgian historiography as starting from scratch post-Sovietization.

Contrary to the Soviet claim, Georgian historiography had a pre-existing foundation, and the accomplishments in the early 20th century were unfairly disregarded. The Georgian scholars of the time made valuable contributions, and their efforts should be acknowledged as a success.

The trajectory of this interest in Caesar's work in Georgia suggests a multi-step plan that unfolded in three stages. The first stage, represented by the national school textbooks, demonstrated a popularization and educational initiative. The logical continuation, the second stage, might have involved a university-level textbook building on the foundation laid earlier. The third stage would likely have entailed a combination of scientific research and further popularization, creating a more comprehensive understanding of Caesar's work.

However, political conflicts disrupted this plan, and the original path was abandoned. Instead, the Soviet-era historiography adopted a one-sided, dogmatic Marxist-Leninist ideology that stifled diverse opinions and scientific exploration. This ideological approach underestimated individual contributions and magnified the role of collective forces.

The narrative propagated during the Soviet years, suggesting a uniform and monotonous interest in Caesar's work in Georgia, does not hold. Instead, there was a dynamic metamorphosis, a zigzagging journey from free thinking to ideological monopoly and back to free thinking.

Crucially, the irreversible shift in interest occurred not after the Sovietization of Georgia but earlier, during 1918-1921 in the Democratic Republic of Georgia. The work on the first national school textbooks of ancient world history during this period signifies a significant qualitative and quantitative change in the study of Caesar's work in Georgia. Acknowledging these achievements is essential to understanding the multifaceted nature of Georgia's historical engagement with Caesar's legacy.

Shaping the Study of Caesar's Work in Georgia: A Historical Analysis.

The inception of serious teaching about ancient world history, particularly Caesar's work, in Georgian schools occurred not after the Sovietization of Georgia, as claimed in the Soviet era, but much earlier—between 1918 and 1921 in the Democratic Republic of Georgia. The significance lies in the development of the first national school textbooks that encouraged

free thinking, a multivariate approach to historical events, and progressive-liberal values. While acknowledging the merits of these textbooks, it's important to recognize their contextual nuances, avoiding an apologetic tone.

These textbooks marked a substantial advancement from the black-reactionary educational materials used under Tsarism, presenting a more progressive and inclusive approach. Notably, the teaching of ancient world history in Georgian schools now acquired a national dimension by being conducted in the Georgian language—a crucial development that should not be solely justified as the Soviet regime did.

Georgian historiography demonstrates a tradition of interest in Caesar's work, combining research and popularization of the subject. The achievements of Georgian historiography in this domain, in our view, stand on par with or even exceed those of many small European countries. This reality, without exaggeration or downplaying, provides a more accurate understanding of Georgia's contribution to the study of ancient history.

The study of Caesar's work in Georgia can be conditionally divided into three periods, transcending purely academic contexts and carrying distinct political undertones:

Interest in Caesar's Work (1918-1921): During the Democratic Republic of Georgia, this period laid the foundation for the study of ancient history, introducing a more liberal and nationalistic approach.

Study and Popularization (1921-1991): The Soviet period saw efforts to study and popularize Caesar's work within the framework of a dogmatic Marxist-Leninist ideology, limiting diverse perspectives.

Post-Soviet Coverage (Early '90s Onward): With the collapse of the Soviet Union, the post-Soviet period ushered in a new era of studying Caesar's work in Georgian historiography, characterized by greater academic freedom and a more nuanced understanding.

This historical analysis aims to shed light on the evolution of interest in Caesar's work in Georgia, emphasizing the multifaceted nature of this exploration across different political and educational contexts.

Dimitri Uznadze's Perspective on Caesar's Work: A Historical Inquiry.

Dimitri Uznadze's coverage of Caesar's work in the first national school textbook of ancient world history reveals a nuanced perspective, delving into both empirical facts and historiographical evaluation. Two key questions guide our exploration: the depth of Uznadze's knowledge about Caesar's life and work and his evaluative stance towards Caesar.

1. Empirical Side: Uznadze's Informed Knowledge

Dimitri Uznadze exhibits a solid grasp of Caesar's rule, showcasing a factual understanding of Caesar's life and accomplishments. This empir-

ical foundation is a significant strength of Uznadze's discussion on the topic, affirming his historical knowledge.

2. Theoretical Side: Historiographic Evaluation

Uznadze aligns with the prevailing positive assessment of Caesar's work found in historical-scientific literature. His approach is characterized as correct and scientific, reflecting the scholarly consensus of his time. This historiographical evaluation aligns with the established standards of historical science during that period.

Strengths and Weaknesses of Uznadze's Evaluation:

Uznadze's positive stance towards Caesar's work is marked by a certain emotional intensity. While this fervor adds passion to the discussion, caution is warranted to prevent hyperbolization and excessive praise. The emotional tone might be attributed to Uznadze's worldview and political ideals.

Possible Influences on Uznadze's Perspective:

It's speculated that Uznadze's views may have been influenced by prominent historians of his time, such as Theodor Mommsen. While this remains a cautious assumption, it suggests the interconnectedness of historical ideas and perspectives.

Understanding Uznadze's Worldview:

Uznadze's exaggerated tone is likely rooted in the alignment of Caesar's work with his political ideals and a recognition of the individual's role in history. This emphasis on the significance of the individual aligns with Uznadze's broader worldview, echoing the sentiments of Georgian historians like Alexander Tsereteli.

Limitations of the Knowledge Base:

The available information is confined to the first national school textbook of ancient world history, offering a limited glimpse into Uznadze's insights on Caesar. Despite its scarcity, this source remains valuable, providing fragments that hint at Uznadze's broader knowledge on the subject.

Cautious Assumption about Uznadze's Extensive Knowledge:

Recognizing the paucity of available material, there's a cautious assumption that Uznadze possessed a more extensive understanding of Caesar's work beyond what is evident in the textbook section. This speculation acknowledges the potential depth of Uznadze's knowledge.

In conclusion, Uznadze's exploration of Caesar's work, while constrained by limited available material, offers valuable insights into his historical perspective. Balancing empirical knowledge with historiographical evaluation, Uznadze's stance contributes to the broader landscape of Georgian historiography.

Firstly, it's crucial to choose the right criterion. This is significant and will help us assess the issue properly. A strict scientific measure won't work as a criterion here; it's a school textbook. A much more modest task

lay ahead. Share Caesar's activities with the students in an interesting way – that was the challenge. Dimitri Uznadze succeeded in this cultural task. This bit of information about Caesar's work would interest Georgian society, especially the student youth, shaping a common perception on this issue. That was the main goal. Judging this reasoning strictly from today's perspective wouldn't be appropriate. Dimitri Uznadze contributed to teaching, studying, and popularizing Caesar's work in Georgia, along with Alexander Tsereteli, as initiators of coverage on this topic in the region. In fact, this is one of the first attempts to cover Caesar's work in Georgia.

Gaius Julius Caesar. The First Triumvirate. Caesar in Gaul (58-49), Battle of Caesar and Pompey. The age of Caesar's rule. That's all. What about this plan? This plan is good, and we don't see anything unacceptable in it. It would be desirable to organize the issue more compactly, even following a straightforward scheme. Caesar's Domestic Policy. His reforms and Caesar's foreign policy. His triumphant military successes. As we can see, scientific research here doesn't have a principled character; it's more a matter of taste. He likes it that way. We understand it a little differently.

It would be good to mention the years of Caesar's work (100-44 BC), adding cognitive load to help students deepen their knowledge. The date of his death is indicated (March 15, 44 BC), but the years of his work are not. It would be much more consistent to do so.

The increasing number of digital representations of literary texts and cultural phenomena, coupled with advancements in digital humanities tools and research methods, underscores the importance of adding a digital version of Georgian handwritten monuments to the digital database. This addition will facilitate and simplify fundamental, relatively analytical scientific research.

In the modern world, humanitarian science, considered an irrational

science, is perceived as having less appeal among young people, contributing to its categorization as a “dying” science. The high imbalance between rational desires and the technical capabilities within areas of interest, particularly humanitarian science, is a key factor. A simplified workspace and opportunities will help strike a balance between rational desires, professional interest, and the aspirations of young people.

The solution to the crisis lies in popularizing philological science, as philology represents the history of culture itself and boasts high critical capacity in studying the social history of documents. Digital humanities, where philology holds a central position as the “fundamental science of human memory” and the “general science” of literature, texts, serves as a significant contributor. The written monuments preserved in the National Center of Manuscripts of Georgia span a broad chronological framework (V-XX centuries), exhibit thematic diversity, and are rich in artifacts preserved in different languages (Tandashvili, 2020).

In the modern era, within the context of digital humanities, the meaning of written sources and scientific publications has expanded, labeled as “dynamic scientific documents.” These documents combine not only text but also multimedia, metadata, dynamic environments, and the language of internet communication in an academic format.

Although the interest of scientific research centers and researchers in the sources protected in the National Center of Manuscripts is high, the relevant citation base does not meet international, modern requirements. It is imperative to create a multi-digital information network, resulting in an extensive source base with bibliographic appendices, descriptions, and research information of high standards preserved in the photo-micro storage.

The possibilities of digital humanities in the modern landscape encompass diverse methods of implementation, including conferences, thematic magazines, and summer schools (Khalvashi, 2018).

In pursuit of the goals of modern digital humanitarianism, the following features should be considered:

General Information: This encompasses the ranking of handwritten books, historical documents, and personal archival funds of public figures.

Sectoral Grouping: A simplified filtering system for thematically and genre-wise diverse materials, including monuments of both secular and religious content. This categorization is based on funds (A, S, H, Q, Ad, Sd, Hd, Qd, personal archival funds of public figures) preserved in Khets.

Chronological Grouping: The material preserved in Khets spans the chronological framework of the V-XX centuries.

According to Writing: Written monuments are found in all three forms of Georgian writing, as well as manuscripts made in foreign languages.

Digital Humanities Integration: Digital humanities, being an interdisciplinary field, requires researchers to visualize both written texts and create an information base of critical digital editions. This also involves incorporating scientific publications related to written sources.

The utilization of microtapes in preserving written and printed collections is a notable aspect of information storage. Initially used in the banking system, libraries adopted this method. Microtapes come in different types:

Cellulose Nitrate: Initially used for motion pictures, government records, and studio photographic film, this type was discontinued due to flammability and rapid deterioration. Safer film stocks, such as cellulose acetate and cellulose triacetate, were developed in the 1950s.

Acetate: Used from the 1950s to the mid-1980s, acetate film has a life expectancy of one hundred years if properly prepared and stored. However, it is susceptible to damage from changes in temperature and humidity, leading to vinegar syndrome.

Polyester: Almost exclusively used for microfilm production today, polyester film stock is chemically stable and durable. It has a lifespan of five hundred years under proper protection.

Microfilms preserved in Khets storage were taken in the 60s-80s using high-quality polyester films, slides, and 2-3 mm glass for preserving written monuments. The resolution of these microfilms, with technical parameters corresponding to micrat 200 and micrat 300 (300 lines per 1 millimeter), ensured high resolution. Precious crystals were used in the creation of films during the photofixation of cultural heritage, guaranteeing long-term protection under appropriate climate control conditions. Positive and negative types of black-and-white microtapes were produced, with sizes ranging from 35 mm to rarely 60 mm. Digitizing microtapes and placing them on a server requires knowledge of relevant technologies (Cole, 2003).

It is crucial to establish a robust mechanism for the protection of microfilms. Microfilm and microfiche should be stored in alkaline neutral buffer boxes, preferably in stainless steel closed cabinets rather than wooden ones, in a location shielded from sunlight and harmful ultraviolet radiation. The optimal temperature for safeguarding black and white films should not exceed 17 °C, with recommended humidity around 50% ±5%. Regular cleaning of inventory in storage and use areas is essential, as dust poses a known risk of causing scratches on microfilms.

During the Soviet period and beyond, insufficient attention was given to the protection of microfilms. Climate control measures necessary for their preservation were not determined, and standard limits for humidity and temperature were not established. Passports indicating their condition were not created, and an information register about them was

lacking, hindering preventive conservation of microfilms. Consequently, preventive conservation measures essential for their protection become paramount. A restorer should assess the condition of microfilms, determine the degree of damage in case of any, and provide necessary recommendations for conservation. Preventive conservation efforts should be undertaken as much as possible. Printing out the microfilms of those funds whose photocopies are not stored in the photo storage of the National Center of Manuscripts is advisable.

The digitization of microfilms will significantly contribute to the creation of a robust digital library of written sources. This digital library will enhance access to a wealth of information for both professionals and interested readers. In the contemporary era, the development of digital humanities approaches scientific research from a new angle. The integration of scientific and technological directions will not only protect the material stored in the center from damage and destruction but will also provide access to researchers without territorial distance constraints, addressing one of the main challenges faced by any organization possessing a collection of a scientific nature.

REFERENCES:

- Cousin, Manana. 2016. Digital documentation of language, BSU,
- Cousin, Manana. 2020. Modern methods and tools of documenting language and culture, Vol. 2020
- Khalvashi, Ramaz. 2018. Introduction to Digital Humanities, Batumi.
- Timothy, Cole, 2003. "Using OAI-PMH to Aggregate Metadata Describing Cultural Heritage Resources," Presented at the ALA/CLA Annual Conference (June 2003, Toronto, Canada). Available: http://dli.grainger.uiuc.edu/publications/twcole/ala2003oai/ALA2003_O.
<https://guides.lib.uw.edu/c.php?g=342245&p=2305093>

ლაშა დოხნაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი,
საქართველო
lashadokhnadze@gmail.com

ნებაყოფლობითი მსხვერპლის კონცეპტის ეთიკური გაგება ძველ საქართველოში

ნებაყოფლობითი მსხვერპლის პრაქტიკა ძველ ქართულ მსხვერპლშენიშვნით სისტემაში მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ როლს თამაშობდა, რაზეც პირდაპირ მიანიშნებს ჩვენამდე მოღწეული მრავალი რიტუალის აღწერილობა. უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, ნებაყოფლობითი და ჩამნაცვლებელი მსხვერპლის კონცეპტის გაჩენა, სააზროვნო პარადიგმების ერთგვარ ცვლილებაზე და აშკარა სამსხვერპლო კრიზისზე მიუთითებს. ის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს იმ მორალური ხასიათის კრიზისის, რომელიც გამოიხატებოდა ინდივიდის როლის გამოკვეთასა და მისი უფლებების გაზრდის პარალელურად თემთან ეთიკურ-აქსიოლოგიურ დაპირისპირებაში.

როდესაც ვსაუბრობთ ნებაყოფლობით მსხვერპლზე, ეს უკანასკნელი ტერმინი შეგვიძლია ერთგვარად ბრჭყალებში ჩავსვათ, თუმცა არა - ყოველთვის. ძნელია წარმოიდგინო ადამიანი, რომელიც რიტუალური მექანიზმის ჰიპოთეტური პოზიტიური რეზულტატის გამო თავს სწირავდეს საკუთარი ნებით, თუმცა ამ ტიპის ადამიანების არსებობის გამორიცხვაც არ შეიძლება ძველ საქართველოში, რადგან მსგავს ფაქტებს ხშირად ვხვდებით წერილობითი კულტურის სხვა ანტიკურ საზოგადოებებში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი ენთუზიასტები ჩვენთანაც იქნებოდნენ, რომლებიც საკუთარი ნებით ჩამნაცვლებელ მსხვერპლად იქცეოდნენ ხოლმე, რითაც უდიდეს როლს თამაშობდნენ პაროქსიზმის, ღრმა საზოგადოებრივი კრიზისების დროს. თუ კარგად დავაკვირდებით სტრაბონის მიერ I საუკუნეში კახეთთან ახლოს ისტორიულ ალბანეთში აღწერილ რიტუალს, ვნახავთ, რომ აქ სავარაუდოდ სახეზე გვაქვს ენთუზიასტი მსხვერპლების კატეგორია, ანუ იმ ადამიანების ჯგუფი, რომლებიც საკუთარ თავს სთავაზობდნენ თემს მსხვერპლშენიშვნისთვის. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ცნობა, რომ ამ მონათაგან რომელიც „უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მართო დაეხეტება ტყეებში,

დაიჭერს ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით“ და „სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად მსხვერპლად შესწირავენ“ (სტრაბონი 1957, 134-135). ცხადია, ამ შთაგონებულ ადამიანებს ეცოდინებოდათ, რომ ალბანური სამსხვერპლო პრაქტიკის მიხედვით, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩინდა თავს, ანუ ვინც იქნებოდა **„ყველაზე მეტად შთაგონებული“**, ის იწირებოდა მსხვერპლად, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინც არიან ისეთი ენთუზიასტები, რომლებიც თავისი აქტიურობით ხდებიან სამსხვერპლო კატეგორიის ადამიანები.

მირჩა ელიადემ ყურადღება მიაქცია ინდოეთში კხონდებში არსებულ meriah-ის ინსტიტუტს. Meriah-ი თემისგან ნაყიდი ნებითი მსხვერპლია, რომელსაც წლების განმავლობაში ამზადებდნენ შესანიშნავად. უშუალოდ შეწირვის წინ ცეკვავდნენ მის გარშემო, ეთაყვანებოდნენ, აიგივებდნენ იმ ღვთაებასთან, ვისთვისაც უნდა შეენიშნათ, ხოლო შეწირვის მომენტში ამბობდნენ ამგვარ ტექსტს: „ჩვენ გიყიდეთ შენ და არ დაგეუფლეთ ძალით: ან მიგვაქვს შენი თავი მსხვერპლად და არც გვანევს არანაირი ცოდვა“ ორგის შემდეგ meriah-ს ათრობდნენ ოპიუმით, დაახრჩობდნენ და ანანევრებდნენ (ელიადე 1996, 219). ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ბაბილონური ტექსტი ხარის მსხვერპლშეწირვის შესახებ გვამცნობს ქურუმის მრავლისმეტყველ სიტყვებს: „ეს საქმე **აღასრულეს ღმერთებმა**, მე ეს **არ აღმისრულებია**“ (ბურკერტი 2000, 410).

მოტანილი ამონარიდები ტექსტებიდან უკვე თავისთავად მიუთითებენ ღრმა ეთიკურ კრიზისზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანური მსხვერპლშეწირვის მორალურ დილემასთან. ამ კრიზისიდან გამოსავლის ძიებამ მთელი სიმძიმის ცენტრი ცხოველებზე გადაიტანა, ოღონდ არა ყველა სახეობის, არამედ იმ კატეგორიის ცხოველებზე, რომელთა ქცევებშიც თითქოსდა „თავისუფალი ნების“ გამოხატულების დანახვა შეიძლებოდა. ამ მომენტს ჯერ კიდევ განმანათლებლობის ეპოქაში მიაქცია ყურადღება ფრანგმა მოაზროვნემ ჟოზეფ დე მესტრმა. ის წერს: „ცხოველებიდან ყოველთვის ირჩევდნენ ყველაზე ღირებულ და სასარგებლო, ყველაზე მშვიდობიან, ყველაზე უდანაშაულო, თავისი ინსტინქტებით და ჩვევებით ყველაზე მსგავსს ადამიანთან... ცხოველებს შორის ირჩევდნენ, „ასე ვთქვათ ყველაზე ადამიანურ ცხოველს“ (მესტრი 1998, 310).

ადამიანურ ბუნებასთან სიახლოვე თუ არა, ცხოველებიდან ყველაზე მეტად მორჩილება და ურისხველობა ახასიათებს ცხვარს, ამიტომ ნებითი მსხვერპლის კატეგორიაში ყველაზე მეტად ის ჯდება და, შესაბამისად, ხშირად ვხვდებით ამ მიზნით ცხვრის გამოყენების ფაქტებს. „ცხვარი ღმერთს ჩამოუშვია ციდან და ხალხისთვის უსწავლებია, რომ ეს ჩემი სამსახურისთვის გამოიყენეთ“ - ამბობს

ქართული თქმულება (კიკნაძე 2017).

მსხვერპლის ძალა მის ნებაყოფლობითობაშია. ურჩი მსხვერპლი აუქმებს ამ აქტის საზრისსა და მიზანს. სამსხვერპლო პირუტყვი ემსახურება ადამიანს და ასეც ეწოდება საკულტო საკლავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში - სამსახური (კიკნაძე; იქვე). როგორც შესანიშნავი მკვლევარი ირ. სურგულაძე აღნიშნავს, სწორედ ცხვრის „უდრტვინველობა“, ალბათ ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რამაც განაპირობა ამ ცხოველის განსაკუთრებული ადგილი სამსხვერპლო ცხოველთა რიგში (სურგულაძე 2003, 158).

კიდევ მეტად რომ გამართლდეს მსხვერპლშენირვის საზრისი, არა მხოლოდ მორჩილი შინაური ცხოველი უნდა დაიკლას, არამედ თავისი ნებით უნდა მოვიდეს მსხვერპლი შესანიშნავად. ქართულ ფოლკლორში გვაქვს ნებაყოფლობით მოსული სამსხვერპლო ცხოველის შესახებ უამრავი ცნობა, რომლის არეალი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მოიცავს. ფოლკლორული გადმოცემები მიუთითებენ ოქუმში (სამურზაყანო), წაჩხურის მთავარანგელოზის ტაძარში (სამეგრელო), უდეში (მესხეთი), ხანში (იმერეთი), ფხოტრერში (სვანეთი) დღესასწაულებზე სამსხვერპლო ცხოველების თავისი ნებით მისვლის შესახებ. მსგავსი ცნობები მთელს კავკასიაშია დამოწმებული (სურგულაძე 2003, 156-158).

ამ ტიპის ყველა გადმოცემაში ცხოველი მოჰყავს ან სალოცავს, ან ხატს, ან წმინდანს, უფრო სწორად, კი არ მოჰყავს, არამედ „წმ. გიორგის „მიუდის“ როგორც ნადირი, ასევე მლოცველიც“ (იქვე, 156). ქართლში ჩაწერილი ერთ-ერთი ლექსი გვიყვება:

„ეს ჩვენი წმინდა გიორგი,
მალლა გორაზე სვენია,
ნადირი ბევრი **მიუდის**,
არჩვი, ირემი, შველია,
დათვს რაღა მოარბენინებს,
ვაი, **შიში** რა ძნელია (იქვე, 156).

წმინდანის ნებით მისვლა მსხვერპლს ანიჭებს მეტაფიზიკურ საზრისს და შემწირველს სრულად ათავისუფლებს მორალურ პასუხისმგებლობისგან. ამგვარი „ნებით“ მოსული ცხოველის სამსხვერპლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ მას ისე ექცევიან, არ უნდა იგრძნოს შიში დაკვლისას. ზრუნავენ, ეთაყვანებიან, ასრულებენ საგალობლებს, უშუალოდ დაკვლის წინ მალავენ დანას... სამსხვერპლო ცხოველს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ღვთაების, წმინდანის შიში და არავითარ შემთხვევაში ადამიანების, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, არ აღსრულდება მსხვერპლშენირვა, როგორც ნებაყოფლობითი აქტი.

საინტერესოა, უშუალოდ შეწირვის პრაქტიკა, რაც მთლიანად ასაჩინოებს პროცესის მორალურ-ეთიკურ მხარეს. არქაულ

საზოგადოებებში მსხვერპლშენიშვნის სისტემების უდიდეს მკვლევარს, ვალტერ ბურკერტს თავის ეპოქალურ გამოკვლევაში “Homo necans” მოჰყავს მაგალითები ძველ ახლოაღმოსავლურ და ბერძნულ-რომაულ სამსხვერპლო პრაქტიკიდან, რაც ძალიან ახლო დგას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ სამსხვერპლო მექანიზმებთან. პროცესიის დანყების წინ ხდებოდა ცხოველების მოკაზმვა, რიტუალური ლენტების გადაკვრა, რქების მოოქროება. ამის შემდეგ მას ორივე ყურში ჩასჩურჩულებდნენ ლოცვა-ვედრებას... ჩვეულებრივ იმედოვნებდნენ, რომ ცხოველები მონაწილეობას მიიღებდნენ პროცესიაში მშვიდად ან საკუთარი ნებითაც კი. ლეგენდები დაჟინებით გვაუწყებენ ცხოველებზე, რომლებიც თავად სთავაზობდნენ საკუთარ თავს მსხვერპლის რანგში და ეს ემსახურებოდა უეჭველ მტკიცებულებას ზეციური ნების ჩარევის (ბურკერტი 2000, 409-410).

მოგვყავს ერთ-ერთი ამ ტიპის რიტუალის აღწერა ვ. ბურკერტის ხსენებული შრომიდან: „პროცესიას მოუძლოდა ქალწული კალათით, უმანკო გოგონა... დანიშნულ ადგილას მისვლისას მონაწილეები პირველ რიგში მოხაზავენ წრეს, გამოყოფენ რა ამ სახით წმიდას საეროსგან. პირველი კოლექტიური ქმედება - ხელების დაბანა, როგორც „დასაწყისი“ იმისა, რაც უნდა მოჰყვეს ამ ყველაფერს (იქვე, 407). „-შეანჭლიეთ“, - ამბობს ტრიგაიოსი არისტოფანესთან, რადგან ცხოველის მოძრაობა გაიგება, როგორც თანხმობის ნიშნად თავის დაქნევა, ისევე როგორც სამსხვერპლო აქტის შესასრულებლად ნათქვამი პასუხი „დაახ“. ამ მიზნით ხარს დაასხამენ ასევე წყალს... მარცვლეულით დაფარულ კალათის ფსკერზე დამალულია დანა. მოქმედი პირი იღებს მას და მიემართება მსხვერპლისაკენ ისე, რომ მან არ დაინახოს დანა. ელვისებური მოქნევით შუბლიდან ჭრის ბალანს და აგდება ცეცხლში... ჯერ კიდევ არ დაღვრილა სისხლი, არ მიყენებულა უმცირესი ტკივილიც, ამიტომ ნებისმიერი მიკარება წმიდა ცხოველისადმი აღმოჩნდება გამოუსწორებელი დარღვევა (იქვე, 407-408).

როდესაც ხდება სასიკვდილო დარტყმის მიყენება, ქალები იწყებენ კივილს, შიშისაგან ან აღგზნებისაგან, ან ერთ და მეორისგან ერთად. „ბერძნული ჩვეულება სამსხვერპლო ყვირილის“ იუნყება მოვლენის ემოციური პიკის შესახებ, რომელიც ახშობს ცხოველის წინასასიკვდილო ბლავილს“ (იქვე, 408).

საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ ცხოველი მაქსიმალურად უდრტვიწველად შეინიშნება. შესაწირი საქონლის გაჭიურებას და, მით უმეტეს, გაქცევას უდიდეს უბედურებად თვლიდნენ. ქართულ ეთნოგრაფიულ ცნობებში დაფიქსირებულია ტერმინები: „**მადლიანად შეინირა**“, „თავისი ნებით დანვა“ და ა.შ. (სურგულაძე 2003, 158). ხშირი პრაქტიკა იყო ცხოველის ნებაყოფლობითი ქცევის გათამაშებისა. ა. დავითიანის ცნობით, სვანები შესაწირ

ხარს არყით ათრობდნენ, რათა წინააღმდეგობა არ გაეწია და დამყოლი ყოფილიყო (იქვე, 158). ძველ რომში ცხოველი დაუჭიმავი, მოდუნებული თოკით მიჰყავდათ, რათა მისი ქცევისგან ნებაყოფლობითი „თანხმობა“ გამოხატულიყო. მისი ბლავილის გადასაფარად მუსიკოსები ინსტრუმენტებს ახმაურებდნენ, ხოლო კაცები ყვიროდნენ (იქვე, 163). როგორც ბურკერტის აღწერილობიდან დავინახეთ, მსგავსი რამ ხდებოდა ახლო აღმოსავლეთსა და ანტიკურ საბერძნეთშიც.

შემწირველი მორალური პასუხისმგებლობისგან ორ შემთხვევაში თავისუფლდებოდა: I. თუ მსხვერპლი თავისი ნებით შეინირა; II. თუ შემწირველი შეასრულებს განწმენდის რიტუალს (ცანავა 2005, 181). ცხადია, საუკეთესო ვარიანტი იყო მსხვერპლის „ნებით“ შეწირვა, თუმცა, თუ ეს ამგვარად არ გამოვიდოდა, არქაულ საზოგადოებებში არსებობდა რიტუალიდან გამოსვლის და განწმენდის მთელი პრაქტიკები. რომში ბუფონიის დღესასწაულის დროს მსხვერპლშეწირვის აღმსრულებელი გარბოდა, ხოლო მის ნაცვლად რიტუალის მონაწილეები „სჯიდნენ“ დაკვლის იარაღს - დანას. რაკი „მკვლელი დაისაჯა“ შეწირულის სული აღარ უნდა განრისხებულიყო და არავისთვის მოეტანა ვნება (ჟირარი 2010, 155). ეს პრაქტიკა აშკარად მორალური პასუხისმგებლობიდან თავის არიდების მცდელობას წარმოადგენს და, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარი სამსხვერპლო კრიზისის მიმანიშნებელია.

ქართულ სინამდვილეში, ფოლკლორული გადმოცემების გარდა, უძვირფასესი ცნობები გვაქვს არქანჯელო ლამბერტისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილობების სახით ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში ყოველწლიურად ნებით მოსული ხარის შესახებ. ლამბერტი წერს, რომ სამეგრელოს მოსახლეობას ეჭვიმუტანლად სჯერა, რომ ხარი წმ. გიორგის თავისი ხელით მოჰყავს, არა მხოლოდ პირდაპირი გზით, არამედ წმინდანმა „სამჯერ მიიყვანა ეს ხარი ზღვიდან მთამდით და სამჯერ - მთიდან ზღვამდე და ამ გზით ნაკურთხ ხარს ეკლესიის გაღვანში დასტოვებდნენ ხალხის სასარგებლოდ“ (ლამბერტი 2011, 160). ეს პრაქტიკული თვალსაზრისით არასაჭირო გზის გავლა თან სამჯერ, ზღვიდან მთამდე და პირუკუ, ალბათ შემთხვევითობის მინიმუმამდე დაყვანის და მსხვერპლის მეტი მეტაფიზიკური შინაარსის მინიჭების და, შესაბამისად, ლეგიტიმიზაციისთვის არის საჭირო.

ლამბერტი ხაზს უსვამს ერთ ისეთ გარემოებას, რაც ჩვენი საკვლევი თემისთვის არის მნიშვნელოვანი. ის წერს:

„...ამ სახით (გულისხმობს წმინდანის მიერ ხარის მოყვანა/ „მოპარვის“ ამბავს - ლ. დ.) წმ. გიორგის აკუთვნებენ ქურდის სახელს, რადგან ამტკიცებენ, თვით წმინდანი იპარავს ხარს და მოჰყავს ეკლესიაში. აქედან მოუცილებელ საჭიროებად ხდება, რომ ყველა ამ ღამეს მეტად ფრთხილად იყოს და კარგად უდარაჯოს თავის

სახლს და ქონებას, რათა არაფერი მოიპარონ, წმ. გიორგიმ თუ არა, თვით იქაურმა მცხოვრებლებმა, რადგან **ესენი დარწმუნებულები არიან, რომ ამ ღამეს თვითეულს ნება აქვს მიბაძოს წმ. გიორგის და მოიპაროს რამე.** თუ წმინდანი **იპარავსო**, ამბობენ მეგრელები, **მისი მიბაძვა ვალად გვადევს** და ჩვენც უნდა **მოვიპაროთ.** ეს რომ მართალია, ამის მოწმე მე თვითონ ვარ, რადგან სწორედ იმ ღამეს, ჩემი გაუფრთხილებლობის გამო, მომპარეს ორი ცხენი, სულ, რასაკვირველია, წმ. გიორგის მიბაძვით“ (ლამბერტი 2011, 162-163).

ჩვენ არ ვიცით, გასაგები მიზეზების გამო, აჭარბებს თუ არა ავტორი, განსაკუთრებით მისი ორი ცხენის მოპარვის ამბავს, შესაძლოა არც მომხდარიყო ამგვარი ამბავი, თუმცა შეუძლებელიც აქ არაფერია. ერთი რამ ცხადია, რომ ავტორის მსჯელობა, როგორც გარედან დამკვირვებლის, არსობრივად სწორია. თუ ჩვენ შინაური ცხოველების მოპარვის და, ასევე ცხოველების მსხვერპლად შეწირვის პრობლემას ერთმანეთის მსგავს ზნეობრივ კატეგორიებად მივიჩნევთ, მაშინ ყველაფერი ნათელი ხდება. ადამიანი ყოველთვის გრძნობს, რომ დაკვლა-სისხლი, თუ მოპარვა, მორალური, ზოგჯერ კი იურიდიული ხასიათის დარღვევაა, რასაც სჭირდება მეტაფიზიკური გამართლება. ილორის მაგალითზე ჩვენ ვხვდებით არქაული აზროვნების საკმაოდ ადრეული ფორმის გადმონაშთს. ის ფაქტი, რომ წმ. გიორგი ხარს „იპარავს“, საშუალებას აძლევს ადგილობრივს, რომ დღესასწაულის დღეს არათუ დასაშვებად თუ სასურველად, არამედ სავალდებულოდაც კი ჩათვალოს შინაური ცხოველების მოპარვა. მსგავს ეთიკურ დილემას ვხვდებით მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებით, რამაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უამრავი სარიტუალო პრაქტიკის შექმნა განაპირობა მსხვერპლის ნებელობითი თანხმობის „მისაღწევად“.

ზოგადად, მსგავსი „მეტაფიზიკური დაშვების“ მოპარვებიც მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთ სახედ შეგვიძლია მივიჩნიოთ. ვისაც კპარავენ, პასუხს ვერავის მოსთხოვს, რადგან რეალურად დამნაშავე „არარსებობს“, იმიტომ რომ ეს ღვთაების ნებითარის სანქცირებული, შესაბამისად, საქონელი იქნება თუ ნივთი, მსხვერპლად არის მიტანილი. მსხვერპლად შეწირულია ის კატეგორია, რომელზეც პასუხი არ მოითხოვება, რადგან ის უანგარობის ველშია.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქცევა თავად ნებითი მსხვერპლი და როგორ ექცევიან მას შემწირველები. ლამბერტი წერს:

„ხალხში დიდ ლაპარაკს გამოიწვევს ეს ხარი იმისდა მიხედვით, თუ რა სახით ნახავენ მას. თუ დაჭერის დროს ხარი არ დანებდება და წიხლებს ისვრის, ან რქებით ირჩოლებს, იტყვიან, რომ წელს უსათუოდ ომი იქნებაო. თუ ხარი ზურგზე წამოწოლილი და მტვერში ამოსვრილი იპოვებს, იტყვიან, რომ კარგი მოსავალი იქნება ღომისა, ბოსტნეულისა და პურისაო. თუ ხარი ცვარით დანამული იქნა, კარგი

მოსავალი იქნება ღვინისაო. თუ ფერით ქერაა, ადამიანთა და პირუტყვთა ხშირი სიკვდილი იქნებაო, და თუ თეთრი ან ჭრელია, ფრიად კარგი ნიშანიო“ (ლამბერტი 1011, 163).

როგორც ვხედავთ, ხალხის წარმოდგენით, ხარის ურჩობის, შესაბამისად, „მაღლიანად“ არ შეწირვის შემთხვევაში რეზულტატი არის ომი, როგორც ადამიანების აგრესიის გამოხატვის ყველაზე ღია, ბრუტალური ფორმა. ნებელობითი მსხვერპლის ფუნქცია ძალიან ახლოს დგას „განტევეების ვაცის“ მსხვერპლის მთავარ დანიშნულებასთან - ჩააცხროს ადამიანებს შორის დაბუდებული აგრესია, დაამყაროს თანხმობა და მშვიდობა მათ შორის. ამ შემთხვევაში კი სახეზე გვაქვს ბინარული ოპოზიცია - ნებითობა/მორჩილება/სიმშვიდე - თვითნებობა/ურჩობა/აგრესია. ილორის მრევლის წარმოდგენით, როდესაც მეტაფიზიკური მსხვერპლი არ ავლენს პირველს, მივიღებს მეორეს...

როგორც აღვნიშნეთ, მსხვერპლის მოქცევასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორს, თუ როგორ ექცევიან მას. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო გადმოცემა აქვს ჩანერილი გამოჩენილ ქართველ ეთნოლოგს ჯულიეტა რუხაძეს იმერეთის სოფელ ხანში. აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, სულთმოფენობას, ადგილობრივების ენაზე „ველაობის“ დღესასწაულზე ყოველწლიურად მოდიოდა წმ. გიორგის მიერ გამოგზავნილი ირემი. ის ჯერ დაისვენებდა, მერე „დაინაცოხრებდა“, წმ. გიორგისვე შერჩეულ ადგილას - ტყელაზე აგებულ ტაძარს სამჯერ შემოუვლიდა და ამის შემდეგ მას მსხვერპლად სწირავდნენ. ერთხელაც „ველაობის“ დღეს საშინელი ავდარი ყოფილა, ამიტომ ირემს დაუგვიანია. მოშიებული ხალხი დიდხანს იცდიდა და, როცა თითქოს იმედიც უნდა გადაწურულიყო, ირემი გამოჩენილა. ტაბეშაძეების გვარის წარმომადგენელმა, რომელსაც რიტუალის აღსრულება ჰქონდა მინდობილი, ამ დაგვიანების გამო არ დააცადა ირემს დასვენება და დანაცოხრება და გაბრაზებულმა ფეხის კვრით გამოსჭრა მას ყელი. ამ ყველაფერს მოჰყვა ტაბეშაძეების გვარის საშინელი დასჯა და ირმის სამუდამო გაუჩინარება (რუხაძე 1989, 92-94).

მსგავსი თქმულება ჩაინერა 1948 წ. დიდმა ქართველმა ეთნოლოგმა გ. ჩიტაიამ არალში (მესხეთში). მოგვყავს მისი აღწერილობიდან ფრაგმენტი:

„...აღდგომა დღესამ ეკლესიაში დილით, ადრიან, სანამ წირვა დასრულდებოდა, მოვიდოდა თავისი ფეხით ირემი. დაკლავდნენ და დაურიგებდნენ ხალხს პირის გასახნილებლად. ერთხელ დაგვიანებია. ირემი დაღალული მოსულა, დაუკლამთ მაშინ. იმ დაკვლაზე ირემს წამოუყვირია - დაღალული რატომ დამკალითო. ამ ეკლესიას პირი აღმა, პირი დაღმა (უქნია) და დანგრეულა“ (კიკნაძე 2016, 212. დამონებულია: ჩიტაია 2001, 201).

ხანში მოსული ირმის ეპიზოდის საინტერესო ანლიზი აქვს გამოჩენილ მკვლევარს ზ. კიკნაძეს. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამსხვერპლო ირმის აუცილებელ ქმედებას - დანაცობრებას. ის წერს: „ცხოველი, რომელსაც ცოხნა არ დაუსრულებია, არ არის მზად მსხვერპლშენირვისთვის და, ამდენად, ამ ბუნებრივი ციკლის შუა გზაზე მყოფი ცხოველის დაკვლა არალეგიტიმურია და მისი ღირსების ხელყოფადაა შერაცხილი... ამ უკანასკნელ ჟამს, მსხვერპლშენირვის მოლოდინში ირემი უკანასკნელად გაიაზრებს განვლილს. ეს ჟამი მისია, მისი განუყოფელი, ხელშეუხებელი საკუთრებაა... და ტაბეშაძე თავისი პრაგმატული მიზნით უხეშად ართმევს ირემს ამ ჟამს. „დანაცობრება“ ერთხელ აღთქმულის გადამუშავების მეტაფორაა, როგორც გვარწმუნებს ცოხნის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა *ruminatio*, რომელიც მეტაფორულად სააზროვნო საგანში ჩაღრმავებას ნიშნავს. ეს მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვამ შეინარჩუნა რომანულ ენებში გადასვლისას: ფრანგულ-ინგლისური *ruminatio* (=ღრმა ფიქრი, კონტემპლაცია და სხვ.)“ (კიკნაძე 2016, 223-224). ეს „დანაცობრება“ ანუ მეტაფორულად ჩაღრმავება-ანალიზი აუცილებელი ატრიბუტია ნებიითი მსხვერპლის, რადგან სხვა შემთხვევაში, მისი ნებიოთობა, მისი *ultima voluntas* ეჭვქვეშ დადგება და, შესაბამისად, ნებიითი მსხვერპლშენირვის საზრისიც. მართალია, ირემი მოვიდა ხანში, ტყელას სალოცავზე, მაგრამ მართო მოსვლა ნებელობას სრულად არ განსაზღვრავს, მას სჭირდება *ultimaratio*, ანუ საბოლოო გადააზრება, საბოლოო დასკვნა, რათა ნებიითი მსხვერპლის საზრისი სრულყოფილი იყოს. ამ პროცესს არ აცლის შემწირველი ტაბეშაძე, რის გამოც მასზე და მის გვარზე საშინელი ჭირი მოიწვეს და წყდება კიდევ მსხვერპლშენირვათა ჭაჭვი...

როგორც დავინახეთ, ნებაყოფლობითი მსხვერპლშენირვის დაწესებაც და დასრულებაც სამსხვერპლო კრიზისს უკავშირდება. თუ კი პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს, როგორც დასაწყისში ვთქვით, ინდივიდის როლის გამოკვეთასა და მისი უფლებების გაზრდის პარალელურად თემთან ეთიკურ-აქსიოლოგიურ დაპირისპირებასთან, მეორე შემთხვევაში, აშკარად სახეზეა რაციონალურ-პრაგმატისტული აზროვნების განვითარების კვალდაკვალ საზოგადოებაში მიმდინარე დესაკრალიზაცია-პროფანაციის პროცესი. შემწირველი ტაბეშაძე ამ პროცესის დამაჩქარებელ-დამამთავრებელია. ხალხის მოშიება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ირმის „დანაცობრება“, შესაბამისად, პრაგმატული საჭიროება წინ დგას, ვიდრე საკრალურის განცდა, ყოფითი მოთხოვნები აღემატება რიტუალურ-საკრალურს. ეს შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც არქაული აზროვნებიდან მოდერნულზე გადასვლის ერთგვარი გამოხატულება.

დამონელებანი

ბურკერტი, ვალტერი. 2000 - Вальтер Буркерт, “Номо Necans”. Сборник статей “Жертвоприношение. Ритуал в искусстве и культуре от древности до наших дней”, ЕРHMNEIA, Москва.

ელიაძე, მირჩა. 1996 - Элиаде М, мифы, сновидения, мистерии, „рефл-бук“, „Ваклер“. Москва.

კიკნაძე, ზურაბ. 2016 - ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზმარი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

კიკნაძე, ზურაბ. 2017- „ხანში ირემი მოვიდა“

https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&opi=89978449&url=http://saunje.ge/index.php%3Fid%3D1440&ved=2ahUKewiE2uSl57OCAXUe_rslHbiBDacQFnoECACQAQ&usg=AOvVawOdPxxjxmvveZNS1R7QypN5

კოშორიძე, თამარი. 2014 - ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში, დისერტაცია ეთნოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი, თბილისი.

ლამბერტი, არქანჯელო. 2011- სამეგრელოს აღწერა. გამომცემლობა «მთაწმინდა», თბილისი.

ჟირარი, რენე. 2010 - Насилие и священное, Новое Литературное Обозрение, Москва.

ჟირარი რ. (2010) Рене жирар, насилие и священное, Новое Литературное Обозрение, Москва.

ჟოზეფ დე მესტრი 1998 -Жозеф де местр, Санкт-Петербургский вечера, СПб, алетейа.

რუხაძე, ჯულიეტა. 1999 - ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაულები საქართველოში. ბერიკაობა-ყეენობა. გამომცემლობა «მეცნიერება». თბილისი.

სტრაბონი 1957 - სტრაბონის ცნობები საქართველოს შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი.

სურგულაძე, ირაკლი 2003 - მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჩიტაია, გიორგი. 2001 - შრომები III. გამომცემლობა «მეცნიერება». თბილისი.

ცანავა, რუსუდან. 2005 - მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები: დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

LASHA DOKHNADZESt Andrew's Georgian
University,
Georgia

lashadokhnadze@gmail.com

ETHICAL UNDERSTANDING OF THE CONCEPT OF VOLUNTARY SACRIFICE IN OLD GEORGIA

VOLUNTARY SACRIFICE IN ANCIENT GEORGIAN RITUALS: A SHIFT IN THOUGHT PARADIGMS

The concept of voluntary sacrifice held a significant role in the ancient Georgian sacrificial system, as evidenced by the descriptions of numerous rituals that have been passed down through the ages. The emergence of voluntary and substitute sacrifice reflects a shift in thought paradigms, indicating a sacrificial crisis and moral challenges within the community.

The idea of voluntary sacrifice, although sometimes metaphorical, denotes a change in societal values and an evident moral crisis. This transformation is a logical outcome of the ethical-axiological conflict, reflecting a redefinition of individual roles and rights within the community.

While the term «voluntary sacrifice» might be used metaphorically, it's challenging to conceive individuals sacrificing themselves solely for the hypothetical positive outcome of a ritual. However, instances of such enthusiasts willingly acting as substitute victims are not unimaginable, as seen in other ancient societies with written cultures. These individuals might have played a crucial role during social crises, offering themselves as substitutes during paroxysms.

An example from historical Albania near Kakheti, described by Strabo in the 1st century, suggests the presence of enthusiastic victims. Strabo recounts a ritual where an inspired individual, often a slave, would voluntarily wander into the woods, knowing that they might become the sacrificial victim. This voluntary offering to the community reflects the dedication of individuals who actively participated in sacrificial practices during deep social crises.

The concept of the «meriah» institute in Khonda, India, as highlighted by Mircea Eliade, presents a similar scenario. A willing sacrifice is bought

from the community, prepared over the years, and, just before the sacrifice, is worshipped and identified with the deity. The ritual includes the acknowledgment that the sacrifice was not forced but willingly offered, attempting to navigate the moral complexities associated with human sacrifice.

The ethical crisis surrounding human sacrifice is further evident in Babylonian texts about bull sacrifice. Priests disassociate themselves from the act, claiming, «This work was done by the gods; I did not do it.» These excerpts signify the profound ethical dilemma faced by societies practicing human sacrifice.

To resolve this moral crisis, emphasis shifted to animal sacrifice, specifically those species perceived as expressing «free will.» Joseph de Maistre, an Enlightenment-era thinker, noted that animals chosen for sacrifice were often the most valuable, peaceful, innocent, and similar in instincts and habits to humans. The sheep, characterized by obedience and a degree of independence, became a suitable candidate for voluntary sacrifice.

In Georgian culture, sheep, perceived as obedient yet having an element of free will, is often chosen for sacrifice. Legends even narrate divine guidance in the use of sheep for sacred purposes, reflecting the cultural significance attached to this practice.

THE SIGNIFICANCE OF VOLUNTARY SACRIFICE IN GEORGIAN CULTURE

The essence of sacrifice lies in the voluntary nature of the act. A sacrificial animal must embody obedience, as disobedience would undermine the purpose of the ritual. In the mountains of Eastern Georgia, the ritual slaughter of sacrificial cattle is referred to as «service,» emphasizing the idea that these animals serve the people (Kiknadze). The sheep, with its perceived obedience and lack of disobedience, occupies a special place among sacrificial animals (Surguladze 2003, 158).

The unique status of sheep in sacrificial practices is justified not only by their obedience but also by their willingness to be sacrificed. Georgian folklore is rich in accounts of voluntary sacrificial animals from various regions of the country. Narratives describe sacrificial animals willingly coming to feasts in Okum (Samurzakhand), Tsachkhur Archangel Cathedral (Samegrelo), Ude (Meskheti), Khan (Imereti), Pkhotreri (Svaneti), and other locations. Similar reports have been documented throughout the Caucasus, highlighting the cultural and regional variations in sacrificial practices (Surguladze 2003, 156-158).

In these narratives, sacrificial animals are often associated with shrines, icons, or saints. One such example is the mention of «St. Miudi» of Giorgi,

who is both a prey and a worshiper in these stories (Surguladze 2003, 156). The convergence of the sacrificial act with reverence for sacred elements underscores the deep spiritual and ritualistic dimensions of Georgian sacrificial practices.

A poem recorded in Kartli encapsulates the cultural significance of voluntary sacrifice:

“This is our saint George
That lies and rests on high hill
Lots of **beasts** are coming there
Chamois, deer and roe deer
What makes to run the bears?
Super difficult is **Fear**”. (Ibid, 156).

THE ETHICAL DIMENSIONS OF SACRIFICE IN GEORGIAN CULTURE

In the context of Georgian sacrificial practices, the willingness of the sacrificial animal to approach the saint or deity adds a metaphysical dimension to the act, relieving the donor of moral responsibility. The process involves meticulous care, worship, hymns, and even measures to ensure the sacrificial animal does not experience fear during slaughter. Fear is reserved for the deity or saint, not for the people involved, as fear from humans would negate the voluntary nature of the sacrifice.

Walter Burkert, a prominent scholar of sacrificial systems in archaic societies, draws parallels between ancient Near Eastern, Greco-Roman practices, and those in different parts of Georgia. In these rituals, animals were adorned, prayed over, and the hope was expressed that they would participate willingly in the procession. Legends emphasize the animals offering themselves as sacrifices, serving as evidence of divine intervention (Burkert 2000, 409-410).

Burkert describes a ritual where a virgin leads a procession with a basket, and the participants draw a circle to separate the sacred from the secular. The act begins with the washing of hands, and the animal's movement is interpreted as a nod of assent to the sacrificial act. The fatal blow is delivered with lightning-like flexibility, and any caress towards the holy animal before the act is considered an irreparable violation. The emotional climax of the event is marked by the Greek custom of the sacrificial cry, drowning out the animal's death-scream (ibid., 407-408).

The best scenario is a quiet sacrifice, and obstinacy or escape of sacrificial goods are viewed as great misfortunes. Ethnographic records in Georgia describe terms like «gratefully sacrificed» or «burned of his own free will.» Raffling the animal's voluntary behavior was a common practice, and in Svaneti, vodka was used to ensure the sacrificial bull remained obedient. In ancient Rome, animals were led with slack ropes to elicit

voluntary «consent,» accompanied by music and shouting to cover their screams, a practice similar to the Middle East and Ancient Greece (Surguladze 2003, 158; Burkert 2000). These practices reflect the deep ethical considerations and intricate rituals surrounding sacrifice in Georgian culture.

MORAL RESPONSIBILITY AND SACRIFICIAL CRISIS: A HISTORICAL PERSPECTIVE

In ancient Georgian societies, the donor could be absolved of moral responsibility either if the victim was sacrificed voluntarily or if the donor performed a purification ritual. Sacrificing a victim willingly was considered the ideal scenario, but in cases where this was not possible, societies had practices of withdrawal and purification. These practices aimed to mitigate the moral consequences and were indicative of a sacrificial crisis.

An example from Roman traditions during the festival of buffoonery illustrates this concept. The person designated to perform the sacrifice would run away, and in their absence, the participants would symbolically «punish» the sacrificial tool, such as the knife. By doing so, they believed that punishing the «murderer» would appease the soul of the victim, preventing it from causing harm (Girard 2010, 155). This practice reflects an attempt to evade moral responsibility and navigate the complexities of sacrificial ethics during a crisis.

In Georgian folklore and historical accounts, valuable information is found in descriptions of St. Ilori by Archangelo Lambert and Vakhushti Batonishvili. They describe a bull that willingly came to St. George's Church every year. According to Lambert, the people of Samegrelo believed that St. George brought the bull himself, guiding it from the sea to the mountain and back three times. This ritualistic journey was seen as minimizing randomness and adding metaphysical significance to the sacrifice, legitimizing it for the benefit of the people (Lambert 2011, 160).

Lambert emphasizes a crucial aspect for our research: the perceived intentionality and guidance by a saint in bringing the sacrificial bull. This intentional act, repeated three times, adds a layer of purpose to the sacrifice, aligning it with metaphysical principles and potentially mitigating moral concerns. The intertwining of metaphysical beliefs, ritual practices, and moral considerations sheds light on the intricate dynamics surrounding sacrifice in Georgian culture.

METAPHYSICAL ASSUMPTIONS AND ETHICAL DILEMMAS: SACRIFICE AND THEFT

The story of St. George being considered a «thief» for supposedly stealing a bull and bringing it to the church reflects a fascinating intersection of metaphysical beliefs, ethical considerations, and ritual practices. In this narrative, St. George's actions serve as a precedent, influencing local residents to imitate the saint's supposed theft on a specific night. Lambert notes that due to his carelessness, two horses were stolen from him, and this event is framed within the context of people imitating St. George's actions (Lambert 2011, 162-163).

Whether Lambert's horses were indeed stolen or if the story is embellished, the underlying reasoning holds significance. The author highlights the parallel between pet theft and animal sacrifice as moral categories. Both involve actions that are generally considered moral and legal violations, requiring a metaphysical justification. The act of stealing, justified by St. George's supposed example, becomes not only permissible but obligatory on that specific holiday.

This ethical dilemma is reminiscent of sacrificial practices, where the nebulous consent of the victim is sought through various rituals. Lambert's account provides insight into an early form of archaic thinking, where metaphysical assumptions sanction certain actions, absolving the individual from accountability. In this context, stolen commodities or animals, like sacrificial offerings, fall within the realm of unselfishness, exempt from conventional moral judgments.

The voluntary sacrifice itself becomes a subject of interpretation, with its behavior holding significance. Lambert describes how people interpret the bull's actions after capture, associating them with different outcomes. A bull resisting capture might be seen as a sign of an impending war, while a bull lying on its back and covered in dust could signify a bountiful harvest. The color of the bull is also interpreted, with different hues indicating various omens, from frequent deaths to positive signs (Lambert 2011, 163). These interpretations add layers of meaning to the sacrificial act, connecting it with broader metaphysical and social contexts.

METAPHYSICAL ELEMENTS IN SACRIFICIAL RITUALS: WILLINGNESS, TREATMENT, AND CONSEQUENCES

The stories of St. George's sacrificial bull and the deer sent by St. George in the villages of Khan in Imereti and Aral in Meskheta illuminate the intricate web of metaphysical beliefs, ethical considerations, and ritual practices in sacrificial ceremonies.

In both narratives, the behavior of the sacrificial animals holds profound significance. The binary opposition of willingness/obedience/calmness versus arbitrariness/disobedience/aggression mirrors the function of the scapegoat. The willing sacrifice serves as a vessel to quench latent aggression between people, fostering harmony and peace. St. Ilori's Parish, as mentioned, emphasizes that when a metaphysical victim doesn't manifest willingness, aggression may ensue.

Furthermore, the treatment of the sacrificial animal is equally crucial. In the village of Khan, the delayed arrival of the deer leads to a rushed and angry sacrifice. This mistreatment results in the terrible destruction of the Tabeshidze family and the eternal disappearance of the deer. A similar tale from Aral underscores the consequences of killing the deer prematurely, disrupting the natural cycle of its sacrificial journey.

The beheading of the sacrificial deer is described as a necessary action, and its interruption is considered illegitimate and disrespectful to the animal's dignity. Z. Kiknadze emphasizes the metaphorical significance of the deer's rumination, an introspective process that symbolizes deep thought and contemplation. This final reflection is seen as a crucial attribute of a willing sacrifice, completing the sense of voluntariness. The sacrificial Tabeshidze's disregard for this process leads to dire consequences, including a devastating plague on his family and the disruption of the sacrificial chain.

These narratives highlight the intricate nature of sacrificial rituals, where metaphysical elements, ethical considerations, and ritual actions intertwine. The stories serve as cautionary tales, emphasizing the importance of willingness, proper treatment, and adherence to the natural cycle in sacrificial ceremonies to maintain metaphysical balance and avoid dire consequences.

As we have seen, both the institution and the end of voluntary sacrifice are linked to the sacrificial crisis. If in the first case, as we said at the beginning, we are dealing with defining the role of the individual and increasing his rights in parallel with the ethical-axiological conflict with the community, in the second case, there is clearly a process of desacralization-profanation in the wake of the development of rational-pragmatist thinking in the society. Tabeshadze, the donor, is the accelerator and finisher of this process. To feed people is more important than to «kill» a deer, therefore, the pragmatic need comes before the feeling of the sacred, existential requirements exceed the ritual-sacred. We can consider this as a kind of expression of the transition from archaic thinking to modern.



დაამუშავებენ

Burkert, Walter. 2000 - Walter Burkert, «Homo Necans». Сборник статей «Жертвоприношение. Ritual in art and culture from antiquity to our days», ЕРHMNEIA, Moscow.

Eliade, Mircha. 1996 - Eliade M, мифы, сновидения, мистирии, «refl-buk», «Vakler». Moscow

Kiknadze, Zurab. 2016 - Georgian Mythology 2. The Dream of Farnavazi. Ilia State University Publishing House. Tbilisi.

Kiknadze, Zurab. 2017- «Deer came in Khan»

https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&opi=89978449&url=http://saunje.ge/index.php%3Fid%3D1440&ved=2ahUKewiE2uSl57OCaXUe_rslHbiBDacQFnoECACQAQ&usg=AOvVaw0dPxxjxmvveZNs1R7QypN5

Koshoridze, Tamari. 2014 - Calendar of Georgian folk holidays in Shida Kartli, thesis submitted for the academic degree of Doctor of Ethnology, Tbilisi.

Lambert, Archangel. 2011- Description of Samegrelo. "Mtatsminda" publishing house, Tbilisi.

Girard, Rene. 2010 - Violence and the sacred, New Literary Review, Moscow.

Girard R. (2010) Rene Zhirar, violence and the sacred, Novoe Literaturnoe Obozrenie, Moscow.

Joseph de Mestri 1998 - Жозеф де местр, Санкт-Петербургский вечера, СПб, алетя.

Rukhadze, Julieta. 1999 - folk celebrations of the revival of the forces of nature in Georgia. Berikaba-Keenaba. "Science" publishing house. Tbilisi.

Strabo 1957 Strabo - Information about Georgia, St. USSR Metz. Acad. Publishing House, Tbilisi.

Surguladze, Irakli 2003 - Myth, cult, ritual in Georgia. Tbilisi University Publishing House, Tbilisi.

Chitaya, George. 2001 - Works III. "Science" publishing house. Tbilisi.

Tsanava, from Rusu. 2005 - Mytho-ritual models, symbols in ancient writing and Georgian literary-ethnological parallels: thesis for obtaining the scientific degree of Doctor of Philological Sciences.



ლელა გოცირიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
საქართველო
Lela.gotsiridze@gmail.com

სოფიო ცერცვაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
საქართველო
stsertsvadze8@gmail.com

**სამოქალაქო საზოგადოების როლი კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის და აღდგენის საკითხში**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავია ერისა და ეთნოსის იდენტობისა და თვითგამორკვევის საკითხში. ეს არის ცოცხალი ფაქტი, რომელიც გვიყვება იმ ისტორიის, დროისა და პერიოდის შესახებ, რომელიც გამოიარა თუნდაც ერთმა არტეფაქტმა ჩვენამდე მოსასვლელად. თითოეული ნიმუში და მისი დეტალი აჩვენებს ქვეყნის, ერის და ხალხების განვითარების ყველა საფეხურს, ისტორიას და მათ კულტურას. ვინ და როგორ უნდა იცავდეს მას? საკითხი მეტად მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ამ საკითხში უმთავრესი მაინც თითოეული ადამიანის დამოკიდებულება, მიდგომა და გადანყვეტილებაა. როგორ აღიქვამს იგი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, სად და როგორ ხედავს თავის როლს მისი დაცვისა და გადარჩენის საკითხში და რა ფუნქციას ასრულებს სახელმწიფო. მივდივართ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოსთვის სხვა გამონწვევებთან ერთად, მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გადარჩენა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არის ადამიანის უფლება, რომელიც დაცულია ქვეყნის კანონმდებლობით. მისი მოვლით და შენახვით, ახალ თაობას შესაძლებლობა ეძლევა ნახოს, გაიგოს და იცხოვროს წინა თაობების მიერ დატოვებული სიმდიდრით, და თავის მხრივ, შეუნარჩუნოს იგი მომავალ თაობას სტანდარტების

შესაბამისად.

კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევა მისი მატერიალური ასპექტების შესწავლისთვის, ასევე კონსერვაციისა და მისი სტრატეგიების შემუშავებისთვის, მუდმივად განიცდის ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს, მასალებისა და ობიექტების ხასიათზე. გარემო პირობების გაუარესებამ და ეკოლოგიურმა კატასტროფებმა უდიდესი ზიანი მიაყენა არტეფაქტებს. თანამედროვე მიღწევებმა და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად შეამცირა საფრთხის რისკები და გააუმჯობესა მიღებული შედეგი. ახალი მიდგომები და ტექნოლოგიური სიახლეები შესწავლილი და დანერგილი უნდა იყოს კაცობრიობის ცივილიზაციის მემკვიდრეობისა და არტეფაქტების შესანარჩუნებლად.

მოგეხსენებათ, კულტურული მემკვიდრეობა მრავალფეროვანი ცნებაა. ავთენტურობა და მთლიანობა არის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურული მემკვიდრეობის მოვლასა და მის გამოყენებას თანამედროვე სამყაროში. იგი არის თვალსაჩინო მაგალითი და საზომი, რამდენად სწორად, დროულად და წარმატებით გადაეცემა მომავალ თაობას. მოსაზრებებისა და დაშვებების ფართო სპექტრი, ბუნებრივი პირობები, ტექნიკური დიაგნოსტიკა, დაგეგმილი შესასრულებელი სამუშაოები, პრევენცია, პრევენციული კონსერვაცია და რესტავრაცია, თითოეული მათგანი ჩარევის განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებულია პირობებზე, ფორმაზე, ფუნქციასა და დანიშნულებაზე. სამეცნიერო მეთოდოლოგიაში გამოყენებული მასალა და კვლევის პროცესში მიღებული შედეგების სწორი ანალიზი, არტეფაქტის ავთენტურობისა და მნიშვნელობის გადარჩენაში გვეხმარება. ეს ყველაფერი ერთიანობაში მოდის კონსერვატორ-რესტავრატორის მიერ ახალი მიდგომებითა და მეთოდებით განხორციელებულ სამუშაოებთან, რაც უზრუნველყოფს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის სწორად გაგებას და მისი ღირებულებების სწორად განსაზღვრას.

კულტურის მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრება რთული და სადავო საკითხია. თავად ცნება მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო 50 წლის განმავლობაში. იუნესკოს გადამწყვეტილებები გასული ათწლეულების განმავლობაში მოწმობს იმ მრავალ გზაზე, რომლითაც კაცობრიობა ცდილობდა გაეგო, თუ როგორ შეუძლია კულტურას გააძლიეროს ადამიანის იდენტობის გაცდა და რეფლექსია იმაზე, რომ აუცილებელია მემკვიდრეობის დაცვა განადგურებისაგან. საჭირო გახდა საერთაშორისო კამპანიების დაწყება მსოფლიო მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონცეფციის დასაცავად და კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოების შენარჩუნების

აუცილებლობისათვის.

The transformation of *ღ > zh is evident in the South Georgian form *ღუარ-. Derived from the Maghrul form zhûar-i, it denotes “dew, dew”. This root gives rise to the verb zhar-u, meaning “to break in the body, to cause dew, to burn,” and the derived form of the receiver zhar-il.

In Kolkhuri, the transformation of the form *ღ > j should also be reflected, as indicated by the preserved root jur-e in Megrul: jur-e <*ჟურ-ე < *ღუარ-. Simultaneously, considering its abrupt correlate ყ as a phonetic variation of the affricate J, as assumed in the case of Georgian (ჟყარ- > ყყარ-), we might be dealing with the *ღ>ჟ||>ყ process here as well. The root of the Colkhi hydronym khor-okh-i reflects this: *Xყარ > *jუარ- *chûar-> rumor-. Taking into account the evidence from the Chanuri lexical fund, the etymological connection of the hydronym with the semantic field of “murky water” appears clearer than with the lexeme containing the content of “Avdrianism” in the Megrelian rumor.

In the common Georgian base-language, the palatal type [*ჭ] did not only tend toward narrowness; the change should have developed in the opposite direction. As a result of the expansion of the resonant i, its vocalization should have taken place, likely equaling the vowel i of the previous row: *ღ>i.

I believe that such a change in the South Georgian *bûar- was also reflected in the root, which later appeared in Georgian as well. In this regard, the root of the hydronym yor-i is noteworthy, with its initial form likely matching the base language root: *ǫûar- > *yûar- > yor-.

Several factors need consideration, but they do not hinder the restoration of the root at the level of the common Georgian root-language.

The forms attested in the Kartvelian languages are close in phonetic-semantic structure.

Diachronic phonetic changes have been identified in the Georgian languages, and these processes share a similar nature.

Lexical-semantic leveling of the root is rooted in the base language, leading to an abundance of stem formations in the lexical fund of the Georgian languages.

The root likely served as an ideogram related to water, as evidenced by onomastics across the Georgian languages.

The assumption about the possible meaning of “continuous thin (narrow) flowing water” in Jûar-Fudze is supported by hydronyms found in the Georgian languages, such as yor-i in Georgian and chor-okh in Chaur-Megrul. These names likely originated from the knowledge of natives in the headwaters area.

Contrary to the assumed desafricatization process (Ж>Ж) based on Georgian data, it is more accurate to consider the possibility of Africanization of the secondary Ж spirant (Ж>Ж) in the root cross- (<*zhûar) found in geographical names.

It's noteworthy to observe the connection of the Armenian word for “water” (žur-) with forms derived from the root *ǫûar- (jwar-) in the Georgian languages. Phonetically, the Maghrian jur-e (žur-e) form is very close, and semantically, Chanuri čor-ox-i (čor-ox-i) translates to “turbid water.” Its origin may be traced back to Armenian, with the possibility of assimilation from Kolkhuri.

The lexicological nature of the root, emphasized by its frequent realization in geographical names across the Georgian languages, suggests that it might have served a similar function in the Georgian language, producing onomastic units containing content related to water.

REFERENCES:

- Abashidze Revaz, “For the Newcomer of Comparative Indo-European Studies in Georgian Languages.” II, Georgian Linguistic Congress, N3, Tbilisi, 2004, 3-9.
- Abashvili Vasil, Ingilo Dialect of the Georgian Language, Tbilisi, 2009.
- Tandilava Ali, Laz Lexicon, Tbilisi, 2013.
- Topuria Guram, “Etymology of ‘Chorokhi’” Materials of the XXXIII Scientific Session

- of the Institute of Linguistics (Theses), Tbilisi, 1977.
- Imnaishvili Grigol, Features of the Ingilo Dialect of the Georgian Language, Tbilisi, 1966.
- Kekeleia Igor, Inverse Lexicon of Lechkhumian Geographic Names, Tbilisi, 2018.
- Kochlamazashvili Levan, Phonetic Changes in Kizikuri, Materials of the XL Republican Dialectological Session, Tbilisi, 2020, 89-95.
- Machavariani Givi, General-Kartvelian Consonantism, Tbilisi, 1965.
- Menteshashvili Stefane, Kizikuri Lexicon, Tbilisi, 1943.
- Orbeliani Sulhan-Saba, Lexicon of Words, Tbilisi, 1949.
- Rogava Giorgi, A Singular Aspect of Dezaffrication in Zanuri, Works of Tbilisi State University, XXXb-XXXIb, Tbilisi, 1947, 351-356.
- Sakhlitkhashvili Ushangi, Garekakhuri Lexicon, Tbilisi, 2003.
- Futkara-Shushana, Georgian Ethnicities, Tbilisi, 1993.
- KDK - Georgian Dialect Corpus (www.corpora.co).
- Georgian Explanatory Dictionary, Vol. V, Tbilisi, 1958.
- Georgian Explanatory Dictionary, Vol. VI, Tbilisi, 1960.
- Georgian Explanatory Dictionary, Vol. VIII, Tbilisi, 1964.
- Kobalia Alio, Megrelian Lexicon, Tbilisi, 2010.
- Chikobava Arnold, Works, Vol. IV, Tbilisi, 2008.
- Chukhua Merab, Comparative Lexicon of Georgian-Kilitian, Tbilisi, 2003.
- Chukhua Merab, Etymological Search of Georgian-Circassian-Abkhaz Lexicon, Tbilisi, 2017.
- Jorbenadze Besarion, Georgian Dialectology, Vol. 2, Tbilisi, 1998.
- Goniashvili Tinatin, On the History of a Sound in the Georgian Language, Institute of Linguistics, History and Material Culture of the Academy of Sciences, II, Tbilisi, 1937, 111-134.

თაზო გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
კავკასიის უნივერსიტეტი,
საქართველო
tazogogoladze@yahoo.com

**ახალი მასალები ჩორჩანელთა და ხურციძეთა
ფეოდალური სახლების შესახებ (უდეს ეკლესიის
ქართული ლავიდარული წარწერები; იერუსალიმისა
და სინას მთის წმიდა ეკატერინეს სახელობის
ეკლესიის საალავე სინოდიკონები)¹**

სოფელი უდეს მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, ადიგენის რაიონში, მდინარე ქვაბლიანისწყლის ხეობაში. სოფლის ცენტრში აღმართულია დიდი ზომის ეკლესია ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მიძინებისა (სურ.1).

1886 წელს პრასკოვია უვაროვა კათოლიკურ ეკლესიის ადგილზე ბაზილიკურ ეკლესიას მოიხსენიებს. 1932-1933 წლებში გიორგი ბოჭორიძე სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის დროს უდეს ეკლესიის შესახებ დასძენს: „ახლანდელი ღვთისმშობლის (დიდი ახალი) ეკლესიის ადგილას ძველად ძველი შენობა (ეკლესია) ყოფილა. მისი მასალა ახლისათვის შეუხმარიათ“.² გიორგი ბოჭორიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება კიდევ ერთხელ დოკუმენტურად დადასტურდაგასულიწლისზაფხულში, როდესაც შოთარუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში („სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“) ვენჯიეთ უდეს ღმრთისმშობლის ეკლესიას, რომლის დათვალიერების დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ტაძრის ინტერიერში, ჩრდილოეთ პილასტრის ძირში ჩადგმულმა წარწერებმა ქვის ფრაგმენტმა (სურ.2-3).

1 კვლევა [გრანტის ნომერი HE-21-1739] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით / This research [grant number HE-21-1739] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

2 გიორგი ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები და შესავალი დაურთეს: დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა, (თბილისი, 1992), 64-65.



(სურ. 1) უდეს ღმრთისმშობლის ეკლესია (გიორგი მალრაძის ფოტო)

დაიწყო XX საუკუნის დასაწყისში კათოლიკეების მიერ შელესილმა ფენამ. ამის შედეგად ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის ერთ-ერთ სვეტის ძირში გამოჩნდა წარწერიანი ქვა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მეორადი დანიშნულებით იყო გამოყენებული.¹

ჩვენ მიერ ამოკითხულ სახელ ფარსმანთან არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წევრებს შორის გავრცელებული სახელი ფარსმანი და ასევე ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - ჩორჩანელთა არისტოკრატიული საგვარეულოს მფლობელობა ამ მხარეში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1886 წელს მოსკოვის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის - პრასკოვია უვაროვას მიერ დაფიქსირებული ქვა-სვეტი, რომელიც ეკლესიის დასავლეთ კართან მდებარეობდა. მოგვიანებით, 1932-1933 წლებში იგი დაწვრილებით აღწერა გიორგი ბოჭორიძემ. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ქვა-სვეტის თანმხლებ წარწერებზე, რომლებიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა დამოწმებული. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავეცნოთ წარწერიანი ქვის შესწავლის ისტორიას.


1 აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით, დიდ მადლობას მოვასხენებთ წარწერის შესწავლის საქმეში განეული დახმარებისათვის უდეს ეკლესიის წინამძღვარს - არქიმანდრიტ გრიგოლსა (ქურციკიძე) და იქ მოღვაწე მოწესეებს. ასევე ჩემს მეგობრებს: თორნიკე ნიკურაძესა და გიორგი მალრაძეს.

პირველი ისტორიკოსი, ვინც ჩვენთვის საინტერესო წარწერა წაიკითხა, გიორგი ბოჭორიძე იყო. მეცნიერი წარწერას VI საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს და შემდეგი სახით კითხულობს:

„წმიდაო ღვთის მშობელო დედაო ღვთისაო მიოხე ბასილევს მეფე ფარსმანის და სულსა მანანაისა ესეც გაბრიელ ანგელოზი ეტყვის ? გობრონის მიმა“¹

ლელა შანიძე წარწერის ახლებურ წაკითხვას გვთავაზობს: „ღვთისმშობელი. დედაო ღვთისაო, მეოხ ეყავ სულსა... ფარსმანისა და სულსა მანანაისი. ესე არს გაბრიელ ანგელოზი, ეტყვის: გიხაროდენ, მიმადლებულო“²

ლ. შანიძე უდეს სტელას X-XI საუკუნეებით ათარიღებს. მას სახელ ფარსმანთან დაკავშირებით წერილობითი წყაროებიდან მოჰყავს ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული ბაგრატ IV-ის დროს მოღვაწე ფარსმან თმოგველი, სათხის ეკლესიის მაშენებელი ფარსმანი და ასევე XI საუკუნის დასაწყისის ზარზმის სამწერობელზე ამოღარული



(სურ. 2) X-XI საუკუნეების მიჯნის ფარსმან ჩორჩანელის წარწერა უდეს ღმრთისმშობლის ეკლესიიდან

სახელი ფარსმანი, მაგრამ თავს იკავებს, მოხმობილ წყაროებში მოხსენიებული სახელი ფარსმანი გააიგივოს მაინცდამაინც უდეს სტელის წარწერაში ამოღარულ სახელ ფარსმანთან.

1 გიორგი ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში ..., 66.

2 ლ. შანიძე, უდეს სტელა, ქართული ხელოვნება, (თბილისი, 1979), 108.



(სურ. 3) X-XI საუკუნეების მიწის ფარსმან ჩორჩანელის წარწერა ფრაგმენტი უდეს ღმრთისმშობლის ეკლესიიდან

ქართული წარწერების კორპუსის I ტომში მოყვანილია უდეს წარწერის ნოდარ შოშიაშვილისეული წაკითხვა:

„[წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)]მშ(ო)ბ(ე)[ლო] | მ(არია)მ, | დ(ე)დ(ა)ო ღ(მრ)თ(ი)ს(ა)|ო, მ(ე)ოხ (ე)ყ(ავ) ს(უ)ლსა ფ(ა)რსმ(ა)ნის | და ს(უ)ლსა | მანანისა. | ესეა გ(ა)ბრ(ი)ელ - ან[გ(ელო)ზ]ისგან მ(ა)მ(ა)ა“.¹

ისტორიკოსი წარწერას X საუკუნით ათარიღებს, ხოლო წარწერაში მოხსენიებულ ფარსმანს ჭავახეთის დიდ აზნაურად მიიჩნევს.

აღნიშვნის ღირსია, რომ წარწერის ახლებური წაკითხვა ბოლო დროს ვალერი სილოგავამაც შემოგვთავაზა: „წმიდაო ღმრთისმშობელო მარია, დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ სულსა ფარსმანისა და სულსა მანანისა. ესე არს გაბრიელ ანგელოზი, რომელი ეტყვის: „გიხაროდენ, მიმადლებელო“.“²

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ვ. სილოგავამ თავდაპირველად XI საუკუნის ძეგლად მიიჩნია, ხოლო წარწერაში მოხსენიებული ფარსმანი - ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წევრად.³ მოგვიანებით კი, მკვლევარმა წარწერაში მოხსენიებული

1 ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, (თბილისი, 1980), 139.

2 ვალერი სილოგავა, სამცხის ლაპიდარული ეპიგრაფიკა, წიგნში: ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, (თბილისი 2013), 160.

3 ვალერი სილოგავა, ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჩუკთა შემოსევის



(სურ. 4) უდეს წმიდა ნინოს ეკლესია (გიორგი მაღრაძის ფოტო)

ფარსმანი X საუკუნის მინურულში მოღვაწე ფარმან ერისთავთან გააიგივა და, ლელა შანიძის მსგავსად, წარწერის ქრონოლოგია X-XI საუკუნეების მიჯნით განსაზღვრა.


წარწერის დათარიღებასთან დაკავშირებით ჩვენ სრულად ვიზიარებთ წინამორბედ მეცნიერთა მოსაზრებას და, მათ მსგავსად, წარწერას X-XI საუკუნეების მიჯნით ვათარიღებთ. სწორედ ამ პერიოდის მოღვაწე უნდა იყოს წარწერაში მოხსენიებული ფარსმანი. თუ წარწერის ჩვენეული წაკითხვა სწორია („[უ(ფალ)ო, გან(უ)ს(უე)]ნე ს(უ)ლსა ფ(ა)რსმ(ა)ნ(ი)ს(ს)ა...“), მაშინ გამოდის, რომ წარწერის შესრულების დროს, ანუ X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ფარსმან ჩორჩანელი უკვე გარდაცვალებული ყოფილა. წარწერის ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, ძნელია, გადაჭრით ითქვას, თუ ჩორჩანელთა ფეოდალური საგვარეულოს რომელი ფარსმანი უნდა ვიგულისხმოთ ახლად გამოვლენილ წარწერაში მოხსენიებულ ფარსმანად, მაგრამ თუ ერთმანეთს შევადარებთ უდეს სტელიასა და ჩვენ მიერ მიკვლეული სავედრებელი წარწერის მოხაზულობას, მათი მსგავსების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორივე მათგანში მოხსენიებული ფარსმანი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

შესახებ XI ს. საქართველოში (მირაშხანის წარწერა), წიგნში: ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა, (თბილისი, 2012), 220.

1932-1933 წლებში გიორგი ბოჭორიძეს უდეს სასაფლაოზე უნახავს წარწერიანი ქვა, რომელიც ამავე სოფლის ღმრთისმშობლის ეკლესიის ეზოში ჩაუტანია. მკვლევარი გვთავაზობს წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, წარწერის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მისეულ წაკითხვას:

„ქრისტე, წმიდაო ეკლესიაო მოიხსენე სულითა პეტრე“.¹

1987 წელს დავით ბერძენიშვილმა ჩვენთვის საინტერესო წარწერას უდეს წმიდა ნინოს (სურ.4) ეკლესიის გალავანში მიაკვლია (სურ. 5), გადმოიწერა და ფოტოზე აღბეჭდა. ეს მასალა დაცულია მის პირად არქივში.²



(სურ. 5) სულა პატრიკის სავედრებელი წარწერა უდეს წმიდა ნინოს ეკლესიიდან (დევი ბერძენიშვილის კოლექციიდან)

ვალერი სილოგავა წარწერას შემდეგი სახით კითხულობს: „ქ წმიდაო ეკლესიაო, მეოხ [ეყავ] სულსა პატარი[სასა]“, და X საუკუნით ათარილებს.³

ჩვენი აზრით, წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს:

ქ. ჭწ~ღ ႁჴს~ღ ჭღჴ | სს~წ ს~ქჴ -- ანუ „**ჩ წ(მი)დ(ა)ო ეკ(ლე)ს(ია)ო, მო(ი)ხ(ს)ენე | ს(უ)ლა პ(ა)ტრი(კ)ი**“.

1 გიორგი ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში ..., 71.

2 დევი ბერძენიშვილის საარქივო მასალის მოწოდებაში განუული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვასხენებთ ისტორიკოსებს: გიორგი ჭეიშვილსა და ბუბა კუდავას.

3 ვ. სილოგავა, ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი (ღაღვის წარწერა), თსუ ახალციხის ფილიალის შრომების კრებული, I, 1998, 150-165.

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ წარწერის ვალერი სილოგავასეულ დათარიღებას და მის მსგავსად, წარწერის ქრონოლოგიას X საუკუნით განვსაზღვრავთ. აქაც, წინა წარწერის მსგავსად, უნდა იხსენიებოდეს ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი სულა პატრიკი. ჩვენი აზრით, წარწერაში მოხსენიებული სულა პატრიკი შესაძლოა, გაიგივდეს 980 წლის ახლო ხანების ზარზმის სააღმშენებლო წარწერაში მოხსენიებულ იოვანეს მამა - სულასთან, რომელიც, როგორც უდის წმიდა ნინოს ეკლესიის წარწერა გვამცნობს, ატარებდა ბიზანტიის იმპერიის კარზე ერთ-ერთ საპატიო სამხედრო წოდებას - პატრიკისას.

როგორც ცნობილია, ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი განშტოებაა ხურციძეთა საგვარეულო. XVI საუკუნის სამცხის თავადთა ნუსხა გვამცნობს, რომ ერისთავთერისთავ ჩორჩანელის მამული ეკუთვნოდა ხურსისძეს.¹ ამ გვარში გადმოვიდა ჩორჩანელთა ფეოდალურ სახლში გავრცელებული სახელები: სულა, გიორგი, ფარსმან და სხვ.² ამის ნათელი დასტურია ფარსმან ხურციძისეული სააღმშენებლო წარწერა (1577 წლისა) ზარზმის იოვანე მახარებლის ეკლესიაში. ეს წარწერა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზისაა გამოქვეყნებული (მ. ბროსე,³ დ. ბაქრაძე,⁴ ექ. თაყაიშვილი,⁵ ს. კაკაბაძე,⁶ გ. ბოჭორიძე,⁷ ვ. ბერიძე,⁸ ვ. სილოგავა⁹). ჩვენ ვსარგებლობთ ბოლო გამოცემით (მოგვყავს

1 ქართული ისტორიული საბუთები XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო), ტომი შუადგინეს და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა: თამაზ აბაშიძემ (თბილისი, 2016), 55, 196. სულ რამდენიმე წლის წინათ, ისტორიკოსმა თემო ჯოჯუამ გამოთქვა წინასწარი ვარაუდი, რომ შესაძლოა „ხურსისძეები სწორედ ივანე ჯაყელის შთამომავლები იყვნენ და ზარზმის მონასტერიც XIII საუკუნის შუა ხანებიდან, XVI საუკუნის მიწურულამდე ამ ფეოდალური სახლის საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა“ (თემო ჯოჯუა, მანდატურთუხუცეს სარგის II ჯაყელის მეუღლის - თამარ თორელისა და თამარის დედის - ხათუთა სურამელის ალაპი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარიდან (ჯაყელთა და თორელთა ფეოდალური სახლები XIII-XIV საუკუნეების ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ), კრ. ენრიკო გაბიძაშვილი 90, (თბილისი, 2021), 417.

2 ნ. შოშიაშვილი, ხურსისძენი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, (თბილისი, 1987), 518.

3 Rapports sur une voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, (St. Peterbourg), (2e livraison, 1850), 132-133.

4 Д. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Адчаре (Санктпетербургъ, 1878), 135.

5 Е. Такашвили, Археологическія Экскурсіи, Разисканія и Заметки, Выпускъ I, (Тифлисы, 1905), 23.

6 სარგის კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, (თფილისი, 1920), 58.

7 გიორგი ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, 143-144.

8 ვახტანგ ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეები, (თბილისი, 1955), 125.

9 ვალერი სილოგავა, ზარზმის ლაპიდარული ეპიგრაფიკა, ნგნ. ზარზმა, (თბილისი, 2007), 115.

მცირე კორექტივებით):

„ქ. აღმ(ე)ნა წ(მიდა)დ ესე ეკ(ლე)ს(ია)დ | ს(ა)ხელსა ზ(ედ)ა წ(მიდ)ისა ი(ოვ)ანე მ(ა)ხ(არ)ებლისასა, ნ(ე)ბითა ღ(მრთ)ისა(დ)ითა და ბრძა(ნ)ებითა ყ(ოველ)ს(ა) ქ(უე)ყ(ა)ნასა | ს(ა)ხელგ(ან)თქ(უ)მ(უ)ლისა, ა(გარ)იანთა პირისა დამყოფ(ე)ლისა, ხ(უ)რც(ი)ძისა პ(ატრო)ნისა ფ(არ)ს(მა)ნისითა; ს(უ)ლსა მისსა გ(ან)უ(ს)ი(უ)ნ(ე)დ და შ(ეუნ)დოს ღ(მერთ)მან; მღ(უ)დ(ელ)თ(მთ)ავ(არ)თ მთ(ავრო)ბასა ხ(უ)რც(ი)ძისა პ(ატრო)ნის | მ(ა)წყ(უერ)ელისა ს(ერა)პ(იო)ნისსა. ქ(რონი)კ(ონ)ს სჲ“.

წარწერის ბოლო გამომცემელმა - ვალერი სილოგავამ ყურადღება მიაქცია წარწერაში მეფისა და სამცხის მთავრის მოუხსენიებლობას და გამოთქვა მოსაზრება, ეს ჟესტი ოპოზიციური განწყობილებით შეიძლება აიხსნასო. იქვე დასძენს: „წარწერის ტექსტში ფარსმან ხურსიძე დახასიათებულია, როგორც „ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქუმული“ და „აგარიანთა პირის დამყოფელი~. აგარეანი/აგარიანი“ არაბს, ზოგადად, მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარს აღნიშნავდა, ხოლო „პირის-დაყოფა“ დადუმებას, ანუ თეოლოგიურ კამათში მათ დამარცხებას ნიშნავდა. რაში გამოიხატა ფარსმან ხურსიძისაგან მაჰმადიანების დადუმება - უცნობია. შეიძლება ეს გამოთქმა ნიშნავდეს ფარსმანის მიერ მაჰმადიანების, ქვეყნის დამპყრობლების წინააღმდეგ გამორჩეულად აქტიურ ბრძოლას. შეიძლება ამის გამოც იყო იგი „ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქუმული“.¹

თედო ჟორდანიას იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ზარზმის იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესიის წარწერა 1577 წლით განსაზღვრა, მაგრამ მეცნიერს არანაირი არგუმენტი არ მოჰყავს, თუ რაზე დაყრდნობით ათარიღებს წარწერას მაინცდამაინც 1577 წლით.² დიმიტრი გორდეევმა თ. ჟორდანიასეული დათარიღება სრულიად გაიზიარა.³

თედო ჟორდანიასაგან განსხვავებით, საკითხს წყვეტს სარგის კაკაბაძე 1920 წელს გამოცემულ ნაშრომში - „მე-XVI საუკუნის უცნობი აფხაზეთის კათალიკოზი იოსებ მაჭუტაძე“. ამ ნაშრომში მკვლევარმა გაარკვია წარწერაში მოხსენიებულ პირთა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ივანე ჯავახიშვილის მიერ გადმოწერილ ერთ-ერთ საალაპე მინაწერზე დაყრდნობით.

სინური ალაპი შემდეგი სახით იკითხება:

„საულასა ზარაზმსა წინამოადღარასა ჯაურაციძესა საერაპიონსა ღამერათამნა შეაუნდოსა. მაჭუტაძესა ქარათალიკოვანა იოსაებასა

1 ვალერი სილოგავა, ზარზმის ლაპიდარული ეპიგრაფიკა, 115.

2 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, (ტფილისი, 1897), 416.

3 Д. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский Уезд в 1917 году, (Петроград, 1923), 61.

ლამერათამნა შეაუნადნაესა. რასათაენი საქარათავაელადალამნ სამალაცველო ჯემითა ჯელითა ამომივიდა ყოველათავე ლამერათმნა: შეუდოსა“.¹

ალაპის თანახმად, ზარზმის წინამძღვარ სერაპიონ ხურციძეს, აფხაზეთის კათალიკოზ იოსებ მაჭუტაძესთან ერთად, სინას წმიდა ეკატერინეს ეკლესიის შეწირულებისათვის უზრუნია. ს. კაკაბაძე სავსებით მართებულად აკავშირებს აქ მოხსენიებულ ზარზმის წინამძღვარ სერაპიონ ხურციძეს ამავე ეკლესიის ფრესკაში გამოსახულ მამა სერაპიონთან და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფიქრობს, რომ სინურ ალაპში მოხსენიებული ზარზმის წინამძღვარი სერაპიონ ხურციძე უნდა იყოს გამოსახული ზარზმის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ ფრესკაზე წარწერით: „მამაი სერაპიონ“. ამ ფრესკაზე გამოსახულია მეფე ბაგრატის, რომელიც სიგელებსა და ენქერს გადასცემს სერაპიონ ხურციძეს. როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილი, აქ გამოსახულ ისტორიულ პორტრეტებს - მეფე მაგრატსა და მის წინაშე დახრილ მამა სერაპიონს XI საუკუნის მოღვაწეებად მიიჩნევდა. სარგის კაკაბაძე ყურადღებას აქცევს მეტად მნიშვნელოვან გარემოებას - ხურციძეების მიჩნევას ჩორჩანელთა შთამომავლებად. გარდა ამისა, ისტორიკოსი ყურადღებას ამახვილებს ზარზმის იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულ მანყვერელ სერაპიონ ხურციძეზეც. ექვთიმე თაყაიშვილი წარწერაში ბოლოს დასმულ ქრონიკონს „სჲ“ ქრისტესშობიდან მე-13 მოქცევით ათარიღებდა და, შესაბამისად, წარწერის თარიღს 1045 წლით განსაზღვრავდა. ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ წარწერა უნდა დათარიღდეს ქრისტესშობიდან მე-14 მოქცევით და, აქედან გამომდინარე, წარწერას 1577 წლით ათარიღებს. აქ მის მსჯელობას თითქოს ეწინააღმდეგება 1572 წლის სიგელი, გაცემული ვახტანგ გურიელის მიერ. სიგელიდან ვიგებთ, რომ ამ დროისათვის ზარზმის მონასტერი აუოხრებითა ოსმალებს და ამის გამო ზარზმის მონასტრის სინწმინდეები შემოქმედის მონასტერში

¹ ივანე ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (თბილისი, 1947), 243. ალაპის ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ასევე დარეჯან კლდიაშვილს, აქვე გთავაზობთ მისეულ წაკითხვასაც: „ს<ა>ულ<ა>სა ზა<ა>ზ<ა>მისა წინამ<ა>ძლო(ა) რ<ა>ს | ჯ<ა>ურ<ა>ციძესა ს<ა>ერაპიონსა ღ<ა>მერ<ა>თ<მან<ა> შე<ა>უნდოსა. მაჭ<ა>უტაძესა ქათა<ლიკო<ვა>ზ<ა> (სიც) იოს<ა>ებ<ა>სა ღ<ა>მერ<ა>თმან<ა> | შე<ა>უნ<ა>დ<ა>ეს<ა>. რას<ა>ენი საქარ<ა>თველ<ა>ოდალამნ სამ<ა>ლ<ა>(ო) ცველო | ჩემითა ჯელითამ მოვიდა ყო<ველ<ა>თავე ღ<ა>მერ<ა>თმ(ა)ნ შეუნდოსა“ (დარეჯან კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მათიანეები, წიგნი I, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მათიანე, (თბილისი, 2008), 180). მეცნიერი ალაპს XVI საუკუნის 40-იანი წლები - 1557 წლებით განსაზღვრავს, მასში აფხაზეთის კათალიკოს იოსების მოხსენიების გათვალისწინებით.

გადმოუსვენებიათ. მეცნიერი სავსებით მართებულად ფიქრობს, რომ სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანობა მასობრივად უდევნიათ და ეს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია დაცლილა გაცილებით უფრო გვიან, კონკრეტულად, 1578 წელს, „როდესაც დედის იმედი და მისი შვილი ყვარყვარე (სამცხის მმართველები - თ. გ.) იძულებულნი გახდნენ ოსმალეთს დამორჩილებოდნენ“. ამის გათვალისწინებით, მკვლევრის ვარაუდით, აქ გამოსახული მეფე ბაგრატ სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა იმერეთის მეფე ბაგრატ III, რომელიც სხვა წერილობითი მასალების თანახმად, 1535-1545 წლებში ფლობდა სამცხეს. ასევე, კათალიკოს იოსებ მაჭუტაძეს მკვლევარი აფხაზეთის საქეთმყრობელად მიიჩნევს და მის მოღვაწეობას აფხაზეთის კათალიკოსების - მალაქია აბაშიძესა და ევდემონ ჩხეტიძეს შუა ათავსებს, რის საფუძველზეც მის მოღვაწეობასა და აქედან გამომდინარე, სინური ალაპის შესრულებას 1540-1550 წლებში ათავსებს. რაც შეეხება ზარზმის წინამძღვარ სერაპიონ ხურციძეს, ს. კაკაბაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „სერაპიონის მოღვაწეობის დასაწყისი ზარზმის წინამძღვრის თანამდებობით შეიძლება მიეკუთვნოს იმ დროს, როდესაც ბაგრატ III ფლობდა სამცხე-საათაბაგოს“.¹ ვახტანგ ბერიძეს სრულიად მართებულად მიაჩნია ს. კაკაბაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ მეფე ბაგრატთან და მამა სერაპიონთან დაკავშირებით.²

ჩვენი აზრით, იმავე სერაპიონ ხურციძეს უნდა უკავშირდებოდეს კიდევ ერთი იერუსალიმური ალაპი 244 (M-239), რომელშიც ვკითხულობთ: „**[თუესა მაისსა კე]. ჩ(უ)ენ, ჳ(უაჰ)ისა მ(ამა)მ(ან) მ(ო) ძღუაჰმ(ან) და სხუდაღ მონასგეჰმ(ან), გაუჩინეთ მაისსა ოცდახუთსა ალაპი საუკუნო ხუხისძესა სუდა-ყოფიღსა სეჰაპიონს. ც(ო)ღვანი მ(ა)თნი შუენდვენ. ღმეჰთო. მოგუივიდა ას ოცი ფღოიი ვენეტიკუჰი, გამათავებედ[ნი აკუჰთხეს ღმეჰთმან, ან]**“.³

ალაპის გამომცემლის, ელენე მეტრეველის ვარაუდით, ალაპი XV საუკუნით უნდა დათარიღდეს, ხოლო ალაპში მოხსენიებული სულა-ყოფილ სერაპიონ ხურსიძის იდენტიფიკაციის საკითხს მკვლევარი ღიად ტოვებს.⁴

თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ გამოდის, რომ ალაპი განწესებული ყოფილა ზარზმის 1577 წლის სააღმშენებლო

1 სარგის კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, (თფილისი, 1920), 57-61.

2 ვახტანგ ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეები, (თბილისი, 1955), 131.

3 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, (თბილისი, 1962), 101.

4 „ალაპი სულა-ყოფილ სერაპიონ ხურსიძისთვის... ხელის მიხედვით XV საუკუნისა უნდა იყოს. ცნობები სულა-ყოფილი სერაპიონ ხურსიძის შესახებ ჩვენ არ გავაჩნია“ (ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 170.

წარწერაში მოხსენიებული სერაპიონისათვის. მანამდე, სანამ ზარზმისა წინამძღვარი და შემდეგში ანყურის ეპარქიის მწყემსთავარი გახდებოდა, სერაპიონი საერო ცხოვრებას ეწეოდა სულას სახელით, ხოლო მონაზვნად აღკვეცის შემდეგ მისი საეკლესიო სახელი სერაპიონი გამხდარა.

როგორც ალაპის ტექსტი გვამცნობს, სულა ყოფილს სერაპიონ ხურსიძეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის 120 ფლური ვენედიქტური შეუწირავს, რის სანაცვლოდაც, ჯვრის მონასტრის წინამძღვარსა და კრებულს, 25 მაისს მის სახელზე ალაპი დაუწესებიათ. ალაპს ჩვენ ელენე მეტრეველისაგან განსხვავებით ვათარილებთ: XV საუკუნის ნაცვლად XVI საუკუნით, უფრო კონკრეტულად, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის მიერ ზარზმის წინამძღვრად სერაპიონის დადგენამდე პერიოდით - 1520-იანი წლების მეორე ნახევრითა და 1530-იანი წლების დასაწყისით.

საქართველოს კათალიკოს თეოდორესადმი სერაპიონ მანყვერელის ერთგულების წიგნში (1427-1438 წწ.) ვკითხულობთ: „... ესე წიგნი გკადრეთ და მოგაჯსენეთ თქვენ, ... ქ(ახთრი)სა კ(ათაღიკო)ზსა თე(ოდოხო)ს მე, მაწყუეხედი მთავაჲებისკოპოზმან სეჲაპიონ, მას ჟამსა, ოდეს მაწყუეხედობა მიბოძეთ და მაკუხთხე[თ] და მე ესე საეხთგუდო წიგნი მოგაჯსენე ...“¹

მართალია, საბუთში მითითებული არ არის, კონკრეტულად რომელი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო მანყვერელი ეპისკოპოსი სერაპიონი, მაგრამ თუ სახელ სერაპიონსა და ხურციძეთა საგვარეულოს მფლობელობას დაუკავშირებთ ზარზმის მონასტერს, ვარაუდად შეგვიძლია გამოვთქვათ, რომ 1427-1438 წლების ერთგულების წიგნი ქართლის კათალიკოს თეოდორესადმი სწორედ ხურციძეთა ოჯახის წარმომადგენელს - მანყვერელ სერაპიონ ხურციძეს მიუთმევიანა.

1 ქართული ისტორიული საბუთები XIV-XV საუკუნეები, ტომი II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, (თბილისი, 2013), 146-147.

TAMAZ GOGOLADZE

Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts,
Caucasus University,
Gegorgia
tazogogoladze@yahoo.com

NEW MATERIALS ABOUT CHORCHANELI AND KHURTSIDZE FEUDAL FAMILIES (GEORGIAN LAPIDARY INSCRIPTIONS OF UDE CHURCH; AGAPE SYNODIKONS OF JERUSALEM AND SAINT CATHERINE'S MONASTERIES)

The village Ude is located in the historical Samtskhe, Adigeni region, in the valley of Kvabliani. A large Church of the Dormition of the Mother of God is erected in the center of the village (picture 1.)

In 1886 Praskovya Uvarova referred to the Basilica church instead of the Catholic church. During his trip to Samtskhe - Javakheti in 1932-1933, Giorgi Botchoridze added the following about the Ude church: "in the old times there was an old building (church) in the place of the present (a big new) Church of the Mother of God. The material of the old church was used for the new one"². The opinion of Giorgi Botchoridze was once again documented last summer, when we visited the Ude Church of the Mother of God within the framework of the project (The historical and cultural monuments of Samtskhe region) financed by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. We paid attention to the fragment of the stone with the inscription on it, located at the bottom of the pilaster in the interior of the cathedral (picture 2-3).

Archeographic description of the text is as follows:

The inscription is engraved on dark grey stone; the size of the stone: 47 X 75 cm.; the area of the inscription: 13 X 75; asomtavruli (old Georgian writing system); 1 line; the size of the largest grapheme: a (the 7th grapheme of the 1st line) - 7,5 X 5,8 cm.; the size of the least grapheme: s (the 4th

1 This research [grant number HE-21-1739] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

2. Giorgi Botchoridze, *Traveling in Samtskhe-Javakheti*, text was prepared for publication, notes and references and an introduction were added by: D. Berdzenishvili, L. Melikishvili, L. Khutsishvili (Tbilisi, 1992), 64-65.



(Pic. 1) Church of Our Lady of Ude (photo by Giorgi Maghradze)

grapheme of the 1st line) - 5,2 X 2,8.; no signs of განკვეთილობა is used in the inscription; A figurative image of two triangular shapes or straight diametrical line with quadrangular figures at the both end is used. The beginning and ending of the inscription is missing.

F JUE < JUC J8 = I UJDE J84

The following can be clearly read on the survived part: „---უსნე სლსა ფრსმნსა...“, which can be read as: „[უ(ფალ)ო, გ(ან(უ))ს(უ)ენე ს(უ)ლსა ფ(ა)რსმ(ა)ნ(ის)სა...“ (“rest in peace, GOD, the soul of Pharasmanes ...”)

While speaking to the head of the temple archimandrite Grigol (Qurt-sikidze) , we found out that due to damage to the roof (2018-2019), water was entering the temple and the layer daubed by the Catholics in the beginning of the XX century started to tear down. As a result of the damage, the inscribed stone appeared at the bottom of one of the pillars of the northern wall of the church. It was obvious that the inscribed stone had been used for the secondary purposes.

The name Pharasmanes leads us to the name Pharasmanes which was spread among the members of the Chorchaneli feudal family and it also reminds us of the lordship of the Chorchaneli aristocratic family in this area. In this regard, the stone-pillar at the left door of the church, which was discovered by the head of the Moscow archeological expedition Praskovya Uvarova , is very interesting. Later in 1932-1933 it was described thoroughly by Giorgi Botchoridze. The researcher gave accent to the in-


scriptions on the stone-pillar which are often cited in Georgian scientific literature. We can chronologically discuss the study of the history of inscribed stone.

The first historian, who read the inscription that was interesting for us, was Giorgi Botchoridze. The scientist dates the inscription back to the first half of the VI century and reads it as follows:

„წმიდაო ღვთის მშობელო დედაო ღვთისაო მიოხე ბასილევს მეფე ფარსმანის და სულსა მანანაისა ესეც გაბრიელ ანგელოზი ეტყვის ? გობრონის მიმა“.

Lela Shanidze offers to read the inscription in a different, new way: : „ღვთისმშობელი. დედაო ღვთისაო, მეოხ ეყავ სულსა ... ფარსმანისსა და სულსა მანანაისი. ესე არს გაბრიელ ანგელოზი, ეტყვის: გიხაროდენ, მიმადლებულო“.

Lela Shanidze dates the stela of Ude to X-XI centuries. She cites Pharsmaneus Tmogveli from the written documents, mentioned in the Georgian Chronicles, who was the contemporary of Vakhtang VI; she also mentions the builder of Satkhe Church - Pharsmaneus and the name Pharsmaneus carved on the სამწერობელი of Zarzma in the beginning of the XI century. She avoids identifying the name Pharsmaneus mentioned in the sources with the name Pharsmaneus carved in the inscription of the stela of Ude.



(Pic. 2) Inscription of Farsman Chorchaneli from the Church of the Virgin of Ude from the X-XI centuries



(Pic. 3) Inscription of Farsman Chorchanel from the middle of the X-XI centuries, a fragment from the Church of the Mother of God in Ude

Nodar Shoshiashvili's reading of the Ude inscription is given in Volume I of the corpus of Georgian inscriptions:

„[წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)]მშ(ო)ბ(ე)[ლო] | მ(არია)მ, | დ(ე)დ(ა)ო ღ(მრ)თ(ი)ს(ა)ო, მ(ე)ოხ (ე)ყ(ავ) ს(უ)ლს|ა ფ(ა)რსმ(ა)ნის | და ს(უ)ლსა | მანანისა. | ესეა გ(ა)ბრ(ი)ელ - ან|გ(ელო)ზ]ისგან მ(ა)მ(ა)ა“.

The historian dates the inscription back to the X century and he regards Pharsmaneus mentioned in the inscription as the noble of Javakheti.

It must be mentioned here, that Valeri Silogava tried to read the inscription in a new way: „წმიდაო ღმრთისმშობელო მარიამ, დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ სულსა ფარსმანისა და სულსა მანანისა. ესე არს გაბრიელ ანგელოზი, რომელი ეტყჳს: „გიხაროდენ, მიმადლებულო“.

According to paleographic signs V. Silogava initially considered the inscription as the monument of the XI century; And Pharsmaneus mentioned in the inscription - as the member of the Chorchaneli feudal family. Later the researcher identified Pharsmaneus mentioned in the inscription to Pharsmaneus Eristavi who lived at the end of the X century. Like Lela Shanidze, V. Silogava defined the chronology of the inscription at the turn of X-XI centuries.

We fully share the opinions of previous scholars regarding the dates of the inscription and trace it back to the turn of X-XI centuries. Pharsmaneus mentioned in the inscription might be living in this period. If our version



(Pic. 4) Church of Saint Nino of Ude (photo by Giorgi Maghradze)

of reading the inscription is right („[უ(ფაღ)ო, გან(უ)ს(უე)]ნე ს(უ)ლსა ფ(ა)რსმ(ა)ნ(ი)ს(ს)ა...“), then it turns out, that at the date of X-XI centuries while making the inscription, Pharsmaneus Chorchaneli had already been died. Due to the fragmentary nature of the inscription, it's difficult to say exactly which Pharsmaneus of Chorchaneli feudal family should we refer to in a newly discovered inscription. But if we compare the outline of the stella of Ude and the pray inscription, which we have found to each other, then based on their similarity we can assume, that Pharsmaneus mentioned in both of them must be the same person.

In 1932-1933 Giorgi Botchoridze saw the inscribed stone at the Ude cemetery and he put it in the yard of Virgin Mary church. The researcher gives us the archeographic description of the inscription, rewritten by the original letters and his version of reading:

„ქრისტე, წმიდამ ეკლესიამ მოიხსენე სულითა პეტრე“.

In 1987 David Berdzenishvili found the interesting inscription in the peribolos of Ude Saint Nino church (Picture 4, 5). He rewrote it and took a photo of it. This material is preserved in his private archive.

Valeri Silogava reads the inscription in the following way: „ქ წმიდამ ეკლესიამ, მეობ [ეყავ] სულსა პატარი[სასა]“, and dates it back to X century.

In our opinion, the inscription must be read in this way:

H N ; UF <BJUF D FO SJC U8 GUKI @ ანუ „ქ. წ(მი)დ(ა)ო ეკ(ლე)ს(ია)

ო, მო{ი}ხ[სენე] | ს(უ)ლა პ(ა)ტრი[კი]“.

We fully agree with the dating of Valeri Silogava and determine the chronology of the inscription by the X century. Like the previous inscription, here Sula Patrick - another representative of the Chorchaneli feudal family - must be mentioned as well. We consider that Sula Patrick mentioned in the inscription may be identified with the father of Jovane - Sula - mentioned in the inscription of Zarzma near 980. According to the inscription of St. Nino church of Ude he held one of the most honorary military ranks of Patrick at the door of the Byzantine Empire.

It's a well-known fact that the Khurtsidze family is one of the family branches of the Chorchaneli feudal family. The list of Samtskhe princes of the XVI century informs us that the estate of Eristavteristav Chorchaneli belonged to Khurtsidze. The names common in the Chorchaneli feudal family also moved to the Chorchaneli feudal family: Sula, Giorgi, Pharasmanes and et al. The construction inscription (1577) of Pharasmanes Khurtsidze in the Zarzma church of John the Apostle is the clear proof of it. This inscription has been published several times in Georgian scientific literature (M. Brosset, D. Bakradze, Eq.Takaishvili, S. Kakabadze, G. Botchoridze, V. Beridze, V. Silogava). We represent here the latest edition (with minor corrections):

„ქ. აღეშ(ენა წ(მიდა)ჲ ესე ეკ(ლე)ს(ია)ჲ | ს(ა)ხელსა ზ(ედ)ა წ(მიდ)ისა ი(ოვან)ე მ(ა)ხ(არე)ბლისასა, ნ(ე)ბითა ღ(მრთ)ისა(დ)ითა და ბრძან(ე)ბითა ყ(ოველ)ს(ა) ქ(უე)ყ(ა)ნასა | ს(ა)ხელგ(ა)ნთქ(უ)მ(უ)ლისა, ა(გარიანთა პირისა დამყოფ(ე)ლისა, ხ(უ)რც(ი)ძისა პ(ატრო)ნისა ფ(არ)ს(მა)ნისითა; ს(ულ)სა მისსა გ(ა)ნ(უ)ს(უ)ნ(ე)დ და შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ; მლ(უ)დ(ელ)თ(მთ(ა)ვ(ა)რთ მთ(ავრო)ბასა ხ(უ)რც(ი)ძისა პ(ატრო)ნის | მ(ა)წყ(უერელ)ისა ს(ერა)პ(იო)ნისსა. ქ(რონი)კ(ონ)ს სჲ“.

The last publisher of the inscription - Valeri Silogava - paid attention to the fact that the king and the prince of Samtskhe was not mentioned and he expressed the opinion that this might be explained by the oppositional attitude; he adds: “Pharasmanes Khurtsidze is described as “ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქემული” (famous of all) and აგარიანთა პირის დამყოფელი~(the one who silenced Agarians). In general, Agareani/Agariani means the follower of the Muslim faith, and ‘პირის-დაყოფა’ meant “to silence”, defeating them in the theological debate. It is not clear what Pharasmanes Khurtsidze meant in silencing Muslims. This expression might mean an exceptionally active struggle of Pharasmanes against the Muslims, the conquerors of the country. May be that's why he was known as the “ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქემული” (famous of all).

Tedo Jordania was the first historian to define the date of the inscription of Zarzma John the Apostle Church to 1577. But the scientist didn't


give any arguments on the basis of which he dated the inscription back to 1577. Dimitri Gordeev fully shared the dating of T. Jordania.

Unlike Tedo Jordania, Sargis Kapanadze solved the issue differently in his work published in 1920 - "Ioseb Matchutadze - the Unknown Catholicate of Abkhazia of the XVI Century ". The researcher found out the political orientation of the persons mentioned in the inscription based on one of the agape inscriptions rewritten by Ivane Javakhishvili.

Sinai agape can be read as follows:

„საუღასა ზარაზმსა წინამოადღარასა ჯაურაციძესა საერაპიონსა ღამერათამნა შეუნდოსა. მაჭაურაძესა ქართალიკოვზა იოსაებასა ღამერათამნა შეუნადნაესა. რასათაენი საქართაველადაღამნ სამალაცველო ჯემითა ჯელითა ამომივიდა ყოვაველათავე ღამერათმნა: შეუდოსა“.

According to agape, the head of Zarzma Serapion Khurtsidze together with the catholicate of Abkhazia Ioseb Matchutadze had provided for the donation of Saint Catherine Church of Sinai. S. Kakabadze properly associates the head of Zarzma Serapion Khurtsidze mentioned here with the father Serapion depicted in the fresco of the same church. Thus, he believes that Serapion Khurtsidze, head of Zarzma, mentioned in Sinai agape must be depicted on the northern fresco of the main church of Zarzma with the inscription on it: "Father Serapion". The king Bagrat, awarding deeds and Politsa to Serapion Khurtsidze is also depicted on the fresco. As it is known, Ekvtime Takaishvili considered historical portraits depicted here - the king Bagrat and father Serapion bowed before him as the figures of the XI century. Sergis Kakabadze pays attention to the important circumstances - considering the Khurtsidze family as the descendants of the Chorchaneli family. Furthermore, the historian pays attention to Serapion Khurtsidze of Matskveri mentioned in the inscription of Zarzma church of John the Apostle. Ekvtime Takaishvili dated the last chronicler „სღე“ in the inscription to the XIII year after Christ (მე-13 მოქცევა) and, accordingly, determined the date of the inscription as 1045. S. Kakabadze regarded that the inscription should be dated to the XIV century AD (მოქცევა) and, therefore, dates the inscription to 1577. Here his reasoning seems to be contradicted by the deed of 1572, issued by Vakhtang Gurieli. We learn from the deed that by that time Ottomans had destroyed the Zarzma monastery and hence the sanctities of Zarzma monastery were moved to Shemokmedi monastery. The scientist correctly thinks that christianity had been persecuted in Samtskhe-Saatabago and this historical-geographical province was emptied much later, in particular, in 1578, "when Dedisimedi and her son Kvarkvare (heads of Samtskhe - T. G.) were forced to surrender to the Ottomans". Taking the fact into consideration, the researcher assumes that the king depicted here can only be the king Bagrat III of Imereti. Based on other written materials the king



(Pic. 5) Sula Patrick's prayer inscription from St. Nino's Church in Ude (Devi Berdzenishvili)

Bagrat III owned Samtskhe in 1535-1545. Also the researcher considers the Catholic Ioseb Matchutadze to be the ruler of Abkhazia and places his work between Abkhazian Catholics Malakia Abashidze and Evdemon Chkhetidze and that is the reason why he dates his work and the Sinai agape to 1540-1550. S. Kakabadze has an opinion that, “the beginning of the work of the head of Zarzma, Serapion Khurtsidze, as the head of Zarzma Monastery can be attributed to the time when Bagrat III owned Samtskhe-Saatabago”. Vakhtang Beridze believes that the opinion expressed by S. Kakabadze about the king Bagrat and father Serapion depicted on the north wall of the temple is correct.

We consider that another Juresalim agape 244 (M-239) should be related to the same Serapion Khurtsidze; We read the following in the agape: „[თუესა მაისსა კე]. ჩ(უე)ნ, ჯ(უარ)ისა მ(ამა)მ(ა)ნ მ(ო)ძღუარმ(ა)ნ და სრულად მონასტერმ(ა)ნ, გაუჩინეთ მაისსა ოცდახუთსა ალაპი საუკუნო ხურსისძესა სულა-ყოფილსა სერაპიონს. ც(ო)დვანი მ(ა)თნი შეუნდვენ. ღმერთო. მოგუივიდა ას ოცი ფლორი ვენეტიკური, გამათავებელ[ნი აკურთხეს ღმერთმან, ან]“.

According to the publisher of agape, Elene Metreveli, agape should be dated back to the XV century; the researcher leaves the question of the identification of Sula - former Serapion Khursidze mentioned in agape open.

In case, our reasoning is correct, it turns out that agape was estab-

lished for Serapion mentioned in the 1577 construction inscription of Zarzma. Before becoming the head of Zarzma and then the head of Atskuri Eparchy, Serapion led secular life under the name Sula. After becoming a monk, his church name became Serapion.

As mentioned in the text of agape, Sula former Serapion Khurtsidze had donated 120 florin to the monastery of the Cross of Jerusalem; in return, the head of Jvari monastery and the assembly had established agape after his name on 25th of May. Unlike Elene Metreveli, we date the agape back to XVI century instead of XV, more specifically to the period before appointing Serapion to the head of Zarzma by the king Bagrat III - the second half of 1520s and the beginning of 1530s.

We can read the following in the book of devotion (1427-1438) of Serapion Matskvereli to Theodore the Catholic of Georgia: „...ესე წიგნი გკადრეთ და მოგაწესენეთ თქუნ, ... ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა თე(ოდორე)ს მე, მანყუერელი მთავარეპისკოპოზმან სერაპიონ, მას ჟამსა, ოდეს მანყუერელობა მიბოძეთ და მაკურთხე[თ] და მე ესე საერთგულო წიგნი მოგაწესენე (“...I, the Archbishop of Matskuri, Serapion has brought this book to you - the Catholic of Kartli Theodore as you honored me with the title of Matskureli and blessed me and I, myself, brought this devotion book to you. ..”)

Although it's not stated in the documents specifically of which family representative bishop Serapion was but if we connect the name Serapion and Khurtsidze family to Zarzma monastery, we can assume, that the devotion book of 1427-1438 to the Catholic of Kartli was brought by the representative of Khurtsidze family - Serapion Khurtsidze of Matskveri.

თარგმანი | TRANSLATION BY

ცისანა გიგუაშვილი | TSISANA GIGUASHVILI

გვერდები | PAGES

31-104

ანა ხურცილავა | ANA KHURTSILAVA

გვერდები | PAGES

267-286

გიორგი გიგაევი | GIORGI GIGAEVI

გვერდები | PAGES

105-198, 215-234, 249-266

მარინა ვარაზაშვილი | MARINA VARAZASHVILI

გვერდები | PAGES

13-30, 235-248

მარიამ მისაბიშვილი | MARIAM MISABISHVILI

გვერდები | PAGES

199-214



#4, 2023 | www.scientia.ge

Scientia

Scholarly Journal
სამეცნიერო
ჟურნალი

#4, 2023
www.scientia.ge

ჟურნალი გამოსაცემად მომზადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით
The Journal was prepared for publication with the financial support of Tbilisi City Hall

